ო სსაქან სოქი სი სსასთიქ სი სსასოქი კოთოქაბ ციქასგ ოქოქესაგ, სი ცქან იქასქასქე ცქსიქ სი ოქიქ ქრანსგ სი სსანსაქან ქარაქიქინქ ქრანსგ ობბქესგან. სი სიქი სსასოქი კოთოქაბიქინ ციქასგ ოქოქესაგ ქარასოქინ ქიქ. სი ოქქესასქასი არარქინ არა სიქსოქინ სსაქარ, სი ქიქიქარასგ სი ქი ცქინოქინ ანსქიქი ობბქესაი სსანსაქან სიქსიქ იქასქასგან. სი ცქასოქი ოქი ცქსიქ ქარესგან ციქიქ სიქქასგან სი ქ.ქასგან სიქინქი ქი სსასიქანსა ქარაქქინ ონოიქ: ო სოქოსანს ოქარაქიქ ოქესქინ სი სსაქიქ იარბანსა ქაქიქიქ სსაქიქიქ ქაქქასქინ იქესანსგ ოსაქასოქიქ ქასქასთესაქიქ სი სსაქარქინ სსარქიქიქ ქქიქ ოსსაქსაქ.¹⁴⁸

იმ დღეს მოხდა თურქთა ჯარების სასტიკი და საშინელი ხოცვა-ჟლეტა. მათა ხევები და მდინარეები გვამებით აივსო და მთების ყოველი ქარაფნი დაფარა... რვა დღის [განმავლობაში] ხაფხახთა და ქართველთა ჯარები ქალაქ ანისის საზღვრებამდე სდევნიდნენ [მათ]. ხოლო სპარსეთის სულთანი მელიქი და ხაზი დიდი სირცხვილით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში გაქცევით ძლივს გადარჩენილნი.¹⁴⁹

ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი

[1124 წ.]

და აგვსტოსსა კ~ მოვიდეს მეწიგნენი ანელთა თავადთანი და მოაჯესენეს მოცემაქ ქალაქისა და ციხეთად ბოქანას წყაროთა ზედა მდგომსა. და მცის წიგნები წუევისაქ მიმოდაისრბოლა და მესამესა დღესა სამოცი ათასი მჯედარი წინაშე უდგა. წარემართა და მესამესა დღესა აღილო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად, და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი. და წარმოიყვანა ბულასვარ რვათა ძეთა მისთა თანა და მჯევალთა და სძალთა და ჩაგზავნა აფხაზეთს; ანისის მცველად დაუტევნა აზნაურნი მესხნი და წარმოვიდა ქართლად. და მცი-რედთა დღეთა მოუსუენა სპათა თვსთა. და მერმე წარემართა შარვანს, და აღილო ქალაქი

შამახია და ციხე ბირიტი, სრულად ყოველი შარვანი... და განაგო მეფემან ყოველი საქმე შარვანისად, აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი; მოვლო ქართლი და ყივჩაყთა თუსთა უჩინა საზამთროდ სადგური, და საზრდელი და კაცნი ზედამდგომნი მათნი. და განაგო ყოველი საქმედ ქართლისად, სომხითისა და ანისისად. და ეგულებოდა გაზაფხულ ქმნად დიდთა საქმეთად და უფროსთა ლაშქრობათად...¹⁵⁰

მათეოს ურჰაევი, ქრონოგრაფია

[1124 წ.]

Յայսմ թուսկանութեանս Դաւիթ Վրաց թագաւորն արար դարձնալ ասատիկ կոտորածս զգօրսն Պարսից իբրև երկու բիրս և Էառ գթագաւորաբնակ քաղաքն Հայոց զԱնի և գորդիսն Մանուչէի հաննալ ի յԱնույ և տարաւ ի Տիփխի. և ագատեսցաւ ի ծառայութենէ թագաւորաբնակ քաղաքն Անի, որ կացնալ էր ի ծառայութին գասն վաթսուն. և զհրաշაփառ և զմեծ նկեղեցին Անույ գտորբ Կաթուիկէն, զոր մսքիք էին արարնալ, ժողովնաց զնախկնայութեանս և զքահանայս և զկրօնատրս Հայոց աշխարհին, և օրհնեաց գտորբ Կաթուիկէն մեծաւ հանդիսի. և եղև ուրախութին ամենայն տանն Հայոց, զի տեսին ագատեսալ գտորբ Կաթուիկէն ի ծառայութենէ.¹⁵¹

იმავე წელს, ქართველთა მეფე დავითმა მოახდინა სპარსთა ჯარების სასტიკი ჟლეტა – თითქმის ოცი ათასი [კაცი მოსპო] და აიღო სომეხთა სატახტო ქალაქი ანი, ხოლო მანუჩეს შვილები გააძევა ანიდან და თბილისს გაგზავნა. [მან] გაათავისუფლა მონობისაგან სატახტო ქალაქი ანისი, რომელიც სამოც წელს იმყოფებოდა ტყვეობაში, [აგრეთვე] საკვირველი და დიდებული ეკლესია ანისისა – წმინდა კათოლიკე, რომელიც მიზგითად ექციათ. შეკრიბა სომეხთა ქვეყნის ეპისკოპოსნი, მღვდელნი და მოწესენი და აკურთხა წმინდა კათოლიკე დიდის ზემით. იყო სიხარული ყოველი სომხის სახლში, რადგან იხილეს განთავისუფლებული წმინდა კათოლიკე მონობისაგან.¹⁵²

სამუელ ანევი და მისი გამგრძელებლები, ისტორია

[1124 წ.]

Ի բագում հինահարութեանց և իսպասապուռ շնջելոյ, ասպատակ արձակելով յաշխարհս մեր, երբեմն ի Վրաց, երբեմն ի Տիփխականաց, ամհնարին նեղութեամբ տարակուսնալ տառապնալ բնակիչք քաղաքիս Անույ. և Շիրակ գաւառի, խորհեցան նս գտանն մրկին, մոս տալով յարքայն Վրաց ի Դաւիթ, ննգնցին ամիրային Աբըլսուարայ՝ որդոյ Մանուչէի, որ տիրէր քաղաքին յետ հարն մահու. ատնով զթագաւորն ի ներքս՝ բանալով զգրօնս քաղաքին, որ ընդ մտաննէն առ ժամայն, եղև վնաս արեան և ոչ միոյ շնչոյ: Բայց կալնալ զԱպսուար որդովք, ընդ իւր խաղացոյց յերկիրն Վրաց, ի մահարար տեղոշ բնակեցոյց գնուս, ուր երկուս յորդոցն հանդերձ հարբն վճարեցին զկենցաղս.¹⁵³

მრავალი შემოსევისა და გაუთავებელი ჟლეტისაგან, ზოგჯერ კი ქართველთა და სკვითთა აუტანელი შევიწროებისაგან სასომიხდილმა და შერყეულ-შეწუხებულმა ქალაქ ანისისა და შირაკის მხარის მოსახლეობამ გადაწყვიტა ქარიშხლისაგან გამოსავალი მოეძებნა – დახმარების ხელი მიეღო ქართველთა მეფე დავითისგან; [ისინი] განუდგნენ ამირა აბლსუარს, მანუჩეს ძეს, რომელიც ქალაქს მამის სიკვდილის შემდეგ ფლობდა. მათ გაუღეს ქალაქის კარი, შეუშვეს მეფე შიგნით, რომელმაც შესვლისთანავე უმაღლ არაერთი ადამიანის სისხლი დაღვარა. ამასთანავე, შეიპყრო აბლსუარი ვაჟიშვილებითურთ, წაიყვანა თავისთან, ქართველთა ქვეყანაში, და მიუჩინა სასიკვდილო ადგილი, სადაც ორი ძე მამასთან ერთად სიცოცხლეს გამოესალმა.¹⁵⁴

მხითარ ანეცი, სომხეთის ისტორია

[1124 წ.]

ღი მნონაჲ ლე შანოიჯღამჩრայნ ჰანოი, ლე აკოიოსოარ იოიჲ ნორა თიქრე ნამა, აჲრ ანარჲ ლე სნამარჲჲ, იო სანწგაძადანთჲ ეჰანჲ Ⴀნ- იახესანჲ Ⴀაროიგ ამჩრայჲ: Ⴀო ქერჲ ლე ნალ Ⴀანრადჲ ლე ქარძრაჲსასჲ Ⴀოჲჲჲ ლე ლე Ⴀი ეოიჲ სჲოიოჲქჲჲ, ქასან იოიჲ სრთათნაჲ ქრჲსთონქჲგნ, ჲიჯნ გჲ-აიჲჲ ლეთან ეჲაოჲჲჲ Ⴀანჲ ლე Ⴀგნჲგნ ენაჲ ლე სანგნჲგნ ექსაჯნ Ⴀი ეოიჲ სჲოიოჲქჲჲ, იო ანა Ⴀგნჲჲ ჲინ ექსაჯნ Ⴀარჲქჲჲ, ლე ჲარნაჲ Ⴀანასჲჲჲ ათაჲჲ Ⴀაჯჲნ, იორაჲ ლეჲნ.¹⁵⁵

რადგან ანისის ამირა მანუჩი გარდაცვლილი იყო და მისი ვაჟი აპულსუარი მართავდა – ერთი დიაცივით მშიშარა კაცი, რომელსაც უნდოდა ანისი ყარსის ამირასთვის ჩაებარებინა 60.000 დაჰეკანად. და მან ბრძანა, რომ ხლათიდან ცხენის მძიმე და გრძელი ნალი მოეტანათ და კათოლიკეს თავზე დაედგათ, რის გამოც გაღიზიანებულმა ქრისტიანებმა დავითს უხმეს და ანისი მას ჩააბარეს, ჩამოავდეს ცხენის ნალი და ჯვარი დაადგეს კათოლიკეს, სწორედ ის ჯვარი სპარსელების ჩამოგდებული რომ იყო 60 წლის განმავლობაში, და ეკლესიაში გუშავი დააყენეს და დიდად გაიხარეს.¹⁵⁶

ქართლის ცხოვრების სომხური თარგმანი

[1124 წ.]

Ⴀო იათნაჲრ მნთაჲ ჲაჲიოჲმანჲ Ⴀი Ⴀჲრუ, ჲაიეოთათუ ამნსან: Ⴀო ჲასანჲრ ათ ნა Ⴀოიჲჲ ჲაოადან Ⴀანოჲ ლეჲ «Ⴀჲ, თაგოიჲ ეჲაოჲჲჲ Ⴀი Ⴀნოჲ ქი». ლე ენაჲ ქაჲათონ ჲაეჲრ ჲნბჲოქჲ, ლე ექნჲ ჲრჲგ ათოიჲჲ ათ ენა.¹⁵⁷

და მობრუნდა [დავითი] დიდი გამარჯვებით საქართველოში აგვისტოს თვეში. მოუვიდა მას წერილი ანისის უხუცესთაგან, რომ „მოდი, გადმოგცეთ ეს ქალაქი შენს ხელთაო“. წავიდა სამოცი ათასი მხედრით და სამი დღის შემდეგ აიღო ის.¹⁵⁸

ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია

[1124 წ.]

ჰაჲან Ⴀანანასჲჲ ეოიანაჲრ Ⴀ-აიჲჲ Ⴀაეაოიონ Ⴀრაგ იოიჲ Ⴀ-ეოიგნაჲ, იოიოჲ Ⴀ-აეჲარათაჲ. ლე ათ ესჲქჲჲ Ⴀი Ⴀარჲჲგ. ლე ჲჲარ ესჲქჲჲ ეთოიოსან Ⴀ-ანბასჲჲ Ⴀი ჲაროათუ სასთჲქს. ლე ჲინჲარჲჲრ არუ სრასჲანეჲჲ Ⴀარძრაგოჲ Ⴀი Ⴀაჲუთ მასოი Ⴀი სჲქჲჲჲ Ⴀაოჲჲჲ: Ⴀნე ათოიონ ენე აჲნოიჲ, ეჲ მნონაჲ ლე შანოიჯღამჩრայნ Ⴀანოჲ, ლე აკოიოსოარ იოიჲ ნორა თიქრე ნამა, აჲრ ანარჲ ლე სნამარჲჲ, იო სანწგაძადანთჲ ეჰანჲ ქაჲათონ ჲაეჲრ იენარჲ Ⴀი ქერაჲ Ⴀაროიგ ამჩრայჲ. ლე ლე ქერჲ ნალ Ⴀანრადჲ ლე ქარძრაჲსასჲ Ⴀი Ⴀოჲჲჲ, ლე იენე Ⴀი ქერაჲ ემწჲქჲ სჲოიოჲქჲჲ, Ⴀიქსოქჲჲ ენჲსაჲნ ჲათაჲგნ. ქასან იოიჲ სრთათნაჲ ქრჲსთონქჲგნ, ჲიჯნ გჲ-აიჲჲ, ლე თან Ⴀი Ⴀნოჲ ნორა ეჲაოჲჲჲ Ⴀანჲ. ლე ენსეგნაჲ ექნან ათნჲქჲ Ⴀი აჲათოასჲან ექჲთო სჲოიოჲქჲჲ, ეოი იონჲჲ ქაჲათონ ამ ქასან მნეჲგ მნეოგ ჲანქერჲოქჲ ლეჲნ ეჲასან ეაროი, ლე ეჲაგნ Ⴀჲოთიჲ ეჲარბანჲნ Ⴀოიოჲქჲ, ეჲქოქჲჲსან მნეოჲ არეგასნ, ექსაჯნ სასთოაბრჲსჲ. ლე ჲარნაჲ ეႠანასჲარ ათ Ⴀაჯჲნ იათანსეჲნ სასთოაბ ექსაჯნაჲნ Ⴀი Ⴀოქოქჲჲნ ჲათათაგნეოგ: Ⴀას Ⴀაეაოიონ ესჲოქჲჲ, ლე ეოიჲჲნ Ⴀოი ეჲ-თან Ⴀოჲნაჲ Ⴀი ესჲქჲ Ⴀათნაჲ ექრქჲჲ Ⴀოი, ენე Ⴀოი თანსოქჲ ესჲოქჲჲ იოქოქჲ, იოჲ ანჲგნ მნონა ლე იჯ ლე იათბან.¹⁵⁹

იმ ხანებში გაძლიერდა ქართველთა მეფე დავითი, ბაგრატის ვაჟის გიორგის ძე, რომელმაც წაართვა სპარსელებს თბილისი, სასტიკად დაამარცხა განძაკის სულთანი მელიქი და ხუთასი განიარაღებული კაცი ძელზე გასვა ქალაქ თბილისში. იმ დღეებში, რადგან გარდაიცვალა

ანისის ამირა მანუჩე, მისმა შვილმა აბულსუარმა, კაცმა მშიშარამ და ქალაჩუნამ, ხელში ჩაიგდო [ქალაქი]. მას სურდა მიეყიდა ანისი სამოც ათას დინარად ყარსის ამირასთვის. მან მოატანინა ხლათიდან მძიმე, უზარმაზარი ნალი და დადგა ტაძრის გუმბათზე, ნაცვლად მისი წინაპრების [მიერ აღმართულისა]. ამის გამო გაღიზიანებულმა ქრისტიანებმა მოუხმეს დავითს და ჩააბარეს ქალაქი ანისი. ტაძრის წმინდა გუმბათიდან ჩამოაგდეს საძულველი ნიშანი, რომელსაც ის მოთმინებით ატარებდა სამოცი წლის განმავლობაში ჩვენი ცოდვების გამო. დაადგეს თავზე სამკაული, იესოს გვირგვინი, პავლეს სიამაყე, მზე ჩვენი ხსნისა, ჯვარი უფლის გამოსახულებით, დაიწყეს ზარის რეკვა, ჯვართან ადიდეს ღმერთი, რომელიც ჯვარს ეგვა მორწმუნეთა გადასარჩენად. მეფემ აბულეთი და მისი ძე ივანე დატოვა ანისში, დაბრუნდა თავის ქვეყანაში, თან ჩამოიყვანა აბულსუარი თავისი შვილებით, რომლებიც აღარ დაბრუნებულან, იქვე გარდაიცვალნენ.¹⁶⁰

მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფია

[1124 წ.]

Դ-աიქ թագաւորն Վրաց եւար զԷլղազի և զՄԷլիքն և Էառ զԳագ, զՏերունական և զԱնի քաղաք... Ապստար եբեր ի Խլաթայ զոսկի նալն և եղ ի գլուխ կաթողիկէին Անոյ: Իսկ քաղաքացիքն բերին զԴ-աիթ թագաւորն Վրաց և բացին նա գլուխ քաղաքին. և նա կախալ զԱպստար ի Տինէթ առաքնաց որդովն, և զնալն ձգնաց յեկեղեցոյն և խաչ կանգնեաց.¹⁶¹

ქართველთა მეფე დავითმა დაამარცხა ელლაზი და მელიქი. აიღო გაგი, ტერუნაკანი და ქალაქი ანისი... აბულსუარმა ხლათიდან მოიტანა ოქროს ნალი და დაამაგრა ანისის კათოლიკე ეკლესიის თავზე. მაგრამ მოქალაქეებმა მოიყვანეს ქართველთა მეფე დავითი და გაუღეს მას ქალაქის კარი. [იმან] შეიპყრო აბულსუარი და გაგზავნა სვანეთში შვილთან ერთად. შემდეგ მოაძრო ნალი ეკლესიას და ჯვარი აღმართა.¹⁶²

ანონიმი ქრონოგრაფი, ისტორია

[1124 წ.]

ՇՀԳ (1124) թուին թագաւորն Դ-աիթ առ զԱնի: Անու ի նոյն ամի զԳագ.¹⁶³

573 (1124) წელს მეფე დავითმა აიღო ანისი. იმავე წელს იღებს გაგს.¹⁶⁴

სტეფანოს ორბელიანი, სისაკანის სახლის ისტორია

[1123-1124 წწ.]

Եւ արդ յետ բագում ժամանակաց ի թագաւորութեանն Դ-աիթի հզօրի՝ որդոյ Գեորգիի, մեծ սպասաջարն Օրբէլեան Իվանէ յոյժ արիացեալ ընդարձակեցոյց զասիմանն Վրաց պատերազմեալ ընդ Տաճկաստան. զի առին զՏփղիս ի Տաճկէն և զՏաուշ, զԳագ, զՏերունականն, զԼաւոն և զԱնի ի 572 թվականին: Վասն որոյ առաւել սիրեացւոյ պատուեցաւ ի թագաւորէն Լաւոն իր գաւառովն, և Ագարակն՝ տեղի դարապասի, և Շամշոյտէ որ Էր հայրենիք նոցին, վերստին տուաւ գաւառովն: Եւ այս մեծ սիգելաւ և թագաւորական մատանեաւ հայրենիք հաստատացեաւ սոցա.¹⁶⁵

ხოლო შემდგომად მრავლისა ჟამისა მეფობასა დავით ძლიერისასა, ძისა გიორგისა, დიდი იგი სპასალარი ორბელიანი ძლიერად აღდგომილ იყო და განახვნა საზღვარნი ქართლისანი და ბრძოლა უყო თურქისტანსა და გამოულო ტფილისი თურქთა და ტაუში, გაგი და სამეფო იგი ლორე და ანი რიცხვსა ხუთას სამეოცდა ათორმეტსა. და ამისთვისცა უმეტესად შეუყვარდა იგი მეფესა და პატივცემულ იქმნა უფროს მამათა თვისთაგან. მიეცა მას მეფისაგან ლორე

სოფლითა და აგარაკითა თვისითა და ადგილად დარბაზისა სამშვილდე, რომელ-იგი იყო მამათა მისთა, კუალადცა მიეცა სოფლით თვისითურთ დიდითა იედგარითა და სამეუფოთა ბეჭდითა დაუმტკიცა მათ მამულად.¹⁶⁶

ანონიმი ქრონოგრაფი, ისტორია

[1124 წ.]

ՇՀԳ (1124) թվին թագաւորն [Դավիթ] Էար զՅանի ի տաճկէն և ւնուս և թագաւորեսց որդի նորս Դեմետրէ.¹⁶⁷

573 (1124) წელს მეფე [დავითმა] აიღო ანისი თურქთაგან და გარდაიცვალა. გამეფდა მისი ძე დემეტრე.¹⁶⁸

ანონიმი, მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან

[1124 წ.]

ამაჲ ქორონიკონსა სამას ორმოცდა სამს წაუღო მანვე აღმაშენებელმან ანის ქალაქი არ-ფასლნიანთა. და მოსწყვიტნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისი მიძგიტად მოეკმაზა და ქრისტეანეთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყოთ. იმუქაფა ღმრთის მოყვარემან დავით აღმაშენებელმან. მოლათა და დარიმანთა სისხლითა ახლავე მან მორწყო, საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალსა კატრონიტეს. და იქი ესაფლავა: მივიდეს მეფე და კათალიკოზი, ეპისკოპოსნი და ერთობილნი ლაშქარნი დედოფლისა საფლავსა. ახლად წესი აუგეს და თვითან მეფემან სამჯერ საფლავთა ჩასძახნა: „გიხა-როდენ შენ, დედოფალო, რამეთუ იცხნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ჳელთაგან“. ამასა ზედან მკუდარმან საფლავით ჳმა ამოიღო და ღმერთს მადლი მისცა... გაუკვირდა მეფესა და ერთობილ ერთა.¹⁶⁹

შადადინანები – საპართველოს მეფის ქვეშევრდომები

მათეოს ურჰაეცი, ქრონოგრაფია

[1125-1126 წწ.]

Յայսմ ամի մնուանէր բարեպաշտ սուրբ թագաւորն Դավիթ Վրաց աշխարհին, և նստուցանեն յաթող նորս գորդի իր զԴեմետրէ, զայր քաջ և աստուածասէր, նմանեալ հօր իրոյ Դավիթ ամենայն գործովք բարեսց. սա դարձոյց գորդիսն Մանուչէի ի քաղաքն Անի և բարգիւն երդանաք արարեալ գնուսս իր ծառայս և հնագանդս գամենայն ասորս կենաց իրենանց և տայր զԱնի ի նուս. զի բարգիւն նեղութիւն կրեսց Անի ի գօրացն Պարսից, յորժամ մնուս Դավիթ. և այլ հոգք պատերազմաց և գաւառաց անկաւ ի վերայ Դեմետրէի Վրաց արքային, որ Էր ի Հայ կնոջն. իսկ որդիքն Մանուչէի արարին ասատիկ երդումն, վասն զի սուրբ Կաթողիկէն, որ Էր յԱնի, հանապազ Հայոց կայցէ և մի մտցէ ի նա Տաճիկ և այլ Մախան արգ.¹⁷⁰

ხოლო სომეხთა წელთაღრიცხვის 574 (1125) წელს გარდაიცვალა ქართველთა ქვეყნის კეთილმსახური და წმინდა მეფე დავითი. მის ტახტზე დასვეს მისი ძე დემეტრე, კაცი მხნე და ღვთისმოყვარული, მსგავსი თავისი მამა დავითისა ყოველი კეთილი საქმით. მან დააბრუნა მანუჩეს შვილები ქალაქ ანისში და მრავალი ფიცით დაადგინა ისინი თავის მორჩილ მსახურებად მთელი მათი სიცოცხლის მანძილზე. მისცა მათ ანისი. მრავალი შევიწროვება განიცადა ანისმა სპარსთა ლაშქრისაგან იმ დროს, როდესაც გარდაიცვალა დავითი. ასევე

სხვა საზრუნავი ბრძოლათა და მხარეთა თავს დაატყდა ქართველთა მეფე დემეტრეს, რომელიც იყო [შვილი] სომხის ქალისა. ხოლო მანუჩეს შვილებმა დასდეს მტკიცე ფიცი, რომ წმინდა კათოლიკე, რომელიც ანისში მდებარეობდა, სამუდამოდ სომხებს ექნებოდათ და არ შეუშვებდნენ მასში ტაჭიკებს ან სხვა მუსულმან ხალხს.¹⁷¹

სამუელ ანეცი და გამგრძელებლები, ისტორია

[1125-1126 წწ.]

Նոյնպէս և քաջն Դաւիթ մնառնի անդէն, և թագաւորէ աշխարհին Վրաց որդի նորա Դեմետրէ, գովնայ յամենայն մանկական արութիւնս: Իսկ Փատլուն՝ անդրանիկն Ապստարայ, գնացնայ յառաջագոյն ամառք առ ամիրապետն ի Խորասան, յորժամ լուսս գայսայիսի լուր գիօրէն և գտեղեսցն, փութացայ գալ յերկիրն մեր, և շուրջ զքաղաքսս գիշտողս իրաքանչիւր տեղեսց ի բանի արարնայ պաշարեսց գաս: Վասն որոյ և գամն գայն ողջոյն արքստարէ սաստկացան հարուածք սովոյն: Եւ բնակիչք սորա ի կողմունս կողմունս եւս առնելով գիշերի, յորոց վերայ անկնայ դարաննայքն՝ գարս կոտորէին. որոց արեսմբ և ոսկերայք ծածկեսցայ երկիր: Եւ գկանայս և գնանկունս վաճառակոյր առնէին. և թէպէտ և տեղակալք գային յաշխարհէն Վրաց՝ երբեք երբեք արք ընտիրք որպէս և անուանին քաջագատիս Իւանէ որդի Ապուլեթի, որ բագում արութիւնս ցուցնայ՝ գասպատակս կոտորէր. և ի գարաժողով լինել ի վերայ քաղաքիս Փատլոնոյ բագում հեծելովք, առ ոչինչ համարնայ գկնկայս ի պարտութիւն, այլ սակաս արամբք պատճառ եղև փրկութեան քաղաքիս մարտակցութեամբ բնակչաց սորա: Եւ յայսմ պատերազմի առաքինացայ կին մի ի վերայ պարսպացս, առնացի ստացնայ սիրտ հալածականս առնէր քարամբք գմարտուցնայն, յելանել ընդ պատուարն՝ առ ոչինչ համարելով գխոցուածն ննտիցն, գոր վիրաւորէին արտաքուստ, և էր անուն նորա ըստ արժանի արագութեան նորա, Աշծեանն կոչեսցնայ: Սակայն վասն գի թագաւորութիւն Վրաց չէր հաստատնայ բովանդակ, և սովն և մարդախանձութիւնն յովակցայ, ապա հարկեսցան տալ անդրէն առ Փատլուն, գաս դաշինս երդմանց պահանջնայ ի նմանէ՝ չառնող վրէժս ի ննգչաց հար նորա և եղբարց. գոր թէպէտ և յանձն առնոյր. այլ յետ գպարսպ առնոյ՝ իւրք իւրք հնարիս առ վրէժս հատուցնայ նոցա գհատուցումն, յորոյ իշխանակալութեան թէպէտ և խաղաղանայր գատուս ի սովորական հինից, այլ յաղագս վերագրնայ նեղութեանց և վասն հար կապահանջ յափշտակութեան, եկն եհաս ի վերայ մեր վերջին աղքատութիւն և տառապանք անհնարինք, որ յառաջագոյն ժամանակայք ունէր գաշխարիս Հայոց: Եւ աստանայր յանկայ յաճախայպէս, մի գհետ միոյ մինչև յաւորսս յայսոսիկ յորում եմքս.¹⁷²

ასევე მალე გარდაიცვალა მამაცი მეფე დავითი და გამეფდა ქართველთა ქვეყანაში მისი ძე დემეტრე, ქებული ყოველგვარი ჭაბუკური სიქველით. ხოლო ფადლონს, აბულსუარის პირმშოს, რომელიც უწინარეს ხორასანში ამირაპეტთან მივიდა, როდესაც ესმა მამამისისა და იმ ადგილთა შესახებ, ჩვენს ქვეყანაში მოსვლა ისწრაფა და ქალაქის შემოგარენს ყოველი მთავარი ადგილი გამოსტაცა და ალყაში მოაქცია იგი, რის გამოც იმ გაცუდებულ წელს [ქალაქი] შიმშილის მძვინვარებამ მოიგვა. და მისი მოსახლენი ღამით, აქა-იქ გამოსავალს, გამოსარჩენს ეძებდნენ, რომელთაც ჩასაფრებულები თავს ესხმოდნენ. მამაკაცებს ჟღერდნენ, მათი სისხლითა და ძვლებით იფარებოდა ქვეყანა, ხოლო ქალებსა და ბავშვებს ყიდდნენ. თუმცაღა ნაცვალნი (მხარის მპყრობელნი) დროდადრო მოდიოდნენ ქართველთა ქვეყნიდან – კაცნი რჩეულნი – როგორც სახელოვანი გულუშიშარი ივანე, ძე აბულეთისა, რომელმაც მრავალი სიმხნვევ გამოავლინა, იავარმყოფნი მოსრა და მრავალრიცხოვანი მხედართა ლაშქარნი შეყარა ფადლონის ძალთა წინააღმდეგ, არად ჩააგდო მომხდურნი და დამარცხება აგემა, ამასთან მოქალაქეთა მცირეოდენი ძალაც შეეწია ქალაქის გადასარჩენად ბრძოლაში. და ამ ბრძოლაში თავდადებით გამოირჩა ერთი ქალი, [რომელიც] ვაჟკაცური გულმამაცობით ქვებით იგე-

რიებდა [ქალაქის] ზღუდებზე ამოსულთ – არაფრად აგდებდა ისრით მიყენებულ ჭრილობებს, რომლითაც გარედან წყლავდნენ, და მისი სახელი იყო აიწეამნი, [რომელიც] მისი სისწრაფის გამო შეარქვეს. მაგრამ რადგანაც ქართველთა სამეფო სრულად არ იყო მომძღავრებული, შიმშილი და ტყვის სყიდვა ძლიერდებოდა, იძულებულნი გახდნენ ფადლონისგან კვლავ მშვიდობის ფიცი მოეთხოვათ – მზაკვრობით შური არ ეძია მამისა და ძმათა გამო, რაც თუმცადა თავს იღო ერთხანს, შემდეგ კი უგულვებელიყო და დროდადრო სამაგიეროს მიუზღავდა მათ, თუმცა მძღავრობისაგან და ჩვეულებრივი შურისძიებისაგან ქვეყანა მაინც დაწყნარდა. მაგრამ ზემოაღწერილ გასაჭირთა და გაუსაძლის უბედურებათა გამო, რაც მანამდე ჰქონდა ჩვენს ქვეყანას, თავს დაგვატყდა უკიდურესი სიღატაკე. ახლა იმატა და გახშირდა ერთიმეორის მიყოლებით ჩვენს დრომდე, რომელშიც ვართ.¹⁷³

ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია

[1125-1126 წწ.]

Ի ժամանակին յայնիկ որդի մի Ապուարայ, որ կայր 'ի Խորասան, իբրև լուսի գանցս հորն և զեղբարցն և զմահն Դ-աթի, գայ 'ի խնդիր հայրենի քաղաքին Անոյ, և աղերսանօք խնդրէ յԱպուլեթ և յաւագաց քաղաքին. և զի կայր քաղաքն 'ի մեծի վտանգի 'ի Թուրքաց, ևս 'ի նա Ապուլեթ խնայելով 'ի քրիստոնէայսն, ևս առաւել յորդին իւր Ի-անէ, զի մի' կորիցէ 'ի յանախ մարտիցն. և ինքն անցնալ գնայ 'ի տուն իւր: Իսկ Փատլուն որդին Ապուարայ բարիօք խնամարկնալ քաղաքին և ամենայն սահմանացն՝ արիաբար ջանացնալ, արար խաղաղութիւն. առ և զԴ-ուին և զԳ-անձակ և ևէ ևս անուանի: Եւ զի կանցայ ձեռնարկել 'ի սուրբ կաթուղիկէն.¹⁷⁴

ამ დროს ხორასანში მყოფმა აბულსუარის ვაჟმა გაიგო რა მამისა და ძმების ამბავი და დავითის სიკვდილი, მოვიდა და ვედრებით სთხოვა აბულეთს და ქალაქის უხუცესებს მამისეული ქალაქი ანისი. რადგან ქალაქი დიდ საშიშროებაში იყო თურქთაგან, აბულეთმა დაუთმო მას [ანისი], ზრუნავდა რა ქრისტიანებზე და უფრო მეტად თავის შვილ ივანეზე, რომ არ დაღუპულიყო ხშირი ბრძოლების დროს, თვითონ კი დაბრუნდა თავის სახლში. აბულსუარის ვაჟი ფადლონი დაეპატრონა ქალაქს და მის შემოგარენს, ყოველმხრივ შეეცადა დაემყარებინა მშვიდობა, აიღო დვინი, განძაკი და გახდა სახელოვანი. [მან] მოინდომა წმინდა კათოლიკე [ტადრის] გაძარცვა.¹⁷⁵

მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფია

[1125-1126 წწ.]

Գ-այ Փատլուն որդի Ապուարայ և դարձնալ առնու գԱնի.¹⁷⁶

მოვიდა აბულსოვარის შვილი ფალტუნი და კვლავ აიღო ანისი.¹⁷⁷

ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია

[1132 წ.]

Եւ ի գայ միս ամիս ապանայ Ի-անէ ի Դ-եմետրէ ննցի. և որդին նորա Թիրքաչն գընաց առ ամիրապետն Շահի Արմենն, և առնալ ի նմանէ գԱշուրինս՝ աւերեր գտունս Վրաց անժաւաքաջութեամբ.¹⁷⁸

მეორე წლის დასაწყისში დემეტრემ მზაკვრობით მოკლა მამაცი ივანე. მისი ვაჟი თირქაში წავიდა ამირათათავთან შაჰი არმენთან და მიიღო მისგან არშარუნიქი, თამამად დაიწყო ქართველთა სახლის აოხრება.¹⁷⁹

ალ-ფარიკი, მაიაფარიკინის ისტორია

[1154-1155 წწ.]

سنة ٩٤٠ و منها ان الامير فخر الدين شداد صاحب آنة نفذ وخطب بنت عزّ الدين سلتق صاحب ارزن الروم وبقي مدةً ثم زوّجها ابوها من صاحب ارزن و نفذ شدّاد الى سلتق و قال: قد ضعفت عن آنة فتحضر فتشترىها مني فما لي طاقة للكرج و لا اقدر على دفعهم فاكون في خدمتك فاسلمها اليك فلما وصل نفذ الى ملك الابخاز والكرج دميطرى و كان في جل بازوى بينه و بين آنة مسيرة يوم او اكثر يعلمه بوصول سلتق فوصل في عسكر الكرج فصبح مدينة آنة صباحاً فوقع بالعسكر وقتل منهم مقتلةً عظيمةً و اسروا عزّ الدين سلتق و اسر معه خلق عظيم و أُسر من المسلمين ما لا يحصى و كان يوماً على المسلمين عظيماً. ثم ان ملوك ديار بكر وديار ريعة و الشام راسلوا ملك الابخاز و تواصلوا و استقرّ حال عزّ الدين سلتق على مائة الف دينار و أُطلق و عاد الى بلاده و خرج من بلاده مالاً لا يحصى لانهم اشترى الاسارى الذين كانوا اخدوا معه.¹⁸⁰

490 წელს ამირა ფახრ ად-დინ შადდადმა, ანისის მფლობელმა არზან არ-რუმის ერზრუმის მფლობელს ‘იზმ ად-დინ სალთუკს [მოციქული] გაუგზავნა და ქალიშვილის ხელი თხოვა. ერთი ხნის შემდეგ მამამ თავისი ქალიშვილი არზანის მფლობელს მიათხოვა. მამის შადდადმა სალთუკს შეუთვალა: „ანისზე ჩემი ძალაუფლება შესუსტდა, ასე რომ მოდი და ის ჩემგან იყიდე. ქართველებს ვეღარ ვუძლებ, მათი მოგერიება აღარ ძალმიძს. თქვენ სამსახურში მიმიღეთ და მას ჩაგაბარებთ“. მაგრამ როდესაც სალთუკი მოვიდა, შადდადმა აფხაზთა და ქართველთა მეფეს დიმიტრის, რომელიც [იმ ხანად] იმყოფებოდა ბაზვეის მთასთან, ანისიდან ერთი დღის სავალზე, ან ოდნავ მეტზე, აცნობა სალთუკის მოსვლა. დიმიტრი ქართველთა ლაშქრით ქალაქ ანისში დილით მივიდა, სალთუკის ლაშქარს დაეცა და ბევრი მათგანი დახოცა. დაატყვევეს ‘იზმ ად-დინ სალთუკი და მასთან ერთად დიდძალი ხალხი. მუსლიმთაგან დაატყვევეს ურიცხვი და ეს დღე მუსლიმთათვის იყო მნიშვნელოვანი. შემდეგ დიარ-ბაქრის, დიარ-რაბი‘ას და სირიის მეფეებმა აფხაზთა მეფესთან საშუამავლოდ ელჩები გაგზავნეს და სალთუკის გამო-სასყიდად ასი ათასი დინარი განისაზღვრა. ის გათავისუფლდა და თავის ქვეყანაში დაბრუნდა. მისი ქვეყნიდან დიდძალი ფული გავიდა, რადგანაც იყიდეს ის ტყვეებიც, რომლებიც სალთუკთან [ერთად] აიყვანეს.¹⁸¹

სამუელ ანეცი და მისი გამგრძელებლები, ისტორია

[1154 წ.]

Հարին գՄալուիւն Վիլքի դուրոնն Անույ եւ կալան զինքն եւ.¹⁸²

ქართველებმა დაარტყეს სარდუხს ანისის კარებთან და თავადაც შეიპყრეს.¹⁸³

მხითარ გოში, ალბანეთის ქრონიკა

[1154-1156 წწ.]

Իբրև թագաւորաց Գիորգի, կանցաւ ընթոնել զիշխանն Վասակ... յաղագս այսորիկ փախստական եղևալ Վասակայ իրովք եղբարբքն հանդերձ և երթևալ ի Թիդուպալիս, որ այժմ ասի Կարնոյ քաղաք: Եւ ամիրային, որ կոչէր Սալտուիս, խնդութեամբ և անծարանաբ ընկալևալ գնուս: Զի յորժամ ընթոնցաւ Սալտուիս ի գարացն վրաց, մինչ պաշարևալ Էր գքաղաքն Անի, և ածաւ առ թագաւորն Դենեսորէ ի Տփլիսիս, բազում սպասակաւորին արարևալ Էր ննա Վասակ.¹⁸⁴

როდესაც გიორგი გამეფდა, მოისურვა ვასაკ იზხანის შეპყრობა... ამის გამო გაიქცა ვასაკი თავის ძმასთან ერთად და მივიდა თიდუპოლისში, რომელსაც ახლა ჰქვია კარნუ ქალაქი. ამირამ,

რომელსაც სალტუხი ერქვა, სიხარულით და პატივისცემით მიიღო ისინი იმის გამო, რომ როდესაც სალტუხი ქარველთა ჯარმა შეიპყრო ქალაქ ანისის გარემოცვის დროს და ტფილისში მეფე დემეტრეს წარუდგინა, მრავალი სამსახური გაუწია მას ვასაკმა.¹⁸⁵

მხითარ აირივანეცი, ქრონოგრაფია

[1154 წ.]

საყალი ონსხტრე ვსაქოქსნ ი იერანს ანო.¹⁸⁶

დემეტრემ შეიპყრო სალტუხი ანისის კართან.¹⁸⁷

ანონიმი ქრონოგრაფი, ისტორია

[1154 წ.]

მკ (1154) შიქნ ონსხტრე შაყათორნ აქიქსაყავ ლხარ ვსაქთონ, ვთქრნ შაქსქინ ზარნოქ, ქანოქ იერანს ს საყალი.¹⁸⁸

603 (1154) წელს აფხაზთა მეფე დემეტრემ ხელთ იგდო სალტუხი, შეიპყრო ქალაქ კარინის მმართველნი ანისის კართან.¹⁸⁹

ალ-ფარიკი, მაიაფარიკინის ისტორია

[1155-1156 წწ.]

وثب قسوس بمدينة آتة واخذوها من الأمير فخر الدين بن شداد (بن) منوجهر وسلمت الي اخيه فضلون. وخرج الأمير شداد من تلك البلاد وطلب الشام واقام مڈةً ورجع الى بيت خاله في سرماري. واقام هنا مڈةً واجتمعت به بميفرقين واجتمعت به في ملكه بمدينة آتة لما دخلت الى تفليس... في سنة 845.¹⁹⁰

555 (7.III.1155-24.II.1156) წელს ქალაქ ანისში სამღვდელოება აჯანყდა, ფახრ ად-დინ შადდად იბნ მაჭმუდ იბნ მინუჩიზრს ქალაქი წარუღო და მის ძმას ფადლუნს გადასცა. ამირა შადდადმა თავისი ქვეყანა დატოვა და სირიაში წავიდა... შემდეგ დაბრუნდა ქალაქ სურმარიში, დედის მხრიდან თავისი ბიძის სახლში, სადაც მან ცოტა ხანი დაჰყო. მას მაიაფარაკანში შეეხვდნენ, ხოლო უფრო ადრე – თავის სამეფოში, ქალაქ ანისში, როდესაც თბილისში მეფის სამსახურში რაგღეცი. 548/1188 წელს მან უხვად დამასაჩუქრა.¹⁹¹

მამათა ცხოვრება (ერევანი, მატენადარანი, №73ა), ანდერძმინაწერი

[1146-1150 წწ.]

სი არიქ ჭესელთ ს რნისკ აქსარხინს ვათარსაქ ლინ სორე ხაქრასახტრნ ჰაქოგ, იორ სრქსაყინს არიონ ლრ ვათარქინს ი ჳიქრასახანს ანი: რასე ვაქნოი ძანანასკაი ვესთესაქ იონინ ვსაქანსა რნასკოქსანს თსათნ ვრქიქრქსი თქსვერაქოქს სოქარქრნ სხრესაქი სერქრინს ანთიქრსაქ ი ვათარქინს სიქრქ, ი ქიქრქ იქესანს თიქ სიქსესესაქ... რასკასაქ თსესესაქ ვთსკაროქრქინს ვაროქსანს მხრასანსოქს, სერესანს იქარქრქ ი იქესანს თიქ, შანს ვი იქ იონქრს აქნქანს საროქრინს, იორ სქს სარათ ვიქ ქრქსენს ვნთსაქსაქსარქსარქორძანს რარქოქსენს: ვლასანს იორქ იქინსაქ სანქინს იქრსენს მქ მქ ბოქსანს აქსავსანსაქარქსანს სანსენსაქსარქსენს, სანსკარქსაქსანს ვაროქსანსაქსანს იქსანსანს თანს ვლასენს სოქაროქრქ აქიქსაყავ: აქი თქრნს ვქსანს, იორ მქს მონსკაროქს ლ არქაროქსენს ი იქს თაქსიქ სიქრქორძანს სოქს, ვანსასთქსენს საროქრქინს ჰოქონსკაქს...¹⁹²

...სომეხთა წმიდა მამამთავრები გამოდევნილნი იყვნენ მშობლიური ქვეყნიდან, სადაც პირველი და უძველესი საყდარი იყო შირაკის ანისში, მაგრამ იმ ხანებში დაკავებული ჰქონდათ სამკვიდრო სადგური უფალ გრიგორისსა და მის ქვეყნის მანათობელ ძმას ნერსესს ანტიოქიის

ქვეყანაში, სლუქის მხარეში, წოვად სახელდებულ მცირე სიმაგრეში... ხოლო, როცა იხილეს ჩვენი ნათესავის უძღურება, შეეშინდათ წოვის სიმაგრეში დარჩენა, რადგან ისეთი მტკიცე არ იყო, რომ შეძლებოდა მათი ხსნა ქვეყნის წარმწყმედი მრისხანებისაგან. ამის გამო ისწრაფოდნენ აზვირთებულ ზღვაში გზა მოეძებნათ და გადასულიყვნენ აღმოსავლეთში, რადგან იმედი ჰქონდათ იქაური გაძლიერებული ქართველთა ქვეყნის მთავრისა და აფხაზთა მეფისა. მაგრამ [ისინი] შეიწყალა უფალმა... და მიჰმადლა მათ მიუვალი სიმაგრე ჰრომკლა.¹⁹³

ბრძოლა ანისისათვის XII საუკუნის 60-იან წლებში

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი

[1160 წწ.]

ამან რა იპყრა შარავანდედი მეფობისა, შუდ სამეფოდ განწესებული, აღმკულმან ზენათა პორფირითა და გვრგვნითა, აღიჭურნა მკლავნიცა მუსრვად და მოწყუედად წინააღმდეგომთა ქრისტეს სჯულისათა: აგარიანთა, ისმაიტელთა და მამადიანთა. პირველად წყალობისა მიმფენმან იმიერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუემოთა, დიდებულთა და აზნაურთა, სპასალართა და სპასპეტთა, შინაურთა და გარეშეთა, ჯელ-ყო შეყრად და გამართებად ქალაქსა ზედა კალზევანსა და წარმოტყუენა ყოველი ჯევენები კლდოვანი და ქალაქები აშორნისა, სომეხთა მეფედ წოდებულისა შაჰერმენისა.¹⁹⁴

ტბეთის სახარება (ხეც, Q-929), პავლე მტბევარის ანდერძი

[1161 წ.]

ღირს ვიქმენ... სულითა საწყალობელი პავლე ჯუარის მყვანი ღუთისა მოწყალებითა და ... საყდარსა ტბეთისასა დაპყრობად, გამზრდელისა ჩემისა ღუთიგ გვრგვნოსნისა მეფეთ-მეფისა დიმიტრის მიერ... და მიანიჭა ღმერთმან ძესა მათსა გიორგის მეფობად, ლომთა უმწნესსა და არწივთა უმაღლესსა, და მისცა ღმერთმან ურიცხვ ძლევადა და გამარჯულებად ყოველთა წინააღმდეგომთა მისთა ზედა. მეხუთესა წელსა აიღო... აგარიანთაგან... ტყუჭთა... ანისისასა... ათასითა კაცი... და ეზომი ღმრთის წყალობად და მტერთა [ზედა] იყო მის გამარჯულებად რომელ მსგავსად აბიმელექისა და გედეონისა მცირითა ერთითა სძლო ურიცხუსა მას სიმრავლესა ბარბაროზთასა და მოკლვით და ტყუჭობით მოსწყვდეს ოცდაათექუსმეტი ჩ კაცი, დაუტევეს სატურტლე: ურიცხვ კარვები, ცხენი, აბჯარი და ყოველი საქონები მათი; დაიპყრეს თავადი ამირაები; სუქმანის ძე ძლივ წავიდეს დაკოდილ-ჩამოგდებული.¹⁹⁵

ბურჰან ალ-დინ ალ-ანავი, ანისის გულები

[1161 წ.]

یکی واقعه ناگه آمد پدید	چو سالم ز دوران بهژده رسید
سپاهی بیامد ز اندازه بیش	ز کفار ابخاز بدرای و کیش
گرفتند شهر و بشد کارزار	نهادند بر شهر آنی حصار
چنان لشکری بزرگ و بدمنش	بشهر اندر آمد شه بدکنش
بتیغ و بخنجر بسی مُرد	گرفتند و کشتند رفتند و برد
گرفتند و بردند یکسو اسیر	مسلمان زن و مرد برنا و پیر
گرفتند در دست گرجی نوان	من و جمله خویشان من ز آن میان
در احوال ایشان تلفظ اوستاد	مرا چون که بد خط انجیل یاد
ز چنگال کفار چون اژدها. ¹⁹⁶	سبب گشت این علم گشتم رها

როცა თვრამეტი წლის შევიქენი, მოულოდნელად ერთი რამ მოხდა.
 ურჯულოების - ავისმზრახველი და ავი რწმენის აბხაზ[ებ]ის - ურიცხვი ლაშქარი მოვიდა.
 ქალაქ ანისს ალყა შემოარტყეს. აიღეს ქალაქი და გაჩაღდა ბრძოლა.
 ქალაქში შემოვიდა ავისმქნელი მეფე, ისეთი დიდი და ავზიანი ლაშქრით!
 შეიპყრეს, დახოცეს და წაიღეს, ისრით და ხანჯლით იმდენი კაცი განიგმირა!
 მუსლიმი ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ჭაბუკი - შეიპყრეს და ერთიანად ტყვედ წაიყვანეს.
 მათ შორის მეც და ჩემი ოჯახობაც ქართველთა მიერ შეპყრობილები ვცახცახებდით.
 რადგან მე ვიცოდი სახარების კითხვა, გაწაფული ვიყავი მათებრ საუბარში,
 ამ ცოდნის წყალობით გავთავისუფლდი გველეშაპის მსგავს ურჯულოთა კლანჭებისგან.¹⁹⁷

ალ-ფარიკი, მაიაფარიკინის ისტორია

[1160-1161 წწ.]

وفي سنة ٦٥٥ وثب القسوس بمدينة آنة على صاحبها الامير فضلون بن منوجهر وانهزم ومضى الى قلعة تسمى بكران مجاور سرماري وسلّموا القسوس آنة الى ملك الابخاز كركور وحضر عساكره وملكها ونهب منها مالا عظيماً وسبى جميع اهل شداد وفضلون. وفي جمادى الاولى ولى ملك الابخاز فيها حاجبه سعدون وعاد الى تفليس.¹⁹⁸

ქალაქ ანისში სამღვდლოება აჯანყდა მისი მფლობელის ამირა ფადლუნ იბნ მინუჩიჭრის წინააღმდეგ. ის დამარცხდა და სურმარის მეზობლად, ბაქრანის ციხე-სიმაგრეში გაემართა. სამღვდლოებამ ანისი აფხაზთა მეფეს გიორგის გადასცა. მისი ლაშქარი მოვიდა, დაეუფლა [ანისს], იქიდან დიდძალი სიმდიდრე წაიღო და შადდადის მთელი ოჯახი, ფადლუნის ჩათვლით, ტყვედ წაიყვანა. ჯუმადა ალ-ავვალის თვეში (28.IV-27.V.1161 წ.) აფხაზთა მეფემ ანისის მმართველად თავისი შავიბი სადლუნი დანიშნა და თბილისში დაბრუნდა.¹⁹⁹

ალ-ფარიკი, მაიაფარიკინის ისტორია

[1161 წ.]

وفي رجب من السنة اجتمعت العساكر جميعها من جميع اطراف شاه ارمن وعزّ الدين سلّنتق وفخر الدين (دولت شاه) صاحب ارزن وصاحب القرس وسرماري وساروا الى نهر ارس وخرج الصاحب نجم الدين (الي بن تمر تاش) يقصدهم فنزلوا على آنة في شعبان من السنة واقاموا عليها فقصدهم ملك كركور ملك الابخاز وكسرهم على باب آنة و(لما) وصلت العساكر والملك انهزم الامير سلّنتق فانفصل عن المسلمين لان كان ملك الابخاز ديميطري لما أسره كما ذكرنا واطلقه استخلفه انه لا يضرب في وجهه سيفاً ولا وجه اولاده ولا يُلقى له عسكراً ولا لاولاده ما عاش وطلب سلّنتق الغرس. فلما انفصل الامير سلّنتق انهزم العساكر من المسلمين ووقع فيهم السيف وقتل منهم خلقاً عظيماً. فانهزم شاه ارمن من باب آنة وصاحب ارزن بفرسه واسر من المسلمين ما لا يحصى ونهب برك شاه ارمن وقتل اكثر اصحابه والمسعود من سلم من الواقعة وأسر من المسلمين مقدار تسعة الف فارس ورجال من اكابر بيت سكرمان وغيرها فأسر بدر الدين اخو الخاتون صاحبة اخلاط لأمها وخلق لا يحصى.
 وبلغ خبر الكسرة للصاحب نجم الدين وكان وصل الى ولاية منانجرد فعاد ولم يجتمع بشاه ارمن ولا حضر الواقعة ووصل الى ميفارقين. ونفذ الوزير جمال الدين وزير الموصل الى ملك الابخاز رسولا وشفع في الامير هلدري القرظفي صاحب اسباگرد وكان من اصحاب شاه ارمن وأمر في الواقعة فاطلقه ونفذ جمّة الف دينار واشترى بها اسارى من المسلمين ممن ليس له أحد ولا اهل ولا مال واشترى قوما حجازيين كانوا أسروا في الواقعة.²⁰⁰

556 რაჯაბის თვეში (26.VI-25.VII.1161 წ.) სხვადასხვა მხრიდან ჯარი შეგროვდა – შაჰ-არმანის, ‘იზმ ად-დინ სალთუკის, ფაზრ ად-დინის (დავლათ-შაჰი) – არზანის მფლობელის, [და, აგრეთვე] ყარსისა და სურმარის მფლობელისა. ისინი მდინარე არემისკენ დაიძრნენ. მბრძანებელი ნაჯმ ად-დინი მათთან შესაერთებლად გაემართა. შა‘ბანის თვეში (26.VI-23.VIII. 1161 წ.) ისინი ანისს მიადგნენ და შემოეწყვიტნენ. მეფე გიორგი მათთან შესახვედრად გაეშურა და ისინი ქალაქის კართან დაამარცხა. როდესაც მეფე თავისი ჯარით მოვიდა, სალთუკი მუსლიმებს გამოეყო და გაიქცა. რადგან, როცა მეფე დიმიტრიმ ის ტყვედ ჩაიგდო და გაათავისუფლა, დააფიცა, სანამ პირში სული ედგა, არც მახვილს აღმართავდა მისი ან მისი შვილების წინააღმდეგ და არც ლაშქრით შეხვდებოდა მას და მის შვილებს. სალთუკმა ცხენი მოითხოვა. როდესაც ჩამოშორდა ამირა სალთუკი, დამარცხდა მუსლიმთა ლაშქარი, დაეცა მათ მახვილი და მოიკლა მათგან დიდძალი ხალხი. დამარცხდა შაჰ-არმენი ანისის კარებთან, და გაიქცა არზანის მფლობელი თავისი ცხენით. ტყვედ იქმნა მუსლიმთაგან ურიცხვი და გაძარცვეს შაჰ-არმანის კარავი. მოიკლა უმეტესობა მისი მიმდევრებისა და ბედნიერია ის, ვინც ბრძოლას გადაურჩა. დაატყვევეს ცხრა ათასი მხედარი და ქვეითი, სუქმანის ოჯახის დიდებულთაგან და სხვები. ტყვეთა შორის იყვნენ ბადრ ად-დინი, დედით ხლათის ქალბატონ ხათუნის ძმა და სხვა ურიცხვი ხალხი. დამარცხების ამბავი მანასკერტში მოსულმა მბრძანებელმა ნაჯმ ად-დინამაც შეიტყო და ის მაიფარეკინში გაბრუნდა, ისე რომ შაჰ-არმანს არ შეერთებია, ან ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. ჯამალ ად-დინმა, მოსულის ვეზირმა, აფხაზთა მეფეს მოციქულები გაუგზავნა, რადგან ისპაკირდის მმართველი ჰლდრი ალ-კრატფი, რომელიც შაჰ-არმენის ერთერთი თანმხლებთაგანი იყო, ბრძოლაში ტყვედ ჩავარდა. მეფემ ის გაათავისუფლა. ვეზირმა, ასევე, ათასი დინარი გაგზავნა იმ მუსლიმი ტყვეების გამოსასყიდად, რომელთაც არც ოჯახი ჰყავდათ და არც ფული ჰქონდათ. ამგვარად მან გამოიხსნა გუნდი ჰიჯაბელებისა, რომლებიც ომში დაატყვევეს.²⁰¹

გრიგოლ ხუცესი, ქრონოგრაფია

[1161 წ.]

Ի թուականութեանն Հայոց ՌՄ (1161) թագաւորն Վրաց Գորգի, որդի Դենեսորի՝ որդոյ Դաւթի, եկն ի վերայ թագաւորաբնակ մեծի քաղաքի Անույ յաւորս ամարայնոյ, յաւոր երկուշաբաթի, և մի օր արարեալ ի վերայ քաղաքին, ի վաղիվն առեալ զքաղաքն բռնութեամբ, և սպան մարդ հազար ընդ քրիստոնէայ և ընդ այլազգի: Եւ եղեալ պահապանս քաղաքին արս ընտիրս երկու հազար, և ինքն դարձաւ մեծաւ յաղթութեամբ և գնաց ի թագաւորութիւնն իւր: Իսկ Տէր Խաթայ որ Շահի-Արմենն կոչեն, ժողով արարեալ արս ութսուն հազար, եկն պաշարեաց զքաղաքն Անի. Ջայն լուեալ թագաւորն Վրաց, եկն ի վերայ նոցա և կոտորեաց գնոսս, և արար գնոսս փախստական և սպանաւ ի նոցանէ յայնս ատոր արս եօթն հազար, և առին ծառայս երկու հազար և հինգ հարիւր, գլխատուր՝ որք էին հարիւր յիսուն ի նոցանէ՝ ամիրայք մեծամեծք. և ձիս և ջորիս և ուղտս անհամարս, և վրան և ջօշան, և այլ սլեռ որ ոչ թիւ, և ոչխար բազում. և լցաւ քաղաքն Անի ամենայն հարստութեամբ, գոր յառման Վրացոյն էին կորուսեալ՝ կրկնապատիկ շահեցան, մինչև զընտիր ջօշանն երկու դանկ ծախէին: Եւ գկնի բազում ատուրք գնային մարդիկք քաղաքին Անույ ի տեղի պատերազմին և գտանէին գրախս բազումս ի մէջ խոտին և բերէին: Եւ թագաւորն զայս բարութիւնս արար քաղաքին Անույ. Ջի յորժամ Էստ գնա՝ երեստ քառասուն հազար դահեկան և գնեաց ի հեծելէն զգերեալ ծառայսն Անույ՝ քրիստոնէայ և զայլազգի: Այս եղև ի պահն սուրբ Գրիգորի, որ ի միջինքն ամառան աղուցիցն՝ յորժամ առաւ Անի, և յամսեանն օգոստոսի կոտորեցին զամիր Միրայն որ էր Շահի-Արմեն: Եւ գկնի երից ատուրք եղև Խաւարդուն լուսնի, որ և յարին դարձաւ մինչև ի հասարակ գիշերին, սկսեալ յերեկորէն՝ որ օր շորքտասան էր լուսնին.²⁰²

სომხური წელთაღრიცხვის 610 (1161) წლის ზაფხულში, ორშაბათ დღეს, ქართველთა მეფე გიორგი, ძე დემეტრესი, ძისა დავითისა, სატახტო ქალაქ ანისის წინააღმდეგ წამოვიდა. ღამე გაათია ქალაქის [მისადგომებთან], მეორე დღეს კი ქალაქი ძლიერი შეტევით აიღო, ამოხოცა ათასი კაცი – როგორც ქრისტიანი, ისე უცხოთესლი – და ქალაქის მცველებად დააყენა ორი ათასი რჩეული კაცი, ხოლო თვითონ დიდი გამარჯვებით თავის სამეფოში დაბრუნდა. ხოლო ხლათის პატრონმა, რომელსაც შაჰი-არმენს უხმობენ, შეყარა ოთხმოცი ათასი კაცი, მივიდა და ალყაში მოაქცია ქალაქი ანისი. ეს რომ გაიგო ქართველთა მეფემ, წამოვიდა მათ წინააღმდეგ, გაულიტა ისინი და გააქცია. იმ დღეს მათგან შვიდი ათასი კაცი დაიხოცა და ტყვედ ჩავარდა ორი ათას ხუთასი, მათ შორის ას ორმოცდაათი მეთაური, დიდ-დიდნი ამირანი; [ხოლო] ქართველებმა [ხელთ იგდეს] ცხენები, ჯორები, აქლემები, კარავი, ჯავშანი და სხვა აურაცხელი საჭურველი. და აივსო ქალაქი ანისი დიდი სიმდიდრით. ის, რაც ქართველთა მიერ [ქალაქ ანისის] ალების დროს განიძარცვა – [მას] ორმაგად აუნაზღაურდა; [ასე მაგალითად,] ძვირფასი ჯავშანი ორ დანკად იყიდებოდა. და მრავალი დღის შემდეგ ქალაქ ანისის მოსახლენი მიდიოდნენ ბრძოლის ადგილას და ბალახებში მრავალ იარაღს პოულობდნენ და თან მიჰქონდათ. [ქართველთა] მეფემ ის სიკეთე მიანიჭა ქალაქ ანისს, რომ როდესაც დაეუფლა მას, უბოძა [ქალაქს] ორმოცი ათასი დრაჰკანი და გამოისყიდა [მტრის] მხედართა მიერ დატყვევებული ანისის მსახურები – ქრისტიანი თუ უცხოთესლი. ეს მოხდა წმინდა გრიგოლის მარხვის დროს, რომელიც [არის] ზაფხულში, შუა დიდმარხვაში, როდესაც აიღეს ანისი. აგვისტოს თვეში მოკლეს ამირი მირა, რომელიც იყო შაჰი-არმენი. ხოლო სამი დღის შემდეგ კი მოხდა მთვარის დაბნელება, როდესაც მთვარე თოთხმეტი დღისა იყო, დაწყებული საღამოდან, რომელიც სისხლისფრად იქცა შუალამეს.²⁰³

სამუელ ანეცი და მისი გამგრძელებლები, ისტორია

[1161 წ.]

Յայս անս թագաւորն Վրաց Գօրգի առ զԱնի յունիս ի ԺԳ: Եւ ապա յաւգոստոս ամսամտին՝ կոտորէ զՇահի Արմէնն, եւ ին հազարս 20- եւ այսորիկ ասկանատես նէնաք մք: Ի ԳՌ- գրով այն էր, որ գերեսաց, թող զանկեսսս դիակունսն, որ ծածկէր զանդաստանս մեր.²⁰⁴

ამა წლის 13 ივნისს ქართველთა მეფე გიორგიმ აიღო ანისი, ხოლო აგვისტოს თვის დამდეგს გაანადგურა შაჰი-არმენი, ოთხმოცი ათასი[დან] [დაუხოცა] 7000 [მებრძოლი] და ამის თვითმხილველნი გახლდით ჩვენ. [ამ ომში] 3000 დაატყვევეს. მინდორ-ველები დაფარული იყო დაცემულთა და მიტოვებულთა გვამებით.²⁰⁵

მხითარ გოში, ალბანეთის ქრონიკა

[XI საუკუნის 60-იანი წწ.]

Իսկ Գիորգի իբրս թագաւորեսաց և հաստատեցեսս՝ բազում գործ արութեան ցուցանէր՝ արչաւելով ի կողմանս կողմանս, զբազում գաւառն հարկանէր զպատահեսսսն պատերազմս, առնոյր և զքաղաքն Անի միանգամ և երկիցս՝ կոչելով նայիսկուպսին Բարսղի և ნეբარցս նորս, որդոցն Մագիսարոսին Հասანայ: Եւ ապա ընդդիմացեսս ոչ տային ի ձեռս նորս զքաղաքն: Եւ առեսս բռնաբար զքաղաքն և հրամայեսս սասար հարկանել: Եւ ներկացուցესս զարացն զամենիսնսն գայუს և զկանայսն, զքահանայսն և զկրանատիրս՝ բაզում անարգանս ցուցանէին յաղագս ընդդիմանալոյն: Եւ նէնայ չახասս քաղաքին և զար ընդ նմս՝ գնաց: Եւ ննէնայ քաղաքն յարչաւանսց թչնանսց՝ աղաղակեցին տալ ի ձեռս առաջին տեսունն, որ էր պարսիկ ազգս, և դարձესս յայլ յայլն փոխեսս՝ ոչ լինէր իսողութին քաղաքին և գաւառին: Ապս տայ ի ձեռս զարապարին իրոյ Իւանէի: Եւ ոչ նէն և ոչ այնպէս հանդարտութին, մինչև տալ

ი ანთა ჩიროგ ათაჯნოგ თნრანგნ: ჩას ლესიოცინ, որ ღე ჩქსან აანნაყნ ჟაყაიროიქსანნ ოარუხგ, გაყა ჩერს ნთნა ს დანნაყნ გაყოიქინ სორა, კათაჟ ქან გაყოიქს გაიარაძიოდ ნილა, ათნაჟ რნო ჩიო გაიოტანან ს ნსნაჟ რანასნესაჟ ი იაჯთინ მნრდ ი რნოინ, იო კიჯი ჳაჟ... ჩას ლაყაიორნ ჳიორცი ძიოდ არარნაჟ გაიარაჟ რაყანაჟ, ნსნ რანასნესაჟ რნოინ სორა ს აყათრასთნესაჟ აყათნრაჟი: ჳი სოგა ი გიჯნრინ, კირონ ხანოქნრინაჟ ლინ ქაოინ აყათნრაჟი, ქაქათოცნაჟ გაოტანაჟიქ ჟიოლნაჟ გიჟორანსა ჩიონანგ გნაგინ. აჟ სასყან იჯ იაოარღე ი ჟარ კანაჟ, იო რნო ქრისთინნაჟ: ჳსნაჟ კანსკარბაიონ ი სახანანს ანოჟ, ს გჟნას, ს გჟაქინ გაიანაყნაოიორნაჟან ათნაჟ ს აყინაჟ გაიოიგუ ს გრაჟიონ გაიო ს გყანაჟაჟ ს ანანსიქ რნო სოა.²⁰⁶

ხოლო გიორგიმ, როდესაც მეფობა განიმტკიცა, მრავალი გაბედული საქმე გააკეთა, სხვადასხვა მხარეებში შეიჭრა, მრავალი ოლქი დალაშქრა და ბრძოლით დაიმორჩილა. აიღო ქალაქი ანისი, ჯერ ერთხელ, ხოლო [შემდეგ] მეორედაც, ეპისკოპოს ბარსელის და მისი ძმების – მაგისტროს ჰასანის შვილების მოწოდებით. შემდეგ მას წინააღმდეგობა გაუწიეს და არ მისცეს ქალაქი. მაშინ აიღო ქალაქი ძალით და ბრძანა მისი გაძარცვა; გააშიშვლა ყველა ჯარისკაცი, [აგრეთვე] დედაკაცები, მღვდლები და ბერები და მრავალი შეურაცხყოფა მიაცენა წინააღმდეგობის გამო. დაადგინა ქალაქის თავი, მასთან ერთად [დატოვა] ჯარი და წავიდა. ქალაქი შევიწროებული იყო მტრის თავდასხმებით; სთხოვეს [გიორგის] მიეცა [ის] ხელთ უწინდელი მფლობელისათვის, რომელიც ტომით სპარსი იყო. კვლავ გადადიოდა ის [ქალაქი] ერთი [ხელიდან] მეორეში. არ ჰქონდა მშვიდობა ქალაქსა და არეალს. შემდეგ ხელთ მისცა თავის მხედართმთავარს ივანეს, მაგრამ მაინც არ დამყარდა სიმშვიდე, ვიდრე არ გადასცა მის უწინდელ მფლობელს. ხოლო ელტიკუმბა, რომელიც მთელი სპარსეთის სამეფოს იშხანი იყო, როდესაც დაინახა მთელი მისი ძლიერება, წინასწარ გამოიყვანა თავისი სულთნის მთელი ჯარები და დაბანაკდა ველზე, იმ ციხესიმაგრის მახლობლად, რომელსაც გაგი ეწოდება... ხოლო მეფე გიორგიმ შეკრიბა დიდი ჯარი, მოვიდა, დაბანაკდა მის საპირისპიროდ და მოემზადა საბრძოლველად... იმ ღამეს, როდესაც ემზადებოდნენ დილისათვის საბრძოლველად, [ათაბაგმა და სულთანმა] ფარულად დატოვეს თავიანთი კარავი და გაიქცნენ. მაგრამ არ დასცხრომიათ ბოროტი სურვილები ქრისტიანთა მიმართ. მოულოდნელად მივიდნენ ანისის საზღვრებში და მიიტაცეს სოფლები აშნაკი და თალინი, დასწვეს სიმაგრეები. მრავალი კაცი და ქალი და მათთან ერთად ბავშვები გარეკეს ტყვეებად და შორეულ ტომებში გაყიდეს.²⁰⁷

მიქაელ ასური, მათიანე

[1161 წ.]

ჰაყან ძანანასქი ჟაყაიორნ ქრაჟ გღოიქი ნხარ გსაქოიქს ანჩირაჟნ. ს კაყაჟ გსაქოიქს ს ქანანთნაჟ გნა. სი ლათ განჩი რაოჟა. ჳი იარინაჟ ძაოიქნესაჟ რაყანოიქინ ლიორჟაჟ რნო იღნ გღოიქნაჟ, ს კიოთონესან ი ნანან ჟაყარჟ ჟაყარაჟ ს ქიოჟ ქიოიგ.²⁰⁸

იმავე წელს საქართველოს მეფემ, გიორგიმ, დაამარცხა ამირა სალთუხი, დაატყვევა იგი და გაჰყიდა. და აიღო ქალაქი ანისი. კვლავ შეიკრიბა თურქთა სიმრავლე გიორგის წინააღმდეგ და დახოცეს მათგან ათასნი ათასთაგანი და მრავალნი მრავალთაგანი.²⁰⁹

ისტორიანი და ამმანი შარავანდედთანი

[1161 წ.]

კუალადცა ინება შეყრად და გალაშქრებად, და მიმართა დიდად ქალაქად ანისად, რომელი ძუელ ოდესმე ბერძენთა მეფეთა სახლი და საჯდომი იყო, რომელსა შინა მოდღესამდე არს ათას და ერთი ეკლესია. და მირიდებითა ბერძენთათა და მიმოცვალებითა ჟამათა დიდად-

გუარიანთა ვიეთმე შადადიანთა გამგეთა დადგმულთა ამას ზედა მყის მიმჭდომმან სამ დღე ყო
ომთა სიმრავლე და ძგერა ჰუნეთა, სიტყვთ და საქმით ბოლოდ დასტეხნეს; ვითარცა აკანაფი-
ანმან ამფხურელმან და მეხისტეხის-მყოფელმან შორის ელვებსა, გარდახუეწასა შინა შადა-
დიანისა ჴელთ იგდო ქალაქი ნებისაებრ თვისისა და არა დამბრუნებელმან და შემტყობელმან
დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად. დამგდებელმან ივანე
ორბელისა, მანდატურთ-უხუცესისა და ამირ-სპასალარისა, თანაშემწეობითა სარგის მჭარგრ-
ძელისათა და სხუათა თემისა დიდებულთა აზნაურთათა ურვა-ქმნილმან მოჭმართა თვსთავე
სანადიროთა სათამაშოთა და გასახარებელთა. რომლისა ჯავრისაგან აღიძრა ნავლეელ-ფიცხე-
ლობა და ქედმაღლობა აგარიანთა და ისმაიტელთა. და შარიარმან, სულტანად მწოდებელ
თავისამან, მაწვეველ იქმნა ყოვლისა შამისა, ჯაზირისა და დიარბაგისა თურქთა თანა გარდმა-
ნისათა: არდოხის ძე, რომელი პაპისა მისისაგან დიდგვართა კუზის ძე იყო, რომლისა მამამან,
ლაშქრობათა შინა სპა-მრავლად სახელგანთქმულმან, გამოჩენილი ივანე აბულეთის ძე
ლტოლვილ ყო; სალდუხ სალჩუკიანი, რომელი სულტანთა გუარსტომობდა სრულიად, მრავ-
ვალთა დიდთა მეპატრონეთა და ფადაშაჰთა სპარსეთისათა თანა, მსგავსად მცეცთასა აღმ-
ლესველი კბილთა, დიდითა და მიუწოდომელითა ძალითა და უჭამრავითა ლაშქრითა მოვიდა
და მოადგა ანისსა, ყოველთა დღეთა კართა ზედა მბრძოლი მაშქერებელი და მაძვერებელი
ცხენთა და აბჯართა. ხოლო ცნა ესე მეფემან მეფეთამან გიორგი ნაჭარმაგევსა, სახლსა სათა-
მაშოსა შინა, კაცმან მამადმან და ზეს გამომდებელმან წყობათა შინა, იწმნა დასნი და დასნი და
ზედადამბრთველმან ერთმანერთთა ზენა-ქუნათა, ვითარ ყოველთა ხილულთა ზესთაობასა
წინააღმდგომ ექმნა ჩრდილოსა და აღმოსავალსა. და ვითარ ითქმის, „გმირი სრბად გზასა, შე-
ირტყა და წარემართა და სუფევდა“, არლა დამხედველი მცირეთა, და ყოვლადვე არლა მომ-
ლოდინე ექმნა სახელგანთქმულთა ჯაბუკთა ლიხთ-იმერთა და ვიეთთამე ამერთაცა მინდობი-
ლი წყალობათა შემძლისა, ვითარ იტყვს ისტორია ისქანდარ მაკიდოვნელისა, და ხადა ძალსა
ძალთასა, რომელი მეუფებს ცასა ცათასა და თუალავს სიმრავლესა გარემომდგომთა მტერთა-
სა. არცა განმლეობასა მტერთასა მახვილთა ელვისა, გარდამავალი მათთა შთავიდა შირაკად.
რომელსა თანავაზირობდეს იოვანე მწიგნობართ-უხუცესი და სუმბატ სვიმონ-ქმნილი, რომე-
ლი სხუათა საჭურთა თანა საქმიეთაცა აღჭურვილ იყო და მით მშლელ მისლვისათვს სიმცრო-
სათვს სპათასა. არა დამორჩილდა მწნე მწნეთა და გოლიათი გოლიათთა, ჭემმარითად მიმლე-
ბი მოწამეთა ღუაწლთა და გვრგვზსა, თვთ სენხოობითაცა მიმსგავსებული გიორგი: მან თუ ერ-
თი ვეშაპი, ამან კულა ბევრნი ბევრთა სახენი ასპიტთა და იქედნეთანი სძლივნა უძლეველმან
მწედარმან, მართობთაცა შინა გონებისათა მიმართ. მხილველმან სარკინობთა სპაებისამან
გარდასლვითა მლოცველმან და მავედრებელმან, თუალთა ზეცად აღმპრობელმან აღსაჭურ-
ველეს მიმცემელმან იოვანეს და ძელისა ცხოვრებისა მიძღუნავად. და ამწედრდეს გულითა
განჭურვებულთა და ურთიერთას განამწნობდეს. და შვილნი ცხოვრებისანი სიკუდილსა არა
რიდებდეს თავსა. ხოლო მეფემან, მტკიცედ აზვევებულმან ჰუნესა ზედა ჴმითა მით ხოსროვანი-
თა გასცა ღაღადი და სწავლა გულსა მწედართასა, ვითარმედ: „კაცნო ძმანო, ერთსულნო და
ერთრჯულნო! თუ რაზომ დიდად კეთილ არს საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარები-
სათვს სიკუდილი, რომელნი სამარადისოდ ვნატრით ქრისტეს კუალთა შემდგომთა და მომკუ-
დართა მათ თვთ ბუნებითა მკუდართა სხეულთაგან. და ხედავთა, თუ რაოდენ უფრო სასახე-
ლო არს მწნებრივ სიკუდილი, ვიდრელა სენითა განდნობითა განლეულეებასა შინა, რამეთუ
სახე და სახელი კეთილისა საუკუნოდ გზად გუყუების. რამეთუ გუასმიეს ძუელთა მომთბრო-
ბელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათვს ტომმან ებრაელ-
თამან არტარქსერქსის ზე, ელენთა – ოდეს-იგი იძღუნებოდეს თემისტოკლეოს მიერ, უცთო-
მელისა სპასპეტისაგან და სოფლისა მქონებელსა სძლესა არტარქსერქსის რომელმან ზღუაცა
მტკიცე ყო უომრად სპაებთათვს, ხოლო ათინელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრღუეულ
იქმნა. აწ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩემთვს განლახურილისა აღვიხუნეთ ლახუარნი და
ოროლნი, და უგმირნეთ ურწმუნოთა ღვთაებისა მისისათა.“ და წარმომთქუმელმან უკანასკ-

ნელთა ლოცვათამან მოუწოდა ამირახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბექასა სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა თანა, მბრძანებელმან, მუნცა ღიმილითა და სიცილითა მლაღობელმან: „მოყმენო, იგიცა ვჯობთ, რომელმანცა უმსწრაფეს უხეთქნეთ დროშის მქონესა, და დაცემითა მისითა დავსცეთ ბანაკი ნავალისი, მასმიეს და კიდრისა შთამოსულთა“. ესრეთ სასოებით მოქადულმან განვლნა რაზმნი და სუმპერაზმანი, განწონნა კინენი მსგავსად აფროდისისა მქონესა წყობისა მამტკიცებელისასა. და ვითარ იხილეს დროშა დაცემული მკლავითა აქილიანითა, იქცევისი მკუეთრ მკუეთელად, იწმიეს სივლტოლა ძალისაებრ ჰუნეთასა. რომელსა შინა აღესრულა სიტყუა წარქცევად ერთისაგან ამირსპასალარნი, დიდებულნი და ლაშქარნი. ამათ აქათ და მათ მუნით აღინეს ღუარი სისხლისა. და თვთ მეფე აღექსანდრეს სუითა და სიაოშის მოყმობითა სდევდა მრავალგზის გამომცვლელი რაზმთა, სცემდა და იცემებოდა, სრვიდა და ისროლებოდა, და ბუმბერაზნი მისნი თანაშემწეობდეს. მხედველნი, ვითარცა ერნი ისრაელისანი, და მზეცა, ისუ-ნავეთებრ, მდეგი ველარა მპყრობელი ეტლთა განგებითა მსრბოლობისათა, შთაეწურა დევნასა შინა მათსა. და კუალად შემქცეველთა იხილეს სიმრავლე სრვილისა და მოსრვილისა, ჳელმწიფეთა და დიდებულთა, აზნაურთა ლომთა და მონათა, სიმრავლე კარავთა და სარაფარდათა, სიმდიდრე თუალთა და მარგალიტთა, ოქროთა ჳედილთა და უჭედელთა, აქლემთა, ცხენთა და ჳორთა და ყოველთა განძთა, და სოფლისა სიმდიდრეთა და მონაგებთა, აღსარიცხად გარდარეული. ცოცხალთა უამრავთა თანა იხილეს ოთხთა მკუდართა მიერ აპყრობა ჳელისა, რომელი რქუა ათასისადა ათასთა ესრე სახედ მგებარეთადა ქმნა, რათა იწყეს შეკრება ორმოთა ზედა. იხილნა მეფემან კოსტანტინე საყურელნი და საკუთარნი ვეზირნი, სპასალარნი, ჳელისუფალნი და თავადნი, დიდებულნი და აზნაურნი, მონანი და მოყმენი. და შეხადეს მას ყოველმან ერმან და ესრეთ ჰქუეს შემოსილსა ჳელმწიფესა დაკოდილთა და ნაცემთაცა: „მშვდობა“. რადცამცა სახედ დაისახოდა, თუ ვითარ მხიარულნი და მმადლობელნი ღმრთისანი და ღმრთისაგან მის სახედ ჩენილისა პატრონისანი იშუებდეს ფრიად მპოვნელნი მამა ძისა და ძე მამისა, ძმა ძმისა და თვისი ნათესავისა, პატრონი ყმისა და ყმა პატრონისა. გამარჯუებულნი და აღვსილნი ყოვლითურთ სიხარულითა იღიმოდეს, ამბორს უყოფდეს ურთიერთას. და ამას ესევეთარსა განსაცხრომელსა და სახარულევანსა მეფობასა შინა თვთ მეფე მისით სპითურთ გარდამავალი თაყუანისმცემელ ექმნა ზენასა განგებასა. არა სჯულთა სიმტკიცეთა, არცა მსხვილ-ბარკალთა მამაკაცისათა, არამედ მას ზენასა ხუედრსა და ზეშთა წმიდასა განგებასა უგალობდა, დამხედ სიმდაბლითა დავარდა წინაშე უფლისა ღმრთისა საბაოთისთა ძალთასა და ცრემლთა მიერ სულ-დართულ დაჯდა განსუენებად და აღებად ბევრისა ბევრეულთაგან ნიჭთა მცირედ მცირედისათა. და ეგრეცა აღვსილმან საჭურავთა და საჭურჭლეთა მიერ, აღმსხმელმან ჳელმწიფეთა და დიდებულთამან, აზნაურთა და მონათამან მარადის, სამ დღე დამყოფელმან კართა ანისისთა და მაურვებელმან ქალაქისამან და მას შინა დამყენებელმან ამირისამან და ლაშქართა ამყრელმან პირითა მხიარულითა წარმოავლინა მახარობელი წინაშე ფილოსოფოსთა და პატრიარქისა, რომლისა ლოცვა თანამწედ ჰქონდა. და თვთ ნათლითა პირითა პირველად მივიდა გამზრდელისა მისისა წინაშე, თამარსა დედოფალსა დედოფალთასა, რომელმან დაივლტო პირველად ცრემლითა და მერმე სიხარულითა გარდარეულითა. და კუალად შეეყარა ცოლსა თვისსა ურცხუენელითა პირითა და ახოვნითა სახითა.²¹⁰

მხითარ ანეცი, მსოფლიო ისტორიის მატეანე

[1161 წ.]

Եւ թէ որպէս առաւ Յանի այլագգեաց՝ գրեցաւ եւ այժմս շնորհօք բարերարին աստուծոյ: Մինչև զօրացաւ թագաւորն Վրաց, որդին Դեմետրեայ, որդոյ Դաւթի ի քվին Հայոց ՋՋԺ (1161), զոր նկն յաւոր ամարայնոյ ի վերայ Յանոյ թագաւորաբնակ քաղաքին, նաև աստուածաբնակ ասնն եւ ոչամաչն: Եւ մի օր պաշարեալ զքաղաքն՝ միս օրն Էսո զնա բռնութեամբ, կոտորելով

მოხვეჭეს და წავიდნენ. მცირე ხნის შემდეგ ფაიზი, ეგვიპტის ხალიფა, გარდაიცვალა. ამასთან დაკავშირებით ეგვიპტელებმა იკისრეს ფრანკებისთვის ყოველწლიური ხარკის გადახდა ასსამოცი ათასი ოქროს დინარის ოდენობით.

და გიორგი, იბერთა მეფე, ჩრდილოეთისკენ გაემართა, თურქებს გამოსტაცა დიდი ქალაქი ანისი, ხელთ იგდო დიდი ნადავლი და ძალიან ბევრი არაბი ტყვე და დაბრუნდა თავის ქვეყანაში. და ამირა ჯამალ ად-დინი, რომელიც მოსულში იყო, ძალზე გულმოწყალე და სათნო კაცი იყო, და წარგზავნა გიორგისთან ელჩად მაფრიანი იგნატიუსი, რომ არაბი ტყვეები გამოესყიდა. და ის წავიდა და დიდი პატივით მიიღეს და დიდძალი ტყვეები გადასცეს უსასყიდლოდ. და საჩუქრებით გაისტუმრეს მოსულის ბატონთან და მასთან ერთად იბერიელი ელჩიც გაგზავნეს საკუთარი ხარჯით. და როდესაც ჩავიდნენ მოსულში, მმართველი თავად გამოვიდა მათ შესახვედრად. და მაფრიანი და ელჩები მოსულში შევიდნენ შუბებზე წამოცმული ჯვრებით და ქრისტიანებს და არაბებს შორის მშვიდობა იყო ტყვეების გათავისუფლების გამო.²¹⁹

ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია
[1161-1164 წწ.]

Ի վեցհարիւր եւ տասն (1161) թուին Էսո Գւորգի Վրաց թագաւորն զԱնի ՚ի Փատւոն ամիրայէն. որ փոխեաց զՇատատն նղբայր իւր. եւ զկնի յիսուն ասոր եկն Շահի Արմենն բագում հրոսակօք ՚ի վերայ հարուածեալ եւ ախտացեալ քաղաքին ՚ի Տոնացն: Չոր լուսայ Գւորգի անդրէն դարձաւ, եւ եհար գնոսա կոտորամբ սրոյ, գորոց գթին ոչ ոք կարաց զիտել. բայց ճերբակալքն Էին քսան հազար. եւ թողոյր ՚ի յԱնի զՍադուն իշխանն, յորոյ վերայ կարծիք ապստամբութեան եղեն՝ վասն խնամով ամրացուցանելն զպարիսպ քաղաքին, զոր իմացեալ թագաւորն ընկենու գնա ՚ի պատուոյ: Եւ նա սրտառեալ գնաց հատուած առ Տրսկուզն. զոր խաբէութեամբ կալեալ Տրիսպսպն Շաքէոյ, բերէ անդրէն առ արքայ եւ մնոանի. եւ զիշխանն Չաքարեան զՍարգիս՝ դնեն ՚ի տեղի նորա ՚ի յԱնի: Իսկ Տրսկուզն զայրացեալ չէր ինչ ձեռնհաս առնել, զի չորեք հազար Պարսիկ կորեաւ ընդ Սադունին: Իսկ թագաւորն Վրաց կուտէ առ ինքն զկովկասային գօրսն, եւ զայ առնու զԴուին խստագոյն խայտառակեալ գնոսա ՚ի սուր եւ ՚ի հուր, բաց ՚ի քրիստոնէիցն որ անդ... Չոր լուսայ Տրսկուզն զայ յայրեցեալն եւ ՚ի քանդեալն Դուին, եւ խոցոտեալ սրտիւ եւ արմոնեալ իբր զգագան կատաղի՝ զայ ՚ի Մրեն եւ այրէ անդ զամրոցն, ուր ողջակիզեցան վասն Քրիստոսի ոգիք իբրեւ չորեք հազար. եւ դառնայ ՚ի դաշտն Գագայ, եւ ասաց այրել զխաչն հոչակատր. վասն որոյ ՚ի բարկութենէն Տեառն պատժեալ լինէին ՚ի տուէ եւ ՚ի զիշերի ՚ի թինաբեր ձից: Եւ զկնի ՚ի թագաւորէն Վրաց ահաբեկեալ փախչի, թողով զկարասին եւ զգերիսն անդէն. սակայն զրգոէ զՕովի գաւուտանն, զորդին Մահնուդի զԱսլան եւ ածէ յԱնի, եւ զամս չորս պահէ ՚ի տառապանս անվար եւ անհանգիստ. մինչեւ թագաւորն Վրաց Գւորգի ողորմելով քաղաքին՝ կոչէ առ ինքն գաւուտանն եւ տայ ՚ի նա զԱնի. զի չէր ձեռնհաս պահել ՚ի բազմութենէ անօրինացն.²²⁰

610 (1161) წელს ქართველთა მეფე გიორგიმ ანისი წაართვა ამირა ფადლონს, რომელმაც შეცვალა თავისი ძმა შადიდი. ორმოცდაათი დღის შემდეგ, მოვიდა შაჰი-არმენი ყახალთა დიდი გუნდით, დაესხა თავს ქალაქს, რომელსაც უკვე დიდი დარტყმა ჰქონდა მიყენებული სონები-საგან. ეს ესმა გიორგის, დაბრუნდა და ხმლით რამდენი მოსრა ვერავინ გაიგო, მაგრამ ტყვედ ჩაიგდო ორმოცდაერთი ათასი კაცი. ანისში დატოვა მთავარი სადუნი, რომელიც ჩათვალეს მოღალატედ [იმის გამო], რომ მან დაიწყო ქალაქის გალავნის გამაგრება. ეს გაიგო მეფემ და ჩამოართვა მას პატივი. ის გულანუყებულები გაიქცა ელტიკუზთან. შაქის ერისთავმა მოტყუებით შეიპყრო [სადუნი] და მიჰგვარა მეფეს, რომელმაც მოაკვლევინა ის. მის ადგილას კი ანისში დააყენა ზაქარიანელი მთავარი სარგისი. განრისხებულმა ელტიკუზმა ვერაფერი შესძლო,

რადგან სადუნთან ერთად დაილუბა ოთხი ათასი სპარსელი. ხოლო ქართველთა მეფემ თავისთან შეკრიბა კავკასიელთა ჯარი, მოვიდა და აიღო დვინი, სირცხვილი აჭამა მათ, ცეცხლსა და მახვილს [მისცა ყველაფერი], გარდა იქ მყოფი ქრისტიანებისა... ეს ესმა ელტიკუსს, მოვიდა გადამწვარ და განადგურებულ დვინში, დაკოდილი გულით, ღრენდა ვითარცა მძვინვარე მხეცი, მოვიდა მრენში, გადაწვა ციხე, სადაც ამოიწვა ქრისტესთვის დაახლოებით ოთხასი კაცი. ის დაბრუნდა გაგის მინდორზე და ბრძანა განთქმული ჯვრის დაწვა, რის გამოც ღვთის რისხვით ისჯებოდნენ დღე და ღამე შხამიანი გველებით. შემდეგ ქართველთა მეფისაგან დაშინებული [ელტიკუსი] გაიქცა, დატოვა რა ავლა-დიდება და ტყვეები. მან ააგულიანა წოვის სულთანი ასლან მაჰმუდის ძე, მოიყვანა ანისში და ოთხი წლის განმავლობაში ეპყრა [ქალაქი] ტანჯვასა და მოუსვენრობაში, ვიდრე ქართველთა მეფე გიორგიმ შეიწყალა ქალაქი, თავისთან მოიწვია სულთანი ასლან მაჰმუდის ძე და მისცა მას ანისი, რადგან პირადად არ შეეძლო შეენარჩუნებინა ის უსჯულოთა მრავალრიცხოვანი [შემოსევების] გამო.²²¹

ანონიმი ქრონოგრაფი, ისტორია

[1161 წ.]

იჟ (1161) შიქინ ღაირღი ათი განი. სიხარ გუაჩიარუნენ, კთერნ სურაქაქი ი იერანს ანიო.²²²

610 (1161) წელს გიორგიმ აიღო ანისი. დაიკავა შაჰი-არმენი, ხლათის მმართველი ანისის კართან.²²³

სტეფანოს ორბელიანი, სისაკანის სახლის ისტორია

[1161 წ.]

ივანე მხარგრძელის წერილი რომის პაპ ჰონორიუს III-ს

[1223-1224 წწ.]

Serviens Comestabulus totius Bratiae sive Armeniae Salutum capite inclinator ad pedes... Latori praesentium David sancto patri et episcopo nostro credatis tanquam nobis in hijs quae ex parte nostra sanctitati vestre duxerit proponenda. Nepos meus filius fratris mei, Sanxa nomine, dominus XV. magnarum civitatum inclinato capite ad pedes postulat benedictionem vestram.³⁰⁵

უმორჩილესი მსახური, მთელ ქართველთა და სომეხთა მხედართმთავარი ფერხთ წინაშე შენთა თავს ვხრი და მოგესალმები... ამ წერილის მიმტანს, დავითს, ჩვენს წმინდა მამას და ეპისკოპოსს, ენდეთ ისე, როგორც ჩვენ იმის შესახებ, რასაც იგი ჩვენი მხრიდან თქვენს უწმინდესობას მოახსენებს. მემკვიდრე ჩემი – ჩემი ძმისწული, სახელად შანაშე, თხუთმეტი დიდი ქალაქის პატრონია, უმდაბლესად თავს ხრის თქვენს ფერხთ წინაშე და ითხოვს თქვენს ლოცვა-კურთხევას.³⁰⁶

ასწლოვანი მათიანე

[1225 წ.]

ესე ზემოწესენებული სულტანი ჯალალდინ, უღონო იქმნა რა ბრძოლილი თათართაგან, მოუწოდა სპათა თვსთა და რქუა მათ: „...დაუტეოთ ქუეყანა ესე, აღვიღოთ დედაწული, სიმდიდრე და ჯოგი, და წარვიდეთ საბერძნეთს და მუნ დავემკვდრეთ. დალათუ ჩუენ თათარნი გუძღვევენ, გარნა ყოველთა ნათესავთა ჩუენ ვსძლიოთ. უკეთუ ვინ ინებოს, წარმოვიდეს ჩუენ თანა, და თუ სთნავს ვისმე, იყავნ შინა, რამეთუ ნება იყავნ ყოველთა სათნოდ უკუნისამდე“. თქმული ესე ყოველთა ეკეთა და აღიღეს დედაწული და ყოველი სიმდიდრე მათი, და წარმოვიდეს, და მოიწივნეს ადარბადაგანსა კაცი ვითარ ას ორმოცი ათასი. და მოიწივნეს ქუეყანად მჯარგრძელთა, რამეთუ ივანე ათაბაგსა ეპყრა დვინი, და ანისი მიეცა ძმისწულისა მისისა შანშესდა, მანდატურთ-უხუცესისათვს.³⁰⁷

ასწლოვანი მათიანე

[1225 წ.]

ამისა შემდგომად უდიდესნი ბოროტნი შეიცვიდეს ნათესავსა ქართველთასა, რამეთუ მოახლებულ იყო სრულიადი მოსპოლვა სიმრავლისათვს უსამართლობათა ჩუენთასა. რამეთუ აიძვედრა სულტანმან საქართველოსა შემოსლვად და მეფე-ყოფად თავისა თვსისა, მივიდა და მოაოვრა ყოველი ქუეყანა დვინისი, კუსტისა დვინისასა და ყოველი ანისი, სომხითი, გავი

განძამდე, შანქორი. უწინარეს ამისა ვარამ გაგელსა, კაცსა გონიერსა და ლაშქრობათა შინა წარჩინებულსა – ამას აქუნდა შანქორი და მიმდგომნი მისნი ქუეყანანი. ესევითარნი ჭირნი და შფოთნი იძრვოდეს.³⁰⁸

ასწლოვანი მათიანე

[1226 წ.]

და ესრეთ რა ძლიერად ჯელთ იგდო ქალაქი სულტანმან, კუალად იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა. ესოდენ მძუნვარედ მოსრვიდა, რომელ საესე იყვნეს ფოლოცნი, ხრამნი და ჳნარცუნი მოკლულთა მიერ და უმრავლეს მკუდართა მტკუარსა შეუტეობდეს... ესრეთ რა მოაოჯრეს ტფილისი, იწყეს რბევად, ტყუენვად, ჳოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანისა და იორის პირთა, ქართლს და თრიალეთს, ჳავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორას და ანისის მიმდგომთა ქუეყანათა.³⁰⁹

იბნ ალ-ასირი, სრული ისტორია

[1226 წ.]

في هذه السنة، في رمضان، عاد جلال الدين من كرمان، كما ذكرناه، إلى تَفْلَيْس، وسار منها إلى مدينة أني، وهي للكرج، وبها إيواني مقدّم عساكر الكرج فيمن بقي معه من أعيان الكرج، (فحصره وسيّر طائفة من العسكر إلى مدينة قرس وهي للكرج) أيضاً، وكلاهما من أحصن البلاد وأمنعها، فنالهما وحصرهما، وقاتل من بهما، ونصب عليهما المجانيق، وجدّ في القتال عليهما، وحفظهما الكرج، وبالغوا في الحفظ والاحتياط لخورفهم منه أن يفعل بهم ما فعل بأشياهم من قبل بمدينة تَفْلَيْس، وأقام عليهما إلى أن مضى بعض شوال، ثم ترك العسكر عليهما يحصر ونهما وعاد إلى تَفْلَيْس. وسار من تَفْلَيْس مجدّاً إلى بلاد ابخاز وبقايا الكرج، فأوقع بمن فيها، فنهب، وقتل، وسبى، وخرّب البلاد وأحرقها، وغنم عساكره ما فيها، وعاد منها إلى تَفْلَيْس.³¹⁰

ამ 623 წლის რამადანის თვეში (26.VIII-24.IX, 1226 წ.), როგორც უკვე ვთქვით, ჯალალ ად-დინი დაბრუნდა ქირმანიდან თბილისში და იქიდან ქართველთა კუთვნილი ქალაქის – ანისისაკენ დაიძრა. იქ იმყოფებოდა ივანე, ქართველთა ჯარის წინამძღოლი იმ ქართველ დიდებულებთან ერთად, რომლებიც მასთან დარჩნენ. [ჯალალ ად-დინმა] ალყა შემოარტყა [ანისს] და ერთი რაზმი ასევე ქართველთა კუთვნილ ქალაქ ყარსისაკენ გაგზავნა. ეს ორივე ქალაქი ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მტკიცედ და შეუვალად ითვლებოდა. ჯალალ ად-დინი დაბანაკდა მათთან, შემოეწყო და შეებრძოლა მათ, ვინც შიგნით იყო, დააყენა მათ წინააღმდეგ მანანჯიკები და ყველა ხერხით ებრძოდა მათ. მაგრამ ქართველები ყოველმხრივ იცავდნენ [ქალაქებს], იმის შიშით, რომ ის მათაც ისე მოექცოდა, როგორც ადრე მათ მოძმეებს მოექცა ქალაქ თბილისში. [ჯალალ ად-დინმა] იბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვიდრე შავვალის თვის ნაწილი არ დასრულდა (9.X. 1226 წ.), მერე დატოვა იქ ჯარი ორივე ქალაქის ალყის გასაგრძელებლად, თავად კი თბილისში დაბრუნდა.

შემდეგ [ჯალალ ად-დინი] სასწრაფოდ გაემართა თბილისიდან, აფხაზთა ქვეყნისა და დანარჩენი ქართველებისკენ, დაამარცხა ვინც იქ იყო, გაძარცვა, დახოცა, დაატყვევა ისინი, მოაოხრა ქვეყანა და გადაწვა ის; დავლად აიღო მისმა ჯარებმა, რაც კი იყო იქ და შემდეგ დაბრუნდა თბილისში.³¹¹

ასწლოვანი მათიანე

[1225-1230 წწ.]

ხოლო ამიერი ესე სამეფო უცალო იყო ხუარაზმელთაგან, რამეთუ მანდატურთუხუცესი შანშე იყო ანისს და ამირსპასალარი ავაგ ბიჯნისს, ეგრეთვე ვარამ გაგელი, ჰერნი და კახნი, სომხითარნი, ქართველნი, თორელნი, შავშნი, კლარჯელნი, ტაოელნი – ყოველნი სიმაგრეთა შინა ცხოვნდებოდეს, თვთეული მორჩილებასა შინა მეფისა რუსუდანიისსა, და უცალოებისა ძლით ვერ დახუდეს დალოცვასა მეფისა დავითისსა.³¹²

ასწლოვანი მათიანე

[1228 წ.]

ვითარ მივიდა მოციქული სულტნისა, და არა ინებეს ბრძოლა თათართა. ცნა ესე სულტანმან და გულისჴმა ყო, რომელ სპანი მისნი და ადარბადაგანისანი ვერ წინააღუდგებიან, დაუტევა ადარბადაგანი და წარმოემართა მეორედ ტფილისს. და ესმა რა ესე მეფესა რუსუდანს, მოუწოდა ყოველთა სპათა თვსთა, იმერთა და ამერთა, შანშეს მანდატურთ-უხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა, ვარამს მსახურთუხუცესსა, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა, რომელთა თვთოეულად არა არს ჟამი თქმად. განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდამოიყვანნა ოსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი. შეკრბეს ნაჭარმაგვეს სიმრავლე ურიცხვ, და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა. ხოლო თვთ დროშა სეფე არა წარგზავნა საქმისათვს ივანე ათაბაგისა. წარემართნეს და განვლეს ტფილისი. ხოლო სულტანი დაბანაკებულ იყო სომხითს, ჴევსა ბოლნისისასა. და ვითარ იხილეს დარაჯთა სულტნისათა, აცნობეს სულტანსა. ხოლო იგი აღიჭურა, რამეთუ იყო უშიში ბრძოლათა შინა, წინა განეწყო და იქმნა ომი სასტიკი, და პირველსავე შეკრებასა სძლევედეს ქართველნი. ხოლო ვითარ შენივთდა ბრძოლა, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ კაცი, მოხედნა ღმერთმან რისხვით ნათესავსა ქართველთასა, რამეთუ არა დასცხრა გულისწყრომითა უფალი, არამედ ჴელი მისი მაღლადვე არს და მოივსენა უსჯულოება ჩუენი, და იძლიენეს სპანი მეფისანი და ხუარაზმელთა მიერ ივლტოდეს. ხოლო სულტანი კუალად მივიდა ტფილისად.³¹³

ბაგნაირის სახარება (ერევანი, მატენადარანი, №1519), ანდერძმინაწერი

[1232 წ.]

...Աստուածաւեր ի բարեպաշտ քաջահաստ ի գովելի ի մրցումն ս արիութեան՝ հանգոյն քաջ նախնեացն իւրոց նահատակեալ ի վերայ տանս Հայոց, մեծապատիւ իշխանաց իշխանն Պատրոն Խառասա՝ որդի Ամիր Սարգսի, որ էր եղբայր մաւր կեսառոսաց Հայոց և Վրաց և ասննայն Ափխազաց բարեպաշտիցն և Աստուծով զարացելոցն մեծին Չաքարիայի և Իւանեհն, յորոց առաջի սնեալ և զարգացեալ և նոցին ողորմութեամբն մեծացեալ և փառաւորեալ ըստ անըստերիւր հաստոցն, որ ի Քրիստոս, հաստատուն և անխախտելի պահելով զմիհամութիւնն առ բարեպաշտ տեսարն իւր, ծառայելով յաննայն սրտէ և յաննայն զարութենէ իւրմէ: Ապա յետ տարաժամ փոխելոյն առ Քրիստոս մեծին Չաքարիայի, որ և խաւար գործեաց աշխարհիս Հա(յ)ոց, բարենշան նորին շառաւիղն պա(յ)ագատն և մնացորդն ազգիս՝ դեռատեգն և նորաբողոքն, սիրեցեալն և մեծացեալն յԱստուծոյ մանդատոր քախուցէս մեծի թագաւորութեանն Շահանշահ յաշորդեալ զաթոռ թագաւորութեան հաւրն իւրոյ, լուսաւորեալ փարատեաց գնառախղապատ խաւարն, զոր ի գրկմանէ հաւր նորա մածնալ ունէր զեկեղեցիս Հայաստանեայց, զորոյ զկեանս և զժամանակս անձերանալի պարագայց ժամանակաւ՝ նահիդերձ թագածին նորինծա(յ)ին սքանչելատեսիլ որդւովն իւրով Չաքարիայի շնորհեսցէ տէր Յիսուս Քրիստոս յանխոով խաղաղութեան և կայծակն նոցա

ანჯიჯანელი მნასე მინჯი კეტა კახტანსა՛ ի պարծանս և ի լրութին Հայաստաննայց: Որ և գնոյն հաւատարմութին և առ սա պահե(ալ) մեծապատիվ իշխանաց իշխանն Խառաս՝ դաստիարակելով և սնուցանելով ամենայն երկիրի և աստուածպաշտութեամբ, զոր ի նախնեացն ուսնալ էր, յորմէ ըստ արժանի հաւատարիմ ծառայութեանն իւրոյ ընկալնալ զհատուցումն՝ մեծաւ պատուով պատուեցաւ ըստ Վրացն բառբառոյ՝ մսախոր թախուցէւ, որ ըստ մերումս թարգմանի՝ գլուխ իշխեցողաց և գլխաւորաց տան թագաւորութեան տեսոն իւրոյ: Եւ թեպէտ և յայսմ պատի ժամաննալ (...) թար եթող ծնողաց իւրոց և բոլ(որ) սիրելեաց, (եղաւ) ի հանգըս(տա)րանի ի հրեշտակաբնակ ուխտին Բագնայր (...) ան Սուրբ Աստուածածնին: Նաև մայրն իւր ամենարիննայն յԱսիծոյ Խութիւն Խաթունն (յա)զգէ գո(լ)ով պարսիկ, իսկ ի կոչմանէ և ի շնորհացն Աստուծոյ ճշմարիտ աղախին գոլով Քրիստոսի, որ զկնի երկուց ամաց վախճանի՝ որդոյ իւրոյ բագմավիշտ սգով, փոխ(ե)ցաւ ի Քրիստոս, որ կայ ի տապանի հանգըստարանի անդրանկին իւրոյ, որոյ յիշատակն արինութեամբ: Իսկ ի հրամանէն Աստուծոյ մեծապատին Խառաս ընդ բարեպաշտ(ւ)իւոյ կնոջ, որոյ անունն Զարուստ Խաթուն կոչի, որ և սա ազգաւ տաճիկ գոլով՝ յազնուական և ի փառաւորայգոյն յազգէ ի մեծ նախ(արա)րացն Պարսից, որ և զսա շնորհք ողորմութեանն Աստուծոյ այսմ լուսաւոր հաւատոյս արժանացուցեա . . . (մէ) դապարտ (ծա)ռայ Քրիստոսի Խառաս ի մարդասիրութիւնն Աստուծոյ յուսալով ետու գրել զ(ս)որբ Աւետարանս, ի յիշատակ անդրանկի ինոյ (Սասն)ային և մ(ա)ր նորին Խութիւն Խաթունին և ինձ բագմամեղի և ամուսնոյ ինոյ Զարուստ Խ(աթ)ունին և սիրելի դատրելի ինոյ Թայիկ թագո(ւ)հո(յ) ամուսնոյ անդրանկի ինոյ, որ է զարմ և շատաւեղ թագաւորացն Հայոց, և վասն յերկար կենդանութեան սիրելի որդոյ ինոյ Վասակայ: Եւ ա(ւ)նդեցի զսա ի սուրբ մենաստանն ի բագնայր (կ)ոչեցեալ վանք, ի տերութեանն տեղոյն տեսոն Գր(ի)գորոյ, որ Մագիստրոսն ասի, վերայդիտող (ա)թոռոյս Անոյ, և յառաջնորդութեան հաւր (Ս)ինեովնի և այլ համակիսմ եղբարց սրբոց: Եւ արդ գրեցաւ սա ձեռամբ . . . ի ՈԶԱ (1232) թուականի, ի մեծահոշակ ուխտս՝ ի Հռոմովնոսի կոչեցեալ վանք.³¹⁴

...ღმრთისმოყვარე და კეთილმსახური, მართლმორწმუნე და ქებული სასტიკ ბრძოლებში, სომეხთა ქვეყნისათვის წამებულ, თავისი მამაცი წინაპრების მსგავსი, სახელოვანი ერისთავთ-ერისთავი, პატრონი ხავრასი, ძე ამირ სარგისისა, რომელიც იყო დედის ძმა სომეხთა და ქართველთა და ყოველთა აფხაზთა კესაროეების, კეთილმსახურ და ღმრთივგანდიდებულ დიდი ბაქარიასი და ივანესი. [ხავრასი] ამათ წინაშე აღიზარდა და მოიწიფა; მათი წყალობით განდიდდა და ქრისტეს მიმართ გაბრწყინდა მართალი სარწმუნოებით; მტკიცედ და შეურყევლად ერთგულობდა თავის კეთილმსახურ უფალთ, ემსახურებოდა [მათ] მთელი გულით და მთელი თავისი ძალით. მერმე, ქრისტეს მიმართ დიდი ბაქარიას უდროო მიცვალების შემდგომ, რამაც დაამწუხრა სომეხთა ქვეყანა, მისმა დიდებულმა ნაშიერმა, მემკვიდრემ და გვარის გამგრძელებელმა, ჭაბუკმა, ღმრთივ შეყვარებულმა და განდიდებულმა, დიდი სამეფოს მანდატურთა უხუცესმა შანშემ დაიჭირა თავისი მამის სამეფო ტახტი, [რითაც მან] გაანათა, გაფანტა უკუნი სიბნელე, რომელსაც მამამისის დაკარგვის გამო მოეცვა სომხეთის ეკლესია. მას [შანშეს] თავის მშვენიერ, ძოწით შობილ, ახლად მონათლულ შვილ ბაქარიასთან ერთად მიჰმადლოს უფალმა იესო ქრისტემ მრავალჟამიერი სიცოცხლე შეუშფოთებელი სიმყუდროვით; მათი ნათელმოსილება დაუშრეტელი იყოს საუკუნოდ, სომხეთის საამაყოდ და საკეთილდღეოდ. დიდად პატივდებულმა ერისთავთ-ერისთავმა ხავრასმა, განსწავლულმა და აღზრდილმა ყოვლად მოშიშად და ღმრთისმსახურებით, რომელიც წინაპრთაგან შეეთვისებინა, იგივე ერთგულება გამოიჩინა მის [შანშეს] მომართაც, რომლისგანაც თავისი ერთგული სამსახურის შემსგავსებული საზღაური მიიღო, განდიდდა დიდი პატივით, [რომელსაც] ქართველთა ენით მსახურთა ხუცესი [ეწოდება], ხოლო ჩვენს [ენაზე] თარგმნით [ნიშნავს] თავისი უფლის სამეფო სახლის მეთაურთა და ყოველთა მთავართა განმკარგულებელსა და მთავარ გამგებელს. და, თუმცა ამ პატივს მიაღწია... დასტოვა თავისი მშობლები და ყველა

მახლობელი და წმიდა ღმრთისმშობლის ბაგნაირის მონასტრის ანგელოზთა სავანეში [პოვა] განსასვენებელი. აგრეთვე დედამისიც, ღმრთისაგან სულკურთხეული ყუთლუ ხათუნი, ტომით სპარსი, მოწოდებითა და ღვთიური მადლით კი ქრისტეს ჭეშმარიტი მხევალი, მისი შვილის [გარდაცვალების გამო] მწარედ დამწუხრებული, ორი წლის შემდეგ აღესრულა, ქრისტეს მიმართ მიიცვალა და დაკრძალულია თავისი პირმშოს განსასვენებელში, რომლის ხსენებაც კურთხეულ იყოს. ხოლო დიდად პატივდებული ხვარასი ღმრთის ბრძანებით, თავის კეთილმსახურ მეუღლესთან ერთად, ზმრუხტ ხათუნად წოდებულთან, რომელიც აგრეთვე ტომით ტატიკია, საპატიო და უდიდებულესი გვარიდან, სპარსთა დიდი საერისთაოდან, რომელსაც ასევე მიემადლა ღვთის წყალობა ამ ნათელი რჯულის ღირსად გახდომისა... ქრისტეს ცოდვილმა მონამ ხვარასიმ, ღვთის კაცთმოყვარეობას მინდობილმა, დავაწერინე ეს წმიდა სახარება მოსახსენებლად ჩემი პირმშოს სასნასი, დედამისი ყუთლუხათუნის, მრავალცოდვილი ჩემი თავის, ჩემი მეუღლის ზმრუხტ ხათუნისა და ჩემი საყვარელი ქალიშვილის თაიკ დედოფლისა, ჩემი პირმშოს მეუღლისა, რომელიც სომეხთა მეფეთა თესლი და ნაშიერია, აგრეთვე ჩემი საყვარელი ძის, ვასაკის მრავალჟამიერ სიცოცხლისათვის. გადავეცი იგი [სახარება] წმიდა მონასტერს, ბაგნაირად წოდებულ სავანეს მაშინ, როდესაც ამ ადგილებზე მაგისტროსად წოდებული უფალი გრიგორი, ანისის ტახტის გამგებელი, მბრძანებლობდა, მამა სიმეონის წინამძღვრობისა და სხვა ერთნება წმიდა ძმათა დროს... დაიწერა ეს [სახარება]... 1232 წელს ჰორომოსად წოდებულ სახელგანთქმულ სავანეში...³¹⁵

ეპისკოპოსი სტეფანოსი, ქრონიკა

[1237/1236 წწ.]

ՌՄԼԷ/ՈԶԴ (1237/684) Շահնշահ, որդի Չաքարէին Էառ ցաոյբ Մարի.³¹⁶

1237/684 წელს შანშემ, ბაქარიას ძემ აიღო წმინდა მარი.³¹⁷

მონღოლთა დაპყრობები

ასწლოვანი მათიანე

[1235 წ.]

ხოლო მო-რა-იქცეს თათარნი ხუარაზმელთა დევნისაგან, მიერ წარვიდეს და მოაოჯრეს ქუეყანა ხლათისა და ვალაშკერტისა. და ვერ წინააღუდგა სულტანი ხლათისა, არამედ გამაგრდა ქალაქსა შინა. ხოლო თათარნი წარვიდეს ადარბადაგანს, და ზავნი იქმნეს თავრეუელთა შორის და თათართა, და აღიღეს თავრეუი და მიმდგომი მისი ქუეყანა. და მეორესა წელსა წარვიდეს ბარდავს, განძას და მულანს, და მიერ იწყეს რბევად და ოჯრებად საქართველოსა; იწყეს დარუბანდით აღმომართ, ქუეყანასა შარვაშისასა, და კაბალას, ჰერეთს, კახეთს, სომხითს, და ქვეყანასა არშაკუნიანთასა დვინს და ანისსა. ხოლო ვინათგან მეზობლობით მოეახლებოდეს ქუეყანასა საქართველოსსა, უდიდესნი და უბოროტესნი, ზემოცხენებულთა მათ განსაცდელთა მსგავსთაგან უმეტესცა მძვნვარენი განსაცდელნი აღიძვროდეს საქართველოსა საზღვართა, უკეთურებისათვის მკვდრთა ქართლისათა.³¹⁸

ასწლოვანი მათიანე

[1235-1240 წწ.]

რაჟამს ცნა მუხას-ძემან მოახლება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი, და თვთ პალატი და ისანნი, და ესრეთ მოოვრდა ქალაქი ტფილისისა. ხოლო ნოინნი ესე ზემოწესენებულნი შემოვიდეს ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს, და მოეფინეს მსგავსად მკალთა ოვრებად და ჯოცად, და არსად იყო ლხინება, უწყალოდ მოისრვოდა ყოველი ესე ქუეყანა. მანდატურთ-უხუცესი შანშე შეივლ-ტოდა ქუეყანად აჭარისა, და ამირსპასალარი ავაგ შევიდა ციხესა კაენისასა, და ვარამ გაგელი შეივლტოდა ქუთათისს, და ეგრეთვე ჰერნი, კახნი, სომხითარ-ქართლელნი, მესხნი, ტაოელნი, თორელ-არტან-კოლაელნი, – ყოველნი ივლტოდეს ციხეთა და მთათა, ტყეთა და სიმავრეთა კავკასიანთასა და მთიულეთსა.³¹⁹

სახარება (გენეცია, მხითარიანთა კონგრეგაციის ბიბლიოთეკა, №99), ანდერძმინაწერი

[1236 წ.]

ჰამან ხაყსაყანან ჟოაქნოქსან თთმარქინ, ჟორომ ლქ ქი ხამაროქ ჟოასკანქინ **ՈՁԵ** (1236), որ ნქს ასათოადასათო ქარქოქსინს ჟაქსარქინ არსქსქგ ს ჟარნაი ადგ მი ცაყანაქაროქ ს ანთოქორ ს ნქსქ ქაყომ არქინ... Եი აქსჯაქს ანთოქორ ლქ, որ ქქ ხქსქქქს ქსყო ასათანაქ ნქ სქარქს აქსათმქ ცანგუ ჟარქარანქს, որ ლთ მქსქქ ქაქსქს ქარქოქსან **Աქქარასთნან** ცაათქინ ს **Աნოქ** სს ათათქ, ცოქ იქს ლქსქსაყ ცანქინარქინ თოქს ს ცაქსთს თარასქოასანსქს, ცქ ცქსაყოქს ქარქაქს ს ცქსქქქსქს ლათ ს ხქსან ხ ქსქ თასაქსქსაყ, ცაქქ ს ცქქს ცქსქსაყ ს ცთოქსაქს სოგს ათათქ სოგს ცქსათქ ხაროქქ, ცომანს ხ ცქქსქს მარქს სრასქოქოქ სქსანანქქს, ს ცქქსაქსქს სქსანანქს თსაქქს, ცომანს ქარქოქსქქს, ცომანს ხ ხოქ მქსქსქსაყ აქქქქს...³²⁰

სომხური წელთაღრიცხვის 685 წელი (1236) რომ იყო, აღმოსავლეთის ქვეყნიდან ღვთის რისხვა მოგვევლინა. მოვიდა უმოწყალო, მხეცისებრი ტომი და უზომო სისხლი დაღვარა... იმდენად გულქვან იყვნენ, რომ ცეცხლოვანი ენაც რომ მქონდეს, ვერ შევძლებდი მომეთხრო უბედური შემთხვევების შესახებ, [მომეთხრო ის, თუ] როგორ დააღვეინეს რისხვის სასმისი აირარატის გავარს და ანისს. და უარესები, რაც მე ვნახე უსაზღვრო გოდება და მწუხარება, რადგან მრავალი ქალაქი და ციხე აიღეს და ძირფესვიანად დააქციეს, კაცი თუ ქალი დაატყვევეს და მათი ბავშვები მათ თვალწინ ქვაზე დაახეთქეს, ზოგი დედის მკერდზე დაკლეს, ძმას ძმა მოაკვლევინეს, ზოგი ჩაქოლეს, ზოგიც ცეცხლში დაწვეს.³²¹

სახარება (ნორ ჯულა, №156), ანდერძმინაწერი

[1236 წ.]

Եი არქ, ცქსქსაყ ასაქ იქსათს ს ხ ქსქ ქსანანასქ, ჟორომ ასქს ათათს მარქარქარქან **Աნქ**, არქსან ცოქსქს სქოქოასან ანქქს ხოცოგ: **Որ** ქსქსან სქს ქსყო სქარქს აქსათმქ ცანთოქორქქსქს თოქორქსან ხ ქანსარქს **Թარქარქს**, ხ ქოქს **ՈՁԵ** (1236): **Արქ** სს **Բინათოქს** მნქოქსაყ **Ծათოქ** **Աსათოქ** ს ანთოქსქს იქს **Տოქსოქსქს**, ათქსქსქს **Բქქსათოქს**, ნქ თქსქქქ მარქსანათოქ ცაოსქ, ცანქსაყსოქქს ნქარქ ხოცქორ ცაოსქ... **Աრქ**, მქსქს ქოათქ ს ხასათოქ სთასაყ ცასათოადაქსაის მათქსანს ცაქს აქსაქსათ ნქოქქ ს ცქქსქსქს ცქოქ ს მქსქქ ქანქქქ ... ს ათანთქსქს ცაა ხ ხქსქსასქსაქსაქს თქსათს **Խქსქს**, თქ **Տქსქორ** ქსანქ სქქ, ხ **Տოქქ** **Տარქქ** ს ხ **Տოქქ** **Գქქ** თქ ს ხ **Տოქქ** **Յასქორ** ხ **ძქს** **Պასოქს** ქარქოქსაქსქს ... ხსქ ასათოადასათო ქარქოქსქს, თქ სქს ხ ქსქარქს აქსანსაქს აქსქარქსაყ **ჯაქოგ** ს **ქარ** ს **Տარქსაყ** ხ მარქარქს ცაყანსაყ ცსარქარქს.³²²

დაიწერა ეს [სახარება] მწარე და მძიმე დროში, რომელ წელსაც აღებულ იქნა დედაქალაქი ანისი [და] ურიცხვი სულის გაწყვეტით სისხლის გუბე (დადგა). რომელ პირს ან ენას შეუძლია

685 (1236) წელს უსჯულო თათართაგან [დატრიალებული] სიმხეცისა და საცოდაობის მოთბრობა... ხოლო მე, ღვთის ცოდვილმა მონამ, ბრნავორმა და ქრისტეს მხევალმა, ჩემმა მეუღლემ ტლატიკინმა, რადგან არ გვყავდა ხორციელი ნაშიერი, მოვიწადინეთ [შეგვეძინა] სულიერი შთამომავალი... დიდი სასოებითა და რწმენით შევიძინე ეს ღვთივმეტყველი წიგნი, დიდებულ მასალაზე შესანიშნავად ნაწერი... და გადავეცი იგი ხწკონის ანგელოსთა სავანის [მსგავს] კრებულს, რომელსაც ტიკორის მონასტერი ეწოდება [და რომელიც] წმიდა სარგისის, წმიდა გრიგოლისა და წმიდა იაკობის [სახელობაზეა]... გონებასა და ენას არ ძალუძს, რომ მოგითხროთ ღვთის წყრომა, რომელიც მოიწია სომეხთა, ქართველთა და ტატიკთა მთელ ქვეყნებზე კაცსახა მხეცთაგან, თათართაგან.³²³

ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია

[1235/1236 წწ.]

Եւ յայսմանն ոյժ առնալ մտաննն ՚ի քագաւորութիւնն Վրաց, եւ բաժաննն զանուանի տեղիս գաւառաց, եւ զբերդս ամուրս մեծամեծ իշխանացն՝ զորս Նոյինս կոչէին... Չաղաղս նոյինն Էառ զԼօտէ քաղաք, եւ որք յայնր կողմանն գաւառք. Դոլաղս նոյինն՝ զԿայեն բերդ, ուստի հանին զԱւագն տէր երկրին. եւ մեծն Չորմաղանն՝ զԱնի եւ զԿարս, եւ զմերձսկայսն.³²⁴

[თათრებმა] ამით ძალა მოიკრიბეს, შევიდნენ ქართველთა სამეფოში, დაანაწილეს მხარეთა ცნობილი ადგილები და გამაგრებული ციხეები მათ დიდ მთავრებს [შორის], რომლებსაც ნოინებს უწოდებენ... ჩალატა ნოინმა მიიღო ქალაქი ლორე და მისი მიმდებარე მხარეები; დულადა ნოინმა – გამაგრებული ციხე კაენი, საიდანაც განდევნეს ამ მხარის უფალი ავაგი; დიდმა ჩარმაღანმა – ანისი და ყარსი მათი შემოგარენით...³²⁵

ანონიმი ქრონოგრაფია, ისტორია

[1236 წ.]

ՈՁԵ (1236) թուին անառիկ բերդն, որ կոչի Կայսանն և Լարէ քաղաք և Անի մայրաքաղաք Հայոց և այլ բնաս աշխարհիս Հայոց, գաւառք և անათ բերդորեսայք և քարայրք և անմուտ մայրիք ի միում ամ առան. և կոտորեսան անհասար և անթիւ արք և կանայք և աննկունք. և ով կարէ պատմնէ զնեղութիւնս և զտառասպանս, զոր Էհաս մեզ յանողորմ ազգէն նետողաց.³²⁶

685 (1236) წელს მიუდგომელი ციხე, რომელსაც კაენს უწოდებენ და ქალაქი ლორე და სომეხთა დედაქალაქი ანისი და სხვა ყოველი ქალაქი სომეხთა, მიუდგომელი ციხეები და მღვიმეები და უღრანი ტყეები ერთ წელიწადში აიღეს. და დახოცეს უამრავი და ურიცხვი კაცი, ქალი და ბავშვი; და ვინ შესძლებს მოსთვალოს გაჭირვებანი და ტანჯვანი, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე უმოწყალო ტომთა – მონღოლთაგან.³²⁷

ეპისკოპოსი სტეფანოსი, ქრონოგრაფია

[1238/1236 წწ.]

ՌՄԼԸ/ՈՁԵ (1238/586) Յայսմ ամի Էառ Չորմանն և Չաղաթայն զբոլոր երկիրս մեր՝ զԱնի, զԿարս և զԼարէ, զտოբք Մարի: Եւ զԱւագն ի դուրս բերին ի բերդէն Կայենոյ.³²⁸

1238/586 მასვე წელს ჩორმანმა და ჩალათამ დაიკავეს სრულიად ჩვენი ქვეყანა: ანისი, ყარსი, ლორე, წმინდა მარი. ავაგი გამოიყვანეს კაენის ციხიდან.³²⁹

სტეფანოს ორბელიანი, სისაკანის სახლის ისტორია

[1236 წ.]

Մեք դարձցուք անդրէն ի կարգ բանիս գառաջին մինչ եկն թաթարն յաշխարիս յայս, մեր գաւառքս անկելա էր ի բաժին Ասլան Նոյինին. և էր Շիխումն ամրացեալ իւրայովքն յանատիկ ամուրն Հրաչկաբերդի: Եկն Ասլանն այն և շրջեցաւ ընդ բերդովն ... Լուսալ գայս Շիխումին ոչ ընդդիմացաւ բանիցն, այլ քաղցրութեամբ պատասխանեալ խնդրեաց երդումն. և ել ընդ յառաջ նորա բազում ընծայիք: Եւ տեսեալ գնա Ասլանին՝ յոյժ սիրեաց և ընկալաւ գնա, և արար խաղաղութիւն. և կալեալ գնա առաջնորդ գնաց մինչև յԱնի և հնագանդէր գամենայն... Իսկ այլ գորագլուխք հնագանդեցին գայլ աշխարիս և բերին զԱսլան ի դուրս ի բերդէն Կայենոյ. ըզբռանք ամին և թագաւորութիւնն Վրաց. և եղեն միահեծան ամենեքեան.³³⁰

უწინარეს ოდეს მოვიდნენ ქუეყანასა ამას თათარნი, კერძო ჩვენი წილად ჰვდომოდა ასლან ნოინს. და განმაგრებულ იყო ელიკუმ თავისიანთა თანა აუღებელსა ციხესა მას ჰრაშაკისასა. მოვიდა იგი ასლან და შემოვლო ციხესა... ოდეს ესმა ესე ელიკუმს, არა აღუდგა წინა სიტყუათა მისთა, არამედ სიტკბოებით მიუგო და ფიცი სთხოვა და წინ გამოეგება მრავლითა შესაწირავითა. ხოლო იხილა რა ესე ასლანმან, ფრიად შეიყუარა და მშვდობით შეიწყენარა ამჟამად, წინა გაიმძღვარა იგი და წარვიდა ანისს ქალაქადმდე. და დაემორჩილნენ მას ყოველნი... ხოლო სხვათ ძალმთავართ დაიმორჩილეს ქუეყანა სხვადა და გამოიყუანეს ავაგი კაენის ციხისაგან, მიიმძღავრესცა სამეფო საქართველოჲსა და შეიქმნენ ყოველნი ერთ-მთავარნი.³³¹

სამუელ ანეცი და მისი გამგრძელებლები, ისტორია

[1236-1238/39 წწ.]

Իշխանն Աւագ որդի Իւանէի, եկն առ Չարնաղանն և ի սկզբանն սպառնագաւ, բայց յետոյ մեծաբեաց և էա ի ծնող նորա զիւր աշխարին և ընդ ինքեան շրջեցուցանէր, և գան ի վերայ քաղաքին Անոյ և զի ոչ եկին հնագանդութիւն պատերազմաւ առնու գնա և բազում կոտորած առնէ: Բայց նախախնամութիւն Աստուղոյ երեսեցոյ, գայր մի ի մէջ նոցա, Ասորի ազգաւ, անուն նորա Սիմէն, զոր Ռ-ապան Աթա կոչէին, որ և բազում դիւրութիւն քրիստոնէիցն գնովաւ լինէր, զի երբեք առ դանն առ թուրք ի նմանէ. զի մի գանմեղ մարդիկ սպանցեն և լսէին ամենեքեան նմա.³³²

განმგებელი ავაგი, ივანეს ძე, მივიდა ჩარმაღანთან, [რომელიც] თავიდან დაემუქრა [მას], მაგრამ შემდეგ განადიდა და მისცა თავისი მშობლიური ქვეყანა და თავისკენ შემოაბრუნა; შემდეგ კი წამოვიდა ქალაქ ანისზე და რადგან არ ეახლნენ დასამორჩილებლად, ომით აიღო იგი და [ქალაქს] ჟღერტა მოუწყო. მაგრამ ღვთის მადლის გამოჩენით, მათ [ანისელებს] შორის ერთი კაცი, ეროვნებით ასური, მისი სახელია სიმეონი [და] რაპან ათას უხმობენ, რომელშიც მრავალი ქრისტიანული მადლი იყო, რამეთუ წავიდა ყაენთან, მიიღო მისგან [ბრძანების] წერილი, რომ უდანაშაულო ხალხი არ დაეხოცათ და ყველას ესმინა მისთვის.³³³

ასწლოვანი მათიანე

[1238-1239 წწ.]

ამათ რა ბოროტთა ხედვიდა ამირსპასალარი ავაგ, ძე ივანე ათაბაგისა, წარმოავლინა მოციქული ბარდავს, სადა დაებანაკათ ზემოწესენებულთა მათ მთავართა, რომელთა ზამთრის აქუნდა საყოფელად ბარდავი და ზაფხულის – გელაქუნისა მთანი და არარატისანი, რამეთუ მაშინ აელო ანისი ჩორმაღანს; ამათ წარმოუვლინა ავაგ მოციქული ზავისა თხოვად და თქუა მათ წინაშე მისლვა, ხილვა, და მსახურება, და ხარაჯის მიცემა, და დადება ქუეყანისა მისისა, და ითხოვა ფიცი და სიმტკიცე. ხოლო მათ გაიხარეს და სიხარულით შეიწყენარეს მოციქული

ავაგისი, და ფიცთა მიერ მტკიცეთა გულსავსე ყვეს. ვითარ დამშვდნა ქუეყანა ავაგისი და ცნა შანშე მანდატურთ-უხუცესმან ბავი ავაგისი და თათართა, უვნებელად დაცვა ინება ქუეყანისა, დაცვა ბავითა მყოფელი და ავაგსცა მიუმცნო, უკეთუ მიუმცნოს და მივიდეს ხილვად თათართა. ამისნი მცნობელნი თათარნი სიხარულით შეიწყნარებდეს, რომლისათვის მიუმცნეს მიტვე ოქროსა საფიცრითა მტკიცე ფიცი უვნებლობისა. და წარვიდა შანშეცა და იხილნა იგინი, რომელთა შანშესცა ფრიადი პატივი უყვეს, და ანისი და მათ მიერ წაღებული მისი ქუეყანა ყოველი მისცნეს, და მცველნი დაუდგინნეს ქუეყანასა შინა. და ვინცა მოვიდის ქართველთა მთავართაგანი, პატივითა შეიწყნარიან, ხოლო ურჩთა ქუეყანა მოისრვოდა.³³⁴

კირაკოს განმარტება, სომხეთის ისტორია

[1236 წ.]

Եւ առնալ զնա և զամենայն զօրն, չոգաւ ի վերայ քաղաքին Անույ: Քաղաքս այս Անի լցնալ էր բազմութեամբ մարդկան և անասնոց և պարսպնալ ամրագոյն պարսպօք: Եւ եկեղեցի բազում կայր ի նմա, մինչ ի կարգ խօսից երդման այսպէս երդնուին «Անույ հազար և մի եկեղեցին»: Եւ յոյժ փարթամ էր քաղաքն ամենայն իրօք, վասն որոյ յովութիւնն յամբարտասանութիւն ած գնոսս, և ամբարտասանութիւնն ի կորուստ, որպէս սովոր է առնել ի սկզբանց և այսր: Առաքեաց Չարմադունն դեսպանս առ նոսս զալ նմա ի հնագանդութիւն: Եւ որք գլխատորքն էին ի քաղաքին ոչ իշխեսցին պատասխանի առնել պատգամին առանց հարցանելոյ զիշխանն Շահնշահ, քանզի ընդ իշխանութեամբ նորա էր քաղաքն: Իսկ ամբոխ քաղաքին և ոսմիկքն սպանին զպատգամատորն: Եւ զայն տեսնալ զօրքն այլագգեաց, ի բարկութիւն բրդեցան և պաշարնալ զքաղաքն յամենայն կողմանց կանգնեցին փիլիկուանս բազումս արուեստագիտութեամբ և, մարտուցնալ ընդ քաղաքին զօրեղապէս առին զնա: Այլ և ոմանք իշխանաց քաղաքին ձեռնատու եղեն առ թշնամիսն զապրուստ անձանց շահելով. և նոցա կոչնալ արտաքս ի քաղաքէն զբազմութիւնն, խոստացան ոչինչ առնել նոցա չար: Եւ իբրև ելին արտաքս առ նոսս ամենայն բազմութիւնն, բաժանեցին զնոսս յինքնանս և սուրբ ի վերայ եղնալ կոտորեցին առհասարակ անողորմաբար սակաւ կանայս և մանկունս թողնալ և արս արուեստատորս, զոր վարեցին ի գերութիւն: Եւ ապա ինքնանք մտնալ ի քաղաքն, առին զինչս և զստացուածն ամենայն, կողոպտեցին և զամենայն եկեղեցիս, աւերեցին և քանդեցին զամենայն քաղաքն, եղծին և ապականեցին զփառս վայելչութեան նորա: Անդ էր տեսանել տեսիլ ողորմագին. առհասարակ կոտորեալք ծնողքն և ծնունդք ընդ նոսին դիզեալք ի վերայ միմեանց իբրև զդերբուկս քարանց կուտեալք. քահանայք և սարկաւագունք. և պաշտօնեայք եկեղեցականք, ծերք և տղայք և հասակաւ մանկունք և երիտասարդք և կուսանք շատք. ըստ աւետարանին սրբոյ, եթէ «Մատնիջիք ի սով և ի գերութիւն». նոյն հրաման եհաս ի վերայ սոցա, զի ցիր և ցան անկեալք ընդ երեսս դաշտացն, արբնալ երկիրն յարենէ և ի ճարպոյ վիրատրացն. փափուկ մարմինք ամառովք լուացեալք, սնուցեալք և այտուցեալք. և այնոքիկ, որ ոչ էին ելնալ արտաքս քան զդուռն քաղաքին, բոկ և հետի ընթացեալք ի գերութիւն, և որք հաղորդէին ի պատուական մարմնոյ և յարենէ որդւոյն աստուծոյ, ուտէին զմիս անսուրբ և հեղձուցիկ և ըմպէին ի կաթանէ ձիոց պղծոց. կանայք պարկեշտք և ողջախոհք մատնեալք ի խայտառականս ճակաճան և վաւաշ մարդկան. կուսանք սուրբք, որք ուխտեալ էին աստուծոյ սրբութեամբ պահել զմարմինն և անախտ զիոգիս, պղծեալք պէսպէս պոռնկութեամբ և ապականեալք անկարգութեամբ: Եւ այսպէս եղև զրաւ գործոյն.³³⁵

წაიყვანა რა [ავაგი] და მისი მხედრობა, [ჩარმაღუნმა] გაილაშქრა ქალაქ ანისზე. ქალაქი ანისი სავსე იყო ხალხითა და პირუტყვით. მას გარს მტკიცე გალავანი ერტყა. მასში იმდენად ბევრი ეკლესიები იყო, რომ საუბრისას როდესაც იფიცებოდნენ, ამბობდნენ: „ანისის ათას ერთ ეკლესიას ვფიცავ“. ქალაქი ყველა თვალსაზრისით ძალიან მდიდარი იყო, ამიტომ მა-

თი სიმაძღვრე ამპარტავნობაში გადავიდა. ამპარტავნობამ კი, როგორც ეს ოდიტგან იყო, და-
 ლუპვამდე მიიყვანა. ჩარმალუნმა მათთან ელჩები გაგზავნა და დანებება შესთავაზა. ქალაქის
 მმართველებმა შანშეს უკითხავად ელჩებისთვის პასუხის გაცემა ვერ გაბედეს, რადგან ქალაქი
 მას ეკუთვნოდა. ქალაქის მდაბიობებმა და უბრალო ხალხმა ელჩები დახოცეს. ამის შესახებ
 რომ შეიტყვეს გაცეცხლებულმა უცხოტომელებმა, ქალაქს ყველა მხრიდან ალყა შემოარტყეს,
 დიდად დახელოვნებულებმა ბევრი ფილოკავანი აღმართეს და ძლიერი ბრძოლების შემდეგ
 ქალაქი აიღეს. ზოგიერთი ქალაქის მმართველობიდან თავის გადასარჩენად მტერს დანებდა.
 [თათრებმა] მოუხმეს ბრბოს, რომ ქალაქიდან გამოსულიყვნენ, პირობა მისცეს, რომ არაფერს
 დაუშვებდნენ. როდესაც ქალაქიდან მათთან მთელი მოსახლეობა გავიდა, [თათრებმა] ისინი
 ერთმანეთში დაინაწილეს და ყველა დაუნდობლად დახოცეს. ცოცხლად მხოლოდ რამდენიმე
 ქალი და ბავშვი, აგრეთვე მამაკაცი ხელოსანი დატოვეს, რომლებიც ტყვედ წაიყვანეს. შემდეგ
 ისინი ქალაქში შევიდნენ, მიიტაცეს მთელი ქონება, გაძარცვეს ყველა ეკლესია, გააპარტახეს
 და დაანგრეს მთელი ქალაქი, გათელეს და წაბილწეს მისი დიდებული ბრწყინვალეობა. უნდა
 გენახათ გულდასაწყვეტი სანახაობა: ქვების მსგავსად შეგროვებული აკუწული მშობლები და
 შვილები, უამრავი [დახოცილი] მღვდელმსახური, ბერი, მოხუცი და ბავშვი, ჩვილი, ყმაწვილი
 და გოგონა. როგორც წმინდა სახარებაში ვკითხულობთ: „მიეცემა იგი შიმშილსა და ჭირს“. მათაც
 ასეთივე ბედი ეწიათ, რამეთუ ისინი მათივე სისხლითა და დაჭრილთა ჩირქით
 გაჟღენთილ მინდორში მიმოფანტეს, საპონს მიჩვეული ნაზი სხეულები გაშავდა და გაიბერა.
 ისინი, ვისაც ქალაქის ზღურბლი არასდროს გადაულახავს დატყვევებულებს ფეხშიშველი
 უნდა ევლოთ; ისინი ვინც ძე ღმრთისას წმინდა სისხლსა და ხორცს ეზიარნენ, უწმინდურ,
 დამხრჩვალ არსებათა ხორცს ჭამდნენ და ამამრბენ ფაშატთა რძეს სვავდნენ. მოკრძალებულ
 და უბიწო ქალებს გარყვნილმა და ავხორცმა კაცებმა პატივი აჰყარეს. წმინდა ქალწულები,
 რომლებმაც ღმერთს სხეულისა და სულის უბიწობის აღთქმა მისცეს, ყოველგვარი სიძვითა და
 გარყვნილებით წაბილწეს. ასეთი იყო ვითარება.³³⁶

სამუელ ანეცი და მისი გამგრძელებლები, ისტორია

[1236-1238 წწ.]

Թաթարն Էսთ գԱնի և գասնայն տիხզերս: Դարձսայ ի սոյն թլին շարժ ևղև Եզրնկան, և
 ևկեղեցի սի փլա: Յայսմ ամի Էսთ Չորսանն և Չաղաթայն գբոյր երկիրս սեր գԱնի, գԿարս
 և գԼասոն, գՄուրբ Մարի: Եւ գԱսագն ի դուրս բերին ի բերդէն Կայենոյ: Շարժ ևղև, և ի սուրբ
 Գրիգոր և ի Թորդան ևկեղեցի փլա և դարձսայ շինեսաւ.³³⁷

თათარმა აიღო ანისი და [დაიპყრო] მთელი მსოფლიო. კვლავ ამავე წელს ერზნკაში მოხდა
 მიწისძვრა და ერთი ეკლესია დაინგრა. ამ წელს ჩორმანმა და ჩალათამ დაიპყრეს მთელი
 ჩვენი ქვეყანა – ანისი, ყარსი და ლორე, წმინდა მარი, აგრეთვე კანის ციხიდან ავაგი გარეთ
 გამოაძევეს. მოხდა მიწისძვრა, [და] წმინდა გრიგოლისა და თორდანის ეკლესიები დაინგრა
 და კვლავ აშენდა.³³⁸

ანონიმი ქრონოგრაფი, ისტორია

[1238 წ.]

ՈՁԷ (1238) թլին Էսთ թագասորն գԼոն և գՅանի.³³⁹

687 (1238) წელს აიღო მეფემ ლორე და ანისი.³⁴⁰

სამუელ ანეცი და მისი გამგრძელებლები, ისტორია

[1238 წ.]

Էստ քազայորն գԼօղի եւ գԱնի: Եւ Սարաճինացիք հալածեցան ի Սպանիոյ.³⁴¹

აილო მეფემ ქალაქი ლორე და ანისი. [და] სარკინოზები განდევნილ იქნენ ესპანეთიდან.³⁴²

ასწლოვანი მათიანე

[1240-1242 წწ.]

გულისწმა ყო რა მეფემან რუსუდან, რომელ წარუღეს ქუეყანა ამიერი თათართა, განიზრახა, რათა წარმოავლინოს ძე თვისი, დავით, და მოანდოს თათართა, და აიღოს სიმტკიცე უვნებლობისა. და წარავლინეს მოციქულად თათართა შანშე, და ავაგ, და ვარამ, და ჰერეთის ერისთავი შოთაი, რომელსა მანისი ფერობისათვის კუპრობით უვმობდეს.³⁴³

ასწლოვანი მათიანე

[1242-1243 წწ.]

...და წარუვლინეს მოციქული მეფესა რუსუდანს, რათა ზავი იქმნას მათ შორის, და მოსცეს ძე მისი, დავით, და მისცენ მეფობა, და ტფილისი და ყოველი საქართველო. და ვითარ ესმა ესე რუსუდანს, სთნდა სიტყუა ესე, და გულსავსე იყო, ამისთვის რომე ფიცსა მტკიცედ იპყრობდეს და მინდობილსა შეიწყნარებდეს. გარდამოვიდა თვთ მეფე და წარმოგზავნა ძე თვისი დავით, რომელთა წინა-მიეგებნეს შანშე და ავაგ, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა, არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი შოთა კუპარი, გაგელი ვარამ, ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუარყუარე ციხისჯუარელი, თორელნი, თმოგუელნი, შავშ-კლარჯნი და ტაოელნი, და წარიყვანეს მეფე, ძე რუსუდანისი, დავით. ხოლო მეფემან რუსუდან თანა-წარიტანნა ყოველნი მთავარნი ლიხთ-იმერელნი... წარემართნეს და შევიდეს ტფილისს. და წარვიდეს მუნით ბარდავს, სადა დაებანაკათ ნოინთა, მიიყვანეს დავით დიდითა პატივითა და ლაშქრითა. ვითარ იხილეს ჩორმაღან, ჩალატა, იოსურ და ბიჩოი, განიხარეს და პატივი უყვეს მეფესა და მთავართა საქართველოსათა, და მოსცეს ყოველი საქართველო...³⁴⁴

მონღოლთა ბატონობის პირველი პერიოდი

კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია

[1240 წ.]

Եւ իբրև փախեսաւ Աւագն, տրտմեցան մեծամեծքն, և մեղադիր եղևն առն այնմիկ, և յղեցին դեսպանս գևնի նորս՝ մի սպաստամբիլ ի նոցանէ, և երդնուին նմա ոչինչ առնել նմա չար, և ետուն գաշխարհս նորս ի ձեռն Շահնշահի, իբր թէ եղբայր նոցա իցէ. և գայս առնէին վասն առաւել հաւատարմութեան.³⁴⁵

როდესაც ავაგი გაიქცა, დიდებულები დალონდნენ, დაადანაშაულეს ის კაცი [ჯოჯ-ბულა] და მთავარს ელჩები გაუგზავნეს, და შეუთვალეს არ აჯანყებულიყო მათ წინააღმდეგ და აღუთქვეს, რომ არაფერს დაუშავებდნენ. [მონღოლებმა] მისი ქვეყანა მის ძმას, შანშეს მისცეს და ეს მისგან მეტი ერთგულების მისაღებად გააკეთეს.³⁴⁶

და უცალოება ქართველთა, შეკრება სიმრავლე ფრიადი, კაცი ვითარ სამოცი ათასი, რომელთა მთავრად და პატრონად ჰყვა კაცი ვინმე სახელოვანი, სახელით ყარახან, და გამოემართნეს ოჯრებად საქართველოსა, და მოიწივნეს ქუეყანასა ვალაშკერტისასა, რომელი მას ჟამსა ოდენ აღელო შანშეს, და იწყეს ოჯრებად საქართველოსა და ვალაშკერტისა, და რაჯს იქით ქუეყანათა ვიდრე სურმანადმდე, რომელი იგიცა ოდენ დაეპყრა შანშეს მანდატურთ-უხუცესსა. ამან ვითარ იხილა ოჯრება ქუეყანათა მათ, მოუწოდა სპათა თვსთა და ავავ ათაბაგისთა, და შეკრბეს მვედარი ვითარ ოცდაათი ათასი. განვლეს რაჯსი, მივიდეს ვალაშკერტს, სადა-იგი დაებანაკა ყარახანს. ხოლო ვითარ მიეხლნეს, დააწყეს რაზმი და მიეტევნეს ერთმანერთსა. ხოლო შანშე უპირატეს ყოველთასა მიეტევა, რომელმან ჰოროლითა განგურიმა თურქი ერთი სახელოვანი. იქმნა ომი ძლიერი, და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ სპათაგან თურქთასა, ხოლო სპანი შანშესნი კეთილად დაცულ იყვნეს შეწევნითა ძელისა ჭეშმარიტისათა, რომლისა მიმართ მიწობილ იყო. და ვითარ შენივთდა ომი, იძლია ყარახან, იგი და სპა მისი ივლტოდეს, და დევნა უყვეს ვიდრე ხლათამდე, მოსრეს და ტყუე ყვეს სიმრავლე ურიცხვ, და აისავსნეს ცხენითა, ჯორითა და აქლემითა, კარვითა და ხარვითა, და ალაფითა ურიცხვთა. ესრეთ სახელოვანი და გამარჯვებული მივიდა ანისსა, სახლსა და ტახტსა მისსა.³⁵¹

ასწლოვანი მატინე

[1246/1247 წ.]

ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კობტას თავსა, იმერნი და ამერნი... დაამტკიცეს ომი, და დადვეს პაემანი ქართლს შეკრბებისა, და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთოთა და საკაცობოთა, და რაჭის ერისთავი, – ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად. ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წარმოვიდეს ბიჟუ და ანგურგ, და მივიდეს კობტას თავსა, დახუდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. ლაშქარი გაყრილ იყო, და ვერღარა წინააღუდგეს, და წარასხეს ქუეყანასა ანისისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების შირაკავანი. ხოლო ვითარ მიიწივნეს ჩარმაღან ნოინს წინაშე, რქუა: „რა არს შეკრება თქუენი, უკეთუ არა იქმნთ განდგომილებასა?“ ხოლო მთავარნი მიუგებდეს: „არა განდგომად შეგვრბით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი განგიჩინოთ“, რომელსა-იგი უწოდეს ხარაჯად. ესე რა ესმა, არა სრულიად ირწმუნა, და ბრძანა განძრვა ყოველთა, მჭართა შეკრვა ყოველთა, სიცხესა შინა შიშველთა მოედანთა ზედა დასხდომა, და ყოველთა დღეთა ჰკითხვიდის მიზეზსა შეკრბებისასა, და უკეთუ არა აღიარონ ჭეშმარიტი, სიკუდილსა მისცენ ყოველნი ესე ზემოწესებულნი მთავარნი. ხოლო იგინი დაამტკიცებდეს, „რათა განვაჩინოთ ხარაჯა“. და ამას ჰყოფდეს მრავალ დღე, რამეთუ არა არწმუნებდეს. და ვითარ მოეახლა პაემანი, მივიდა დადიანიცა ცოტნე, ლაშქრითა, მათდა ადგილსა, რომელ არს რკინის-ჯუარი, შორის სამცხისა და ლადოსა, და ვითარ აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად, და შეკრბულთა ყოფა სატანჯველთა შინა ბოროტთა ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უზომოდ, და თვსად სიკუდილად და სირცხვლად შერაცხა საქმე იგი. და წარავლინა ლაშქარი თვსი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თვსისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა, რომელსა იტყვს: „უფროს ამისსა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვსი მოყუსისა თვსისათვს“, რომელ ყო პატიოსანმანცა ამან კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკვრველი და ყოვლისა ქებისა ღირსი. განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა. რამეთუ ქალაქად შესრულ იყვნეს ნოინნი, და ესე წარჩინებულნი, მოედანსა შინა დაკრულნი მჭრითა, შიშუელნი მსხდომარენი იყვნეს. ვითარ იხილნა ცოტნე წარჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკუდილად განწირულნი, გარდაცდა ჰუნისაგან, და დააბნია სამოსელი თვსი, განშიშულდა, და შეიკრნა მჭარნი, და დაჯდა წარჩინებულთა თანა. და ვითარ იხილეს თათართა, განკვრდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ:

„ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიძარცუა სამოსელი თვისი, და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა“. რამეთუ კეთილად მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი, რომლისათვის განკვრდეს თათარნი, და წინაშე მათსა მიუწოდეს, და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისლვისა მისისასა. ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ჩუენ ყოველნი ამაღ შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ, – ესე იყო შეკრება ჩუენი. აწ თქუენ ძვრის-მოქმედთა თანა შეგურაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე; რამეთუ თვნიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნიდენ, მათ თანა ვიყო. და ვითარ ესმა ესე ცოტნესგან ნოინთა, განკვრდეს სათნოებისათვის მისისა და თქუეს: „ვინათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მივიდა კაცი, რათა დადვას სული თვისი მოყუარეთათვის, და არა განცრუვდეს, ესრეთ განწირა თავი თვისი სიკუდიდ, – არა არს სიცრუე მათ შინა, და ამის ძლით უბრალოდ ვპოვებთ. ამისთვის განუტეოთ ყოველნი“. რქუეს ცოტნეს: განდგომილება ვგონეთ თქუენ ქართველთა, და აწ ვინათგან ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა ქართველთა შენ მოგანიჭებთ, და შენდა მონდობილ ვართ.“ და განუშვნეს ყოველნი ესე წარჩინებულნი.³⁵²

ასწლოვანი მათიანე

[1240-იანი წლები]

და განიყვნეს მთავარნი საქართველოსანი, და წინააღმდეგომ იქმნეს ურთიერთას. მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავარ ყოფა მათ ზედა ეგარსლანისი, არა მათგან უგუარიანესისა კაცისა; ამისთვის შეკრბეს მთავარნი ამერის საქართველოსანი: შანშე, ვარამ გაგელი, ყუარყუარე ჯაყელი, სარგის თმოგუელი, კაცი მეცნიერი და ფილოსოფოსი და რიტორი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორბელინი, და მრავალნი ერისმთავარნი, და ძებნა ყვეს ლაშას ძისა დავითისთვის... და შენდობასა ევედრებოდა. და ესრეთ წარმოავლინა, და ვითარ მოიწივნეს საქართველოს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, შანშე, და ძე მისი ზაქარია ამირსპასალარი, კაცი სიკეთითა აღმატებული, ყუარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ ქართლისა ერისთავი, ორბელი, გამრეკელი, შოთა კუპარი და ყოველნი მთავარნი, თვნიერ ეგარსლანისა, და წარვიდეს ნოინთა წინაშე. ხოლო მათ იხილეს და განიხარეს, მეფობა ვერ დაუმტკიცეს, არამედ წარავლინეს დიდსა ბათო ყაენისსა, და წარჰყვეს თანა შანშეს ძე ზაქარია, ვარამის ძე აღბულა და სარგის თმოგუელი, და წარვიდეს ბათოს წინაშე. და ვითარ მიიწივნეს, კეთილად შეიწყნარან ბათო. შანშეს ძე ზაქარია და ვარამის ძე აღბულა თვსად დაიბჭირნა, და მეფე დავით მანგუ ყაენს წინ წარავლინა, და წარჰყვეს თანა სარგის თმოგუელი და სხუანი მცირედნი ვინმე ქართველნი ყარაყურუმს.³⁵³

ასწლოვანი მათიანე

[1246-1248 წწ.]

ხოლო იყვნეს ორნივე დავით და დავით ყუბილ ყაენს წინაშე, და იურვოდეს ორნივე მეფობასადა ... ვითარ განგრძელდა ცილობა, ავავ ამირსპასალარი წარმოავლინეს, და მისცეს იერლაცი შეწყალებისა, და ქალი ქმნულ-კეთილი, ნათესავი წარჩინებულთა, სახელით ესლომ, და ელჩი ულო ყაენს თანა, რათა კეთილად შეიწყნაროს ავავ, და ესრეთ მოიწია ულო ყაენს წინაშე. ხოლო მან პატივით შეიტკბო და წარმოავლინა საქართველოსა, მამულსა თვსსა. და ვითარ ცნეს ქართველთა მოსლვა ავავ ამირსპასალარისა, წინა მიეგებნეს ყოველნი მთავარნი და წარჩინებულნი, თვთ შანშე და ეგარსლან, რომელსა კნინდა-და სახელი მეფობისა ეპყრა. და ვითარ მიეახლა ავავ, ჰგონებდა ჰუნისაგან გარდამოჭდომად და ეგრეთ ხილვად

ეგარსლანისაგან. ხოლო იგი განლალებულ იყო, არა ინება წესისაებრ პატივით ხილვა, და ამბორის-ყოფად ავაგისა. და ვითარ იხილა ავაგ, განძუნდა და თავსა მათრავითა უხეთქნა, და უბრძანა მას ქუეშე დაწესებულთა, რათა ცხენისაგან უპატიოდ დაამჯუან ქუეყანად, და ყვესცა ეგრეთ, პატივისაგან უპატიო ყვეს, და განძრცვლი განაძეს, და მიერთგან უპატიო იქმნა. და ესრეთ განაგდეს შანშე და ავაგ და თავადთა საქართველოსათა.³⁵⁴

ასწლოვანი მათიანე

[1246-1248 წწ.]

და ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იპოვების, და თვთ მე მინახავს, რომელ სიგლებისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატონანი“, და „ნებითა ღთისათა, დავით და დავით“. და ჴელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე [არს], და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“. ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ, ვითარ ვთქუ, რომლისათვის საეჭუელ იქმნა შანშესგან ლაშას ძისა დავითის სიყუარული, და ავაგისგან რუსუდანის ძისა დავითის მიმდგომობა. და ვერ განაცხადეს, რამეთუ ორნივე დავით და დავით სიყუარულსა ზედა ეგნეს და არა წინა აღუდგებოდეს ერთმანერთსა, და მორჩილობდეს ულო ყაენსა და ხარაჯას მისცემდეს. ხოლო უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა დავითს ეპყრა ლაშას-ძეობისათვის, დაღაცათუ უხუცესობისათვის.³⁵⁵

კირაკოს განძაკეცი, სოხეთის ისტორია

[1250 წ.]

Յետ այսորիկ մնուա ի իխսանաց ի իխսան Ասագ և թաղեցա ի Պոնդահանքն ի գերեզմանի հոր իւրոյ Իւանէի: Եւ ետուն զիխսանութին նորա Չաքարէի, որդւոյն Շահնշահի, հորեղբոր որդւոյ Ասագին, զի Ասագն որդի ոչ ունէր, բայց միայն դուստր մի երեխայ և ի պոռնկութենէ որդի մի երեխայ, զոր յետ մահու նորա ասացին, թէ ի նմանէ է, զոր ասեալ քոյր նորա սնուցանէր: Եւ ասպա հանեալ ի Չաքարէէ ետուն կնոջ Ասագին, որում անուն էր Գոնցա.³⁵⁶

ამის შემდეგ მთავართა შორის უპირველესი იშხანი ავაგი გარდაიცვალა და დამარხეს მამის, ივანეს საძვალეში პლნძჰანქში. მისი სამფლობელოები გადასცეს ბაქარიას შანშეს ძეს, მის ბიძაშვილს; ავაგს არ ჰყავდა [კანონიერი] ვაჟიშვილები, მხოლოდ – მცირეწლოვანი ქალიშვილი და ერთი უკანონო ვაჟი, რომელზეც ითქვა, რომ მისი შვილი იყო.... [უკანონო შვილი] მისმა დამ აიყვანა და გაზარდა. მოგვიანებით ბაქარიას ჩამოართვეს [ავაგის სამფლობელოები] და გადასცეს ავაგის ცოლს, სახელად – გვანცას.³⁵⁷

მონღოლთა ბატონობის მეორე პერიოდი

გუილიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში

[1255 წ.]

De predicta civitate egressi sumus in octavis Epiphanie: ibi enim stetimus diu propter nives. Venimus usque ad .iiij^{or}. dies in terram Saheusa, cujusdam Gurgini potentissimi quondam, nunc vero tributarii Tartarorum, qui destruxerunt omnes mumtiones ejus. Cujus pater nomine Zacharias adquisivit terram illam Armenorum, eripiens eos de manu Sarracenorum. Et sunt ibi casalia pulcherima pure Christianorum habentium ecclesias, recte sicut Franci; et quilibet Armenus habet in domo sua, in venerabiliore loco, manum unam ligneam tenentem crucem, et ponit lampadem ardentem coram ea; et quod nos facimus de aqua benedicta spargendo ad effugacionem maligni spiritus, faciunt de

thure. Quolibet enim sero accendunt thus, déférentes illud per omnes angulos domus ad extricandum omne genus inimici. Comedi cum predicto Saheusa; et fecit michi magnam reverenciam ipse et uxor ejus et filius ejus nomine Zacharias, valde pulcher et prudens juvenis, qui quesivit a me, si veniret ad vos, utrum velletis eum retinere : ita enim egre fert dominium Tartarorum quod quamvis habeat copiam omnium rerum, tamen mallet peregrinari in terra aliéna quam sustinere dominium eorum. Insuper dicebant se esse filios Romane Ecclesie; et si dominus papa mitteret eis auxilium aliquod, ipsi subjugarent omnes adjacentes naciones Ecclesie. De villa illius ad .xv. dies intravimus terram soldani Turkie, dominica in .xl.; et primum castrum quod invenimus vocatur Marsengen... In Āurificacione fui in quadam civitate nomine Aini, ipsius Saheusa, cujus situs est fortissimus; et sunt in ea mille ecclesie Armenorum et due synagoge Saracenorum. Tartari ponunt in ea ballivum. Ibi invenerunt me quinque fratres predicatorum, quorum quatuor veniebant de provincia Francie, et quintus junxerat se eis in Syria; et non habebant nisi garcionem infirmum, qui sciebat turkum et parum de gallico; et habebant literas domini pape ad Sarcath et ad Manguchan et ad Buri, quales vos dedistis michi, deprecatorias quod permetterent eos stare in terra sua et predicare verbum Dei, etc. Cum autem narrassem eis que ego videram, et qualiter remittebant me ipsi, direxerunt iter suum Tefilis, ubi sunt fratres eorum, habituri consilium quid essent facturi.³⁵⁸

ჩვენ ნაქსუა ნათლისღების კვირაში დავტოვეთ, ვინაიდან თოვლმა დიდი ხნით დაგვაგვიანა. ოთხი დღის შემდეგ ჩვენ მივალწიეთ საჭენზას ქვეყანას; ეს საჭენზა წინათ მეტად ძლიერი ქართველი ყოფილა, მაგრამ დღეს ხარკს აძლევს თათრებს, რომელთაც ყველა მისი ციხე-სიმაგრე გაუნადგურებიათ. მამამისს, სახელად ბაქარიას, ეს ქვეყანა სომხებისაგან მიუღია და ის სარკინოზების უღლისგან გაუთავისუფლებია. იქ მრავალი საუცხოო დაბა-სოფელი მოიპოვება ტემ-მარიტი ქრისტიანებისა, რომელთაც ისეთივე ეკლესიები აქვთ, როგორც საფრანგეთშია. ყოველი სომხის სახლში ყველაზე გამოჩენილ ადგილას მოიპოვება ხის ხელი, რომელსაც ჯვარი უჭირავს და რომლის წინაშე კანდელი ანთია; როგორც ჩვენ ბოროტ სულს აიაზმით ვდევნით, ისე ისინი საკმეველით სდევნიან. ყოველ საღამოს სომხები საკმეველს ანთებენ და სახლის კუთხეებს უკმევენ, რათა თავი დაიცვან ყოველგვარი მტრისაგან. მე ვისაძილე საჭენზასთან და როგორც მან, ისე მისმა მეუღლემ და მისმა ვაჟმა ბაქარიამ დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ. ბაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია; მან მთხოვა, რომ თუ ის თქვენთან მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეწია მისთვის, რათა ის თქვენს სამსახურში მიგეღოთ. ეს ყმაწვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ თუმცა ყოველივე უხვად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყნებში იხეტიალოს, ვიდრე ქედი მოიდრიკოს მათი უღლის ქვეშ. სხვათა შორის, სომხები ამბობენ, რომაული ეკლესიის შვილები ვართ და პაპი რომ რაიმე დახმარებას გაგვიწევდეს, ყველა მეზობელ ერს დავუმორჩილებთ ამ ეკლესიასო. დავტოვეთ ამ საჭენზას ქალაქი, თხუთმეტი დღის შემდეგ, დიდი მარხვის კვირას, ჩვენ მივალწიეთ თურქეთის სულთანის ქვეყანას; და პირველი ციხე-დარბაზი, რომელიც ჩვენ დავინახეთ, მარსენგანი იყო... მირქმის დღეს მე საჭენზას სამფლობელოში მდებარე ქალაქ ანისში ვიმყოფებოდი, რომელიც მეტად გამაგრებულია. იქ არის სომხების ათასი ეკლესია და სარკინოზების ორი სინაგოგა. თათრებს იქ ერთი უმაღლესი მსაჯული ჰყავთ. იქ ჩემს სანახავად ხუთი დომინიკელი ძმა მოვიდა, რომელთაგან ოთხი საფრანგეთის პროვინციიდან იყო, ხოლო მეხუთე მათ სირიაში შეერთებოდა. მათ ახლდათ მხოლოდ ერთი ავადმყოფი მსახური, რომელსაც თურქული და ცოტაოდენი ფრანგული ესმოდა. მათ წერილები მიჰქონდათ სარტახისა, მანგუ-ხანისა და ბურისთვის, იმის მსგავსი წერილები, როგორც თქვენ მე მომეცით; ამ წერილებში პაპი მათ სთხოვდა, მისი ბერებისთვის ნება დაერთოთ მათ ქვეყნებში დარჩენილიყვნენ და იქ ღვთის სიტყვა ექადაგნათ. როდესაც მე მათ ვუამბე რაც მე ვნახე და როგორ გამომაბრუნეს უკან, ისინი თბილისისკენ გაემართნენ, სადაც მათ თანამოძმეები ჰყავთ, რათა მათთვის რჩევა ეკითხათ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მომავალში.³⁵⁹

ასწლოვანი მატინე

[1260 წ.]

ხოლო შემდგომად ამისა, ინება ყაენმან აღმწედრება სულტანსა ზედა მისრეთისასა და შეკრიბნა ყოველნი მთავარნი და სპანი მისნი, და მოუწოდა მეფესა დავითს და სპასა მისსა წარსლვად ეგვპტედ. ხოლო შეიწრებულ იყო მეფე და საბრძანებელი მისი... გარნა წარემართა ლაშქრად მისრეთს. და ვითარ მოიწია ქუეყანად ჯავახეთისად, დაამტკიცა განდგომა... ხოლო წარჩინებულნი ამის სამეფოსანი რომელნიმე დაამტკიცებდეს და რომელნიმე არა, გარნა ეგრეთცა დაამტკიცა განდგომილება; და უმრავლესნი წარვიდეს ყაენს წინაშე: შანშეს ძე ივანე, და გრიგოლ სურამელი, კახა ერისთავი ახალქალაქისა, თავნი და პირნი ქუეყანისანი წარვიდეს ყაენს წინაშე, და უმრავლესნი ჰერ-კახნი.³⁶⁰

კირაკოს განძაკეცი, სომხეთის ისტორია

[1260 წ.]

Եւ երկուցեալ Արդունին ... առ Հուլათուն, և նիփեսաց ի սրտի իւրում չարութիւն, և ի կալանս արար զթադուիին վրաց՝ զԳոյնցայն, և գդուստր իւր՝ զԽոշաքն, և զԻշխանն մեծ զՇահնշահ, և զԶալալն Հասան՝ զտէրն Խաչնոյ, և զայլս բազումս՝ պատճառաւն Եւստիոսի և հարկի, յորոց բազում գանձս առնալ, հագիւ զերծան ի մահուանէ.³⁶¹

არღუნი... ჰულაგუსთან დაბრუნდა, გულში კი ბოროტი ზრახვები ედო. მან შეიპყრო საქართველოს დედოფალი გვანცა, მისი ქალიშვილი ხოშაქი, დიდი მთავარი შანშე, ჰასან ჯალალი ხაჩენის ბატონი და ბევრი სხვა ხარკისა და გადასახადების გადაუხდელობის გამო. [მათ] დიდძალი საფასური გაიღეს და ძლივს იხსნეს სიცოცხლე.³⁶²

ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია

[1261 წ.]

Ի նոյնքանիս թուսկանին Հայոց յեօն հարիւր (1261) սպանին ՚ի դոտն Շղանին Հուլաին զսպարապետն Վրաց զԶաքարէ՝ զորդի Շահնշահի, ՚ի տիս երիտասարդութեան ՚ի գեղ ծաղկի՝ և յառաջադէմ յաջողման ժամանակի, յերեսանի և ծանօթ ամենեցուն, բարուրս ինչ եղեսալ ՚ի վերայ. և զայն ևս՝ թէ խափանեսալ եղև կարգեսալ հարկն յիւրում ժամու երթալոյ յարքունիս: Զորոյ մահն ողորմագին աշխարանօք սգացին ամենայն տունն Վրաց, Հայաստանօք մերձստրօք նոցա. քանի - առաւել որք ծնանն գնա ծնողքն դատնակսկիծ և մարմնատանջ ողբովք: Վասն որոյ ՚ի նոյն ատուրս և նոյն սևու սգին սրտակտուր լեսալ մեռաւ հայրն Շահնշահ կոչեցեսալ, իբր տէր մայրաքաղաքին Անույ, որ երբեմն նստոց էր արքայի, որ ասագն էր թագաւորացն Բագրատունեաց, այլ և այլ աշխարհացն, գանուն տեսան Անույ Շահնշահ կոչելով. իբր թագաւորաց թագաւոր.³⁶³

იმავე 710 (1261) წელს სომხური წელთაღრიცხვით ელხან ჰულაგუს კარზე მოკლეს ქართველთა მხედართმთავარი შანშეს ძე ზაქარია სიყმაწვილის ასაკში, სილამაზის აყვავებისა და წინსვლის, ბედნიერების ხანაში, გამორჩენილი და ცნობილი ყველასათვის. მას წაუყენეს რაღაც ბრალდებები და მათ შორის ისიც, თითქოს ის აბრკოლებდა დაწესებული ხარკის დროზე გაგზავნას ხაზინაში. მის სიკვდილს სინანულით დასტიროდა მთელი საქართველო მეზობელი სომხეთით და რამდენად უფრო მწარე, მტანჯველი ვაებით მოსთქვამდნენ მისი მშობლები. ამის გამო იმავე დღეებში და გლოვის ჟამს გულგამირული გარდაიცვალა [ზაქარია] მამა, რომელიც იწოდებოდა შანშედ, დედაქალაქ ანისის უფალი. აქ ერთ დროს იჯდა მეფე, რომელიც ბაგრატიუნთა მეფეებისა და სხვა სამეფოების უფროსი იყო. [ამიტომ] ანისის უფალი შაჰან-შაჰად იწოდა ანუ მეფეთა-მეფედ.³⁶⁴

კირაკოს განდაკეცი, სომხეთის ისტორია

[1261 წ.]

Մեծ իշխանն Շահնշահ, որդին Չաքարէի, ետ զիշխանութիւնն յաւագ որդին իր Չաքարէ, զի որդիք բազումք էին նորա՝ Չաքարէ և Սազ, Սարգիս և Արտաշիրն, և Իւան: Եւ ինքն ինամէր գտուն իր. և Չաքարէ ընդ թաթար զօրուն երթայր ի գործ պատերազմի, և արիւթին քաջութեան ցուցնայ, մեծարեայ լինէր ի մեծն Հուլաւուն և յԱրդուն ոստիկանն: Դէպ եղև, զի Արդունն զօրօք բազմօք էր ի կողմանս Վրաց, ընդ նմա էր և Չաքարէ: Եւ գաղտ յԱրդունն և յայ զօրացն գնաց Չաքարէ ի տեսութիւն կնոջ իւրոյ, որ էր առ իոր իւրում Սարգսի՝ իշխանին Ուխտեաց որ ապստամբ էր ընդ թագաւորին վրաց Դաւթի: Եւ ինացնայ Արդունին, ազդ առնէ Հուլաւոյն: Եւ նա առ ինքն հրամայեաց տաննէ կապանօք. և այլ բարորս կուտեաց ի վերայ նորա, և հրամայեաց սպանաննէ գնա և անդամ անդամ յօշէ և արկաննէ շանց: Եւ յորժամ լուսս զգոյժ Հայր նորա Շահնշահ ի գիւղն Օձուն, ի նեղասրտութիւն անկնայ՝ ի տրտմութեննն մնայ: Եւ տարեայ թաղեցին գնա ի Քոբայրն, զոր առ կինն նորա ի Հայոց.³⁶⁵

დიდმა იშხანმა შანშემ, ბაქარიას ვაჟმა თავისი ძალაუფლება უფროს ვაჟს ბაქარიას გადასცა, რადგან მას ბევრი ვაჟი ჰყავდა: ბაქარია, ავაგი, სარგისი, არტაშირი და ივანე. თვითონ კი თავის სახლს უვლიდა. ბაქარია საომრად წავიდა თათართა ჯარში და ისეთი სიმამაცე გამოავლინა, რომ მას პატივი მიაგეს დიდმა ჰულაგუმ და ოსტიკანმა არღუნმა. მოხდა ისე, რომ ბაქარია არღუნთან და მის დიდძალ ჯართან ერთად საქართველოში იყო. არღუნისა და სხვა მისი ჯარისკაცების გაუფრთხილებლად ბაქარია წავიდა თავისი ცოლის სანახავად, რომელიც მამამისთან, ოლთისელთა მბრძანებელ სარგისთან იყო, ის კი ერთ-ერთი აჯანყებული იყო ქართველთა მეფის დავითის მხარეზე. ეს რომ არღუნმა შეიტყო, ჰულაგუს აცნობა, რომელმაც ბრძანა, რომ ბაქარიასთვის ბორკილები დაედოთ. მან სხვა ყალბი ბრალდებებიც წაუყენა და ბრძანა მოეკლათ, აეკუწათ და ძაღლებისთვის გადაეგდოთ შესატყმელად. ეს ცუდი ამბავი რომ ბაქარიას მამამ შანშემ შეიტყო სოფელ ოძუნში, დარდისგან გული გაუსკდა და მოკვდა. წაასვენეს და დაკრძალეს ქობაირში, რომელიც მისმა ცოლმა აიღო სომხებისგან.³⁶⁶

ეპისკოპოსი სტეფანოსი, ქრონოგრაფია

[1263 წ.]

ՌՄԿԳ/ՉԺ (1263/710) Չաքարէ սպանին և հայրն Շահնշահի մնայ.³⁶⁷

1263/710 ბაქარიას კლავენ და მამა შანშე გარდაიცვალა.³⁶⁸

ანონიმი სებასტიელი, ქრონოგრაფია

[1261 წ.]

Ի նոյն ամի սպանին ի դիւն Հուլանին գնեմ ըսպարապետն Վրաց Չաքարէ, զորդի Շահնշահին.³⁶⁹

მასვე წელსა ჰულაგუს კარზე გარდაიცვალა ქართველთა დიდი სპარაპეტი ბაქარია, შანშეს ძე.³⁷⁰

ასწლოვანი მათიანე

[1261 წ.]

მას ჟამსა გაადგა ულო ყაენს შანშეს ძე ბაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოვლითა სათნოებითა შემეკული და საჩინო, და ივლტოდა ქუთათისს ნარინ დავითისსა, „რამეთუ ბერქას ლაშქართა

გამოსლვა მასმია ჩემ ზედა”. ხოლო მეფემან დავით კეთილად შეიწყნარა, დაჰყო მცირე ჟამი, მერმე ფიცით მოიყვანა ყაენმან, გარნა არცა ეგრეთ დამშუდდა გული ულოსი, და მოკლა ზაქარია ამირსპასალარი, კაცი პატიოსანი და სახელოვანი. და ცნა დიდმან შანშე, მამამან მისმან, მწუხარებითა შეწუხებული იგიცა აღსრულდა.³⁷¹

სამუელ ანეცი და მისი გამგრძელებლები, ისტორია

[1269/1267 წწ.]

ՌՄԿԹ / ՉԺԶ ԶԱնի ծախսեցին Շահինշահին որդինք: Թարութարն փախեսալ.³⁷²

1269/716 შანშეს შვილებმა გაყიდეს ანისი. თეგუდარი გაიქცა.³⁷³

ასწლოვანი მათიანე

[1269-1270 წწ.]

მოუწოდა [აბაღა] სპათა მისთა და დიდსა შანშეს შვილსა ივანეს მანდატურთ-უხუცესსა, და წარმოავლინა დევნად თეგუდარისა, და აჩინა მყედართმთავრად სირმონ, ჩორმაღან ნოინის შვილი, კაცი წყობათა შინა სახელოვანი და შემმართებელი, და მრავალნი ნოინნი სხუანი, და მოიწივნეს მთათა არტანისათა, და დაიბანაკეს მუნ.³⁷⁴

ასწლოვანი მათიანე

[1270-1272 წწ.]

მაშინ შეკრბეს ყოველნი დიდებულნი საქართველოსანი, და წარიყვანეს მეფის ძე დიმიტრი ურდოსა, და მივიდეს შანშეს ძისა ივანეს თანა მანდატურთ-უხუცესსა, და წარჰყვა იგიცა ურდოსა. და მიიყვანეს ყაენს წინაშე ურდოსა და დაუურვეს მეფობა. და ვითარ იხილა ყაენმან დიმიტრი, შეიწყალა და შეიყუარა, რამეთუ იყო ქმნულ-კეთილი და შუენიერი ხილვად, და მოსცა ყოველი სამეფო, თვნიერ სარგის ჯაყელისა, და წარმოატანა თანა სადუნი, რომელსა უბოძა მეფემან დიმიტრი ათაბაგობა.³⁷⁵

ანონიმი სებასტიელი, ქრონოგრაფია

[1280 წ.]

Ի քվին ՉԻԹ (1280) Ապաղայն ի Վրաց տուն մտաւ. և զՋալալ Թարայն և զՌաքի Պապայն սպանին ի Քայիքուն լեան, որ է ի սահմանս Անդ.³⁷⁶

729 (1280) წელს აბაღა ქართველთა ქვეყანაში შევიდა. ჯალალ თორა და რათი პაპანი მოკლეს ქაითუნის მთასთან, რომელიც არის ანისის საზღვრებში.³⁷⁷

ასწლოვანი მათიანე

[1282-1284 წწ.]

ვინათგან მოაკუდინა აჰმადა ძმა თვისი ყონღადარ, იხილეს უწესობა აჰმადასი ნოინთა ხუარასანს მდგომთა, განდგეს და დასუეს ყაენად ძე აბაღა ყაენისა, სახელით არღუნ. ვითარ ცნა ესე აჰმადა ყაენმან, შეკრიბა სპა მისი, და მოუწოდა მეფესა და სპასა მისსა, რათა წარყვეს ხუარასანს, ბრძოლად არღუნ ყაენისა. და წარვიდა მეფე, და თანა წარიტანა ყოველი ძალი მისი, და მანდატურთ-უხუცესი დიდისა შანშეს ძე ივანე, და სადუნის ძე ხუტლუბუღა ამირსპასალარი. წარემართნეს და განვლეს ერაყი, და მივიდეს საზღვარსა არღუნისსა. ხოლო

ვითარ იხილა არღუნ სიმრავლე ლაშქრისა, ვერ წინააღუდგა, არამედ ივლტოდა, და შევიდა ციხესა, ქალსად წოდებულსა, რომელსა უკანა მიუდგა ყაენი აჰმადა, და მოიცვა ციხე ქალსა. ხოლო ვითარ უღონო იქმნა არღუნ, ევედრა, რათა არა აბრალოს და შეუნდოს, და მოსცეს ფიცი, და მივიდეს წინაშე მისსა. და ისმინა აჰმადა და მისცა ფიცი უვნებელობისა, რამეთუ სპარსთა სჯული აეღო აჰმადას, და გამოვიდა არღუნ ციხით, და მოვიდა ბიძასა მისსა წინაშე, და ესრეთ წარემართნეს.³⁷⁸

სტეფანოს ორბელიანი, სისაკანის სახლის ისტორია

[1284 წ.]

჊ი ლი რნო ნოთა ჭაყაიორი ჴნნსორქ, გორ სირსაგ არგონინ, ს სო ნოთა ცამნნაჲს აჯსარხი ჯაჲიგ՝ რე თონინ არაღნან ს გთონინ Ⴢახანჯახნან ს რე ჴაღნეჲნ ს გორჲინ სარჲონ არაღნეჲნ: ჊ი ჲნრნ ლი რნო სირიო რრხათინეჲს ს სეღნეღნაგ: ლი რნო ნოთა ს სარსაჲინ გორ რაჲთ მნბარნაგ ს სირსაგ არგონინ: არაღ იარბოთ ჴნნსორქ მნბოთ ჲნრჲოჲსამრ ს ამნნაჲს არაღთორ, ს მნბამნბე ჲრსაგ ს ჯაჲიგ რნო ნოთა: ჊ი სეღნა ჲ Ⴢორო გნაგ ნოთა რნო თოთჲ სარსაჲინ მნბამნბე არაღთორ, ს არგონინსკან რნბაჲიჲ მნბარნაგ გრსაღთორ: ჊ი ნოთა თოთჲ თაროთ რნო ჲორ გნა ჲნრსკინ არაღნან რაროთ. ს რაღონ რარსანბანოჲ რნბაღრსნაგ გნა, ს სო არაღნე ჲღნაგ ამნნაჲს თღრჲისნან ჲორჲ მინჯს ჲ სჲიჲი ს რარს ს ჲ ჴარო: ჊ი სო ჲ მნოთ ნორა გთოთჲს ჲორ გრ-არჲი ს გრანოღნ სნოღანნე გნოთა ს არაღნე.³⁷⁹

ხოლო დიმიტრი მეფე იყო მათ თანა, რომელი შეიყვარა არღუნმან და მისცა მას ყოველი ქვეყანა სომხეთისა ავაგიანთა და სახლი შაჰან-შაიანთა და გაგელნი და ძე საღუნ ათაბაგისა. ხოლო და იყო თვით იგი მოყვარე ქრისტიანეთა და ეკლესიათა და იყო მათ თანა ტარსაიჭიცა, რომელი ფრიად დიდებულ იქმნა და შეიყვარა არღუნმან. ხოლო შემდგომად მიიქცა დიმიტრი დიდითა სიხარულითა და ყოველნი აზნაურნი და ყოველნი დიდ-დიდნი ქართველთა და სომეხთანი მის თანა, და მოვიდეს შარურს და მიეგება ტარსაიჭ და დიდითა პატივითა და სამეფოთა ძღვნითა მიხედა მეფესა. და წარიყვანა მან იგი თვის თანა, ქვეყანასა ავაგიანსა, არარატს. და მრავალითა ვედრებითა ექენებოდა მას და დაადგინა ათაბაგი ყოველსა საუფლოსა ზედა ვიდრე ტფილისით და ანით და კარით, და მისცა ჳელთა მისთა ძენი თვისნი დავით და მანუელ აღორძინებად და დაცვად.³⁸⁰

ასწლოვანი მათიანე

[1293 წ.]

მოუწოდა [ყაენმან] დავითს და რქუა: „ვინათგან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემთვის, და სდგახარ ერთგულობასა ჩემსა ზედა, მომიცემია მეფობა და სამეფო შენი ყოველი“. და წარმოგზავნა ტფილისს, და დასუა ტახტსა მამისა მისისასა. და თანა წარმოატანნა სპანი საქართველოსანი, შანშე და ხუტლუბულა, და ყოველნი დიდებულნი. და მოუწოდეს სამცხით ბექასა, და მან არა ინება მოსლვად, რამეთუ ფრიად განდიდებულ იყო, თვით არღარა წარვიდის არცა ყაენს წინაშე და არცა მეფეს თანა, არამედ წარმოუვლინა ძე თვისი პირმშო, სამცხის სპასალარი სარგის, და ყოველი ნამარხევი, რომელ აქუნდა მეფის დიმიტრისაგან შევედრებულნი, და სარტყელიცა იგი დიდფასისა. მოვიდა სარგის და მოილო ყოველივე დაუკლებელად მეფის დავითის წინაშე. და დასუეს მეფე ტახტსა ზედა, და აკურთხეს კათალიკოსმან აბრაჰამ და ეპისკოპოსთა.³⁸¹

ასწლოვანი მათიანე

[1299 წ.]

და ვითარ გარდაცდა ზამთარი იგი, და მოეწურა არე ზაფხულისა, წარმოავლინეს მოციქული მეფისა დავითის წინაშე, რათა ცნან, უკეთუ არს ერთგულობასა ზედა ყაენისასა, ანუ არა. და ცნა კაცმან მან, რომელ ბადურ წარევლინა დავითს ყაენ თოხთას თანა, და გზა ექადა გამოსლვად. აცნობა ყაზანს, ხოლო იგი განწყრა და წარმოავლინა ყურუმჩი, და აღნაჯი ვინმე შინაური მისი, და შანშე მწარგრძელი. და მოუწოდეს ძმასა დავითისსა, მცირესა გიორგის, რომელი ეშვა ასულსა ბექასსა, და მას აღეზარდა, რომელი მარტო ეშვა დედასა, ვითარცა მარტორქა, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო ბუნება დედათა სხვსა ეგევითარისა შობად, ვითარ ქუემორე სიტყუამან ცხად ყოს.³⁸²

ასწლოვანი მათიანე

[1300 წ.]

ვითარ ცნა ხუტლუბულა მეფისა ციკარეს დგომა, განყო ლაშქარი, და რომელიმე წარავლინა ცხავატით გზასა, რათა ეგრეთ შევლონ ციკარესა, რომელი-ესე შეუძლებელ იყო... და სპანი მეფისანი გამოვიდეს ჯადის თავსა, გორასა რასმე, რომელ არს ციკარეს პირისპირ, და იქმნა ომი ძლიერი. კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, ჯადელნი, და ზოგნი ჯევით მოსრულნი რჩეულნი, და უმეტეს მოისრვოდეს თათარნი, რამეთუ დიდად ავნებდეს მთიულელნი, იყვნეს ფერჯითა მალი, ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომრად, და ქუეითად იბრძოდეს თათარნი, რომელთა შემწედ ჰყვა ივანეს ძე შანშე, და ოსნი რომელ სხდეს გორს, მესხნი ლაშქარნი, რომელნი წარმოევლინეს სამცხისა მთავარსა ბექას: თორელნი, თმოგუელნი და ტაოელნი. და განგრძელდა ომი ვიდრე მიმწუხრადმდე, გზათა სივიწრითა არა აღერივნეს ურთიერთას, გაიყარნეს და უკუდგეს ჯადას თათარნი.³⁸³

ასწლოვანი მათიანე

[1302 წ.]

ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფნა, და წარვიდა ურდოს ყაზანის თანა. ხოლო მან კეთილად შეიწყნარა და მოსცა მეფობა. და წარმოატანა ხუტლუბულა ნოინი სპითა უძლიერესითა, და მოვიდა ტფილისს. და მუნ შემოიპირნეს ყოველნი თათარნი და ქართველნი, და სამცხის ბატონის ბექას შვილი, სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგუელნი და სომხითარნი, რამეთუ შანშე პირველვე იყო მუნ. ვითარ ცნა მეფემან დავით, რომე ვახტანგს მეფედ ჰყოფენ... წარავლინა იგივე კათალიკოსი, ყადი და ბურსელი, ითხოვა ოლჯათ და აღუთქვა ხილვა. და ვითარ მივიდეს ხუტლუბულას თანა, ცნა არა მოსლვა მეფისა... და განრისხებულმან მოაკუდინა ბურსელი, რომლისა გუამი აღილო შანშე და წარგზავნა სამარხოსა მისსა. ხოლო ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა და ოლჯათ წარავლინეს ურდოსა.³⁸⁴

სახარება (პეტერბურგი, მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტი, №B44),**ანდერძმინაწერი**

[1298 წ.]

Արդ, գրեցաւ սա ի քաղաքիս Անի, ի բեռդս Ներքի կոչեցեալ, ձերամբ եղբայրիկ արեղայի, ընդ հովանեաւ Սուրբ Յովաննիսի, յաշխարհասկալութեան Էլզան Ղազանին, ի թագաւորութեան Հայոց Սմբատայ, ի կաթողիկոսութեան տեսան Գրիգորի, ի Վրաց թագաւորութեան Վաղթանգին, ի պարոնութեան ամիրսպասալար Շահնշահի, և եպիսկոպոսութեան տեսան Յովաննիսի, ի տէրութեան Արքեստիո Մագիստրոսնց տէր Յոհաննիսի և Ամիրին որդի Ֆախրադինին.³⁸⁵

დაიწერა ეს [წიგნი] ქალაქ ანისში, ნერქიდ წოდებულ ციხეში, ელბაირიკ მოწესის ხელით, წმიდა იოანესის შეწვევითა, ილხან ლაზანის მპყრობელობისას, სომხებზე სმბატის მეფობისას, უფალ გრიგორის კათოლიკოსობისას, ქართველებზე ვახტანგის მეფობისას, ამირსპასალარ შანშეს პატრონობისას, უფალ ოვანესის ეპისკოპოსობისას, არჯევან მაგისტროსიან უფალ ოვანესისა და ამირასი, ფახრადინის ძის მმართველობისას.³⁸⁶

ანონიმი სებასტიელი, ქრონოგრაფია

[1300 წ.]

Ի թվին ՉԽԹ (1300) դարձնալ նուստ Խազանն բագուս գօրօք ի Մսր եւ գլխաւորք Էին զհետ նորս Շահնշահն ի Վրաց, Կօկաթայն, Մուքան, Մուլայն, Չոպանն եւ բագուս աւարս եւ զերիս առնալ տարսս եւ չոգաս յարթո իւր.³⁸⁷

749 (1300) წელს ყაზანი დიდძალი ჯარით კვლავ შეიჭრა მისრეთში; მას ახლდნენ სარდლები: შანშე საქართველოდან/ქართველთაგან, კოკათა, სუთა, მულა, ჩოპანი. [ყაზანი] უამრავი ნატყვევარ-ნაალაფევით დატვირთული სასახლეში დაბრუნდა.³⁸⁸

ასწლოვანი მათიანე

[1311 წ.]

ამან ოლჯათ სულტანმან წარმოავლინა მცირე გიორგი მეფედ, და ბაალ მელიქი, ვინმე სპარსი ხუარასნელი, და ახრუნჩი, მამის ძმა ჩოფანისა, თანა წარმოიტანა, რათა ყოველი საქართველო ერთად შეკრიბონ მეფობასა შინა გიორგისსა, და აჩინეს ამათ შანშე მჯარგრძელი და ბაქარია აგაგის ასულის ხუაშაქის ნაშობი. მივიდეს ჯავახეთს, მიერ კოხტის თავსა, და აწუევდეს სარგისს და ყუარყუარეს გამოსლვად, და არა ინებეს.³⁸⁹

ასწლოვანი მათიანე

[1314 წ.]

ამათ ჟამთა შინა იქმნა განდგომილება საბერძნეთს, და განუდგეს ოლჯათ სულტანსა ფარმანის შვილნი და ქალაქი დიდისა კონისა. მაშინ წარავლინა ყაენმან ჩოფან სპითა მისითა საბერძნეთს, და თანა-წარატანნა ქართველნიცა. და წარჰყვა გიორგი ჩოფანს. ხოლო გოგაბილა მალაქ, შანშე და ბაქარია არა წარჰყვეს თანა, წარვიდეს და აიყარნეს, და ტფილისს შევიდეს.³⁹⁰

ჰამდალლაჰ ყაზვინი, გულთა სიამე

[1340 წ.]

در ذکر بلاد ابخاز و گرجستان

و آن پنج موضع است و هوایش سرد است و حدود آن تا ولایت اران و ارمن و روم پیوسته است و حقوق دیوانی آن ولایت در عهد ملوک آنجا قریب پانصد تومان این زمان حاصل شده و در این عهد صد و بیست تومان و دو هزار دینار است و دارالملک گرجستان و ابخاز شهر تفلیس است الان از اقلیم پنجم است طولش از جزایر خالادات فح و عرض از خط استوا م فیروز بن قباد ساسانی ساخت هوایش بغایت خوب است و بسر دی مایل و آبش از جبالی که متصل البرز میآید و در رود کر میریزد حاصلش غله و میوه باشد انی از اقلیم پنجم است طولش از جزایر خالادات عطو و عرض از خط استوا ما هوایش سرد است حاصلش غله و اندکی میوه دارد تفلیس از اقلیم پنجم است طولش از جزایر خالادات فح و عرض از خط استوا مح در دره افتاده است که طرفی از آن پاکوه است و آب کر بر میان

آن روان است و از طرفی عمارات بر روی کر ساخته‌اند چنانچه بام هر رسته خانهای زمین کوی بر رسته علیا است و در آنجا حمامات بسیار است که آب گرم آنرا از زاینده است و به آتش احتیاج ندارد حاصلش غلات بغایت نیکو برآید و اندکی میوه دارد خنان قلعه مستحکم است بر سر تلی عظیم بر سرحد اران قرص در معجم البلدان گوید که شهرکی است بر دوروزه تفلیس و هوای خوش دارد و حاصل غله عظیم نیکو بود و زمین مرتفع دارد.³⁹¹

აფხაზ(ეთ)ის და საქართველოს ქალაქთა ხსენება
 ხოლო იქ ხუთი ქალაქია და ჰავა ცივი აქვს. მისი საზღვრები არანს, არმენიას და რუმს ეკვრის. სახელმწიფო შემოსავალი ამ ქვეყნისა იქაური მეფეების დროს დაახლოებით ეხლანდელ ხუთას თუმანს შეადგენდა, ხოლო ამჟამად ას ოცი თუმანი და ორი ათასი დინარია. საქართველოს და აფხაზეთის სატახტო ქალაქი ტფილისია. ალანი მეხუთე სარტყელს ეკუთვნის. მისი სიგრძედი ბედნიერ კუნძულებიდან 88, ხოლო სიგანედი 40-ს შეადგენს. ფირუზ ბენ კობადმა ააშენა. ჰავა მეტად კარგი და ცივისაკენ მიდრეკილი აქვს. მისი წყალი ელბორზის მეზობლად მყოფ მთებიდან მოდის და მტკვარს ერთვის. იქ მოდის პურეული და ხილი. ანისი მეხუთე სარტყელს ეკუთვნის. მისი სიგრძედი ბედნიერ კუნძულებიდან 79 უდრის, სიგანედი ეკვატორიდან – 41-ს. ჰავა ცივი აქვს, მოსავალი პურეულია და ცოტა ხილიც აქვს. ტფილისი მეხუთე სარტყელშია. მისი სიგრძედი ბედნიერ კუნძულებიდან 83, სიგანედი ეკვატორიდან – 48. ის ჩავარდნილია ხეობაში, რომლის ერთი მხარე მთის ძირს წარმოადგენს. შუაზე მდინარე მტკვარი ჩამოუდის. ერთ მხარეზე შენობებია აგებული მტკვრის პირზე ისე, რომ სახლების ერთი რიგის ბანები შემდეგი, უფრო მაღლა მდგომი მწკრივის ქუჩის იატაკს წარმოადგენს. იქ ბევრია აბანო, სადაც ცხელი წყალი გამოდის და ცეცხლს არ საჭიროებს. იქ მოდის მეტად კარგი პურეული, ხილი ცოტა აქვს. ხუნანი მაგარი ციხეა ერთ მაღალ ბორცვზე, არანის საზღვრად. ყარსი. „მო'ჯამ ელ-ბოლდან“-ში ნათქვამია, რომ ის [ყარსი] მცირე ქალაქია ტფილისიდან ორი დღის სავალზე. ჰავა კარგი აქვს, მოდის ძალიან კარგი პურეული. ქვეყანა – მაღლობია.³⁹²

საქართველოს სამეფო კარგავს ანისს

ბიბლია (ვენა, მხითარიანთა კონგრეგაციის ბიბლიოთეკა, №55), ანდერძმინაწერი [1368 წ.]

Չստացաւ սուրբ գրոցս զարիւի և զերջանիկ դիտասպետն Բջնոյ մեծ նահանգին՝ զսէր Մանուէլ աղաչան յիշէլ ի տէր: Ընդ նմին և զանպէտ գրիչս գՅովհաննէս Նախկուպոս Անոյ վիճակիս... [զսէր Մանուէլ] և մնաց աստուածաշունչս ծաղկելի, ի ձնոս անիր ընտրութեամբն աստուծոյ տէր Յովհաննէս, մանուկ գոյով հասասկաւ և լի ամենայն առաքինութեամբ իբրև ջահ անշիջանելի քայլել ի մէջ եկեղեցոյ: Սա բագում աշխատանքս և ընչիք սպասեսց զգիրքս ի ձնոսց անօրինաց և ետ ծաղկել զսա.³⁹³

მოიხსენეთ მომგებელი ამის წმინდა წერილისა ღმრთივკურთხეული მთავარეპისკოპოსი ბიზნისის დიდი ნაჰანგისა – უფალი მანუელი. მასთან [ერთად მოიხსენეთ] გლახაკი მწერალი, ანისის მხარის ეპისკოპოსი ჰოვანესი... [უფალმა მანუელმა] დატოვა ბიბლია შემკული, ხელი შეავლო ღვთისაგან გამორჩეულმა უფალმა ჰოვანესმა, ყრმა სახისა [და] ასაკისამ, სავსე ყოველი სათნოებით, როგორც ნათელი დაუშრეტელი მიმოდოდა ეკლესიაში. მან მრავალი შრომითა და საფასით გაათავისუფლა უცხოთა ხელთაგან და მისცა შესამკობად.³⁹⁴

თოვმა მეწოფევი, ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა

[1386 წ.]

ჩის ჭადათორნ ორგ წაყრას ანონ ჯაგელ ზრეჩ, ირე გერესან ჯათორს ჭადათორასგნ წაყრესიგ, ს ქერესა ჯაღა მნრ` ხ ონნ ლოსათრეჩნ ხ წრესათოს ხოსათასგნ ს ჭონესან რნე ხეჟსანს მნრ: ორ ჭადათორე ლენნ ჯნთ გნეჩნ არესკონესაგ ანთე ს ანსნასენ ჯათე: ორ ხ ნნეოქნენ თნორქნსაგ ქასქოცესაღ ხ თონს ორგ, ნენ იორსოეღ ორსართოქნსან ს ხოსათოღ ქაოქნეონქე.³⁹⁵

[იმ დროს იყო] ქართველთა მეფე, სახელად ბაგრატ, ებრაელთა [იმ] ტომიდან, რომელიც წარტყვევნეს ბაბელონელ ხელმწიფეთა დროს და ჩვენს ხალხთან მოიყვანეს, განმანათლებლის ხელით მიიღეს ქრისტეს რჯული, ჩვენს ხელისუფლებად შეირაცხნენ და არშაკუნიანთა შემდეგ ანისის და ყოველი სომხეთის მეფეები გახდნენ. ურჯულოთაგან შევიწროებულნი ისინი გაიქცნენ ქართველთა ქვეყანაში, დაჰგმეს [ჩვენი] ჭეშმარიტება და ქალკედონური ჭეშმარიტება მიიღეს.³⁹⁶

ვარდან არეველცი, მოსეს ხუთწიგნეულის კომენტარები (ერევანი, მატენადარანი, №1091), ანდერძინაწერი

[1398 წ.]

სრე, გრესა საე ხ ითან ს ხ ნეღ ქანანასქი, ქანგი რაგონ ხ ქლთი კა ნექირს საე ქასან ოქლასესაღ ს რაოქსაგესაღ მნეაგ მნეოგ, გორ ხრანან ათორესაღ ორსოთს ნქლ` აოქმი მნერს ათორელ ლ ქან გქსაგახანოთსენ. ზასან ამი რქონესენ გაყარონ ჯასქარა, ირ ლე კოქ ქანანასკაოთ აგეჩს ქრესთონქე, ათორელ ქან გნასქნქნ ხორ, გი რქონესენ გნა ს იქინ ხ რანეჩ ხ მნე ოქლო, ს გაორარე რაგონარე ნქინ ხ ორინ ჩქაგ, ს ათორ ხარქინ მინე ხ ოორსანქელ ს ხ წასათ, გონანგ გთონ ასქესენ, გონანგ გქსათასკ სქრან ს გაყახოთსან გასენ გთან, ს გასანთქს ამრეგ ანქინ ათინ, ს გაყენ ირ ქანასენ, ჯნთ ხარესაყახანჯოქნსანე არარქინ ხერ იქიგოყოთ. ორე კოქ ს საყასენნ ასათოთ ლ.³⁹⁷

დავწერე ეს მძიმე გაჭირვების ჟამს, რამეთუ ჩვენი ქვეყანა მწუხარებას მოეცვა ჩვენს ურიცხვ ცოდვათა გამო, რასაც ბრძანებს პავლე მოციქული, ამჟამად ჩვენი შეცოდებანი პირველის წერას აღემატება. ამ წელს მათ შეიპყრეს ბატონი ჰაიქარა, რომელიც ქრისტიანი ერების მიმართ უფრო მეტად მზრუნველი იყო, ვიდრე მისი წინაპრები. მათ შეიპყრეს იგი და ზღვაში დილეგში ჩასვეს. დიდძალი ჯარით მოვიდნენ დიზას ხეობაში და ქვეყანა ჯულამერკის გავარამდე იავარყვეს. მათ ზოგის საცხოვრებელი დაწვეს, სხვათა ნაშრომ-ნაჯაფი შეჭამეს და სხვათა მონაგები მოიპოვეს. მათ ანისის მიუდგომელი ციხე დაიკავეს, ის კი, რაც მათ დაინდეს, მოგვიანებით ბეგარით გაძარცვეს. ჩვენი ერთადერთი იმედი და სასოება ღმერთია.³⁹⁸

ფარსადან გორგიჯანისძე, საქართველოს ისტორია

[1400 წ.]

რა მისრეთის ლაშქრობისაგან თავრიზს მოვიდა, მოახსენეს – ათი წელიწადი არისო, რომ ლაშქარი ალინჯის ციხესზედან იბრძვისო და ვერ აუღიათო და ისრევე ქართველთ უჭირავსო. ეს ჯემწიფემ იწყინა და საქართველოსზედ გაილაშქრა. რა ჯემწიფის გამოლაშქრება ალონჯაში მყოფთ ქართველთ გაიგონეს, თავიანთ ნებით ციხე დაუცალეს და გელაქუნის ზღვის გარეშემო და ანისის ქალაქი და გარეშემო ციხეები დაუცალეს, აიყარნენ და საქართველოში წავიდნენ.³⁹⁹

ზაქარია ქანაქერცი, ქრონიკა

[VII-XIV სს.]

Թագաւորն Յունաց Մօրիկ Էր ազգաւ Հայ՝ յԱրարատ գաւառն՝ յՕշական գեղէ. և բարոյ-
պատահեալ թագաւորեաց ՚ի Կոստանդնուպօլիս ամս ԽԲ: Մա առաքեաց ՚ի հայրենի երկիրն
իւր ՚իՀայս՝ այր ուն Հայ ազգաւ՝ Մաղաս անուն՝ շինել քաղաք մի յաշխարհին Հայոց յանուն
իւր: Եւ նաներթեալ գտանէ տեղի մի ՚ի Շիրակ գաւառի՝ մերձ ՚ի յԱնի հարաւասկողմն՝ ՚ի վերայ
Ախուրեանգետոյ՝ ՚ի մէջ երկուց լեռանցն ՚ի տափարակ տեղի, որ Գ կողմն բարձր քարափք
էին. նշարեւմտեան կողմն փոքր ինչ դիր և սակաւ ինչ գառ ՚ի վայր. և հաւանեալ տեղոյն՝
պարսպեալգայն, և կախեալ դուռն՝ անուանեաց Մաղասաբերդ: Եւ մինչ գոյր իշխանութիւն
աշխարհիս ՚իձեռն քրիստոնէից, տիրեցին քրիստոնէայք Մաղաս բերդին: Եւ յորժամ անկաւ
երկիրս ՚ի ձեռն Պարսից, տիրեցին և Մաղասայ բերդին մինչև յաւուրս մեր.⁴⁰⁰

ბერძენთა მეფე მავრიკემ, რომელიც იყო ეროვნებით სომეხი, არარატის გავარიდან, სოფელ
ოშაკანიდან, ბედის წერის წყალობით კონსტანტინოპოლში ორმოცდაორი წელი იმეფა. მან
თავის სამშობლოში, სომხეთში გაგზავნა ვიღაც კაცი, ეროვნებით სომეხი, სახელად მაღასი,
სომხეთის მიწაზე მის სახელზე ქალაქი რომ აეშენებინა. იგი მოვიდა, იპოვა ერთი ადგილი ში-
რაკის გავარში, ქალაქ ანისის მახლობლად, მისგან სამხრეთით, მდინარე ახურიანზე, ორ მთას
შორის ვაკე ადგილი, რომელსაც სამი მხრიდან მაღალი ქარაფი [საზღვრავდა], დასავლე-
თი მხრიდან კი მცირე დაღმართი. მას მოეწონა ეს ადგილი, შემოავლო ზღუდე, კარი დაკიდა
და მაღასბერდი უწოდა. ვიდრე ქვეყნის ძალაუფლება ქრისტიანთა ხელში იყო, მაღასბერდს
ქრისტიანები ფლობდნენ. ხოლო როდესაც ქვეყანა სპარსელთა ხელში აღმოჩნდა, მაღას-
ბერდს ისინი დაეპატრონენ და დღემდე [ფლობენ].⁴⁰¹

იადგარი (იერუსალიმი, სომხური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, №1534), ანდერძმინაწერი

[1426 წ.]

Թվին ՊԶԵ (1426), ի Մալխասս և յանառիկ դղեսակս Թմուք, ընդ հովաննասս սուրբ Աստուածածնի,
ձեռամբ մեղապարտ գրչի Անոյ եպիսկոպոսին տէր Յովհաննիսի, ի խնդրոյ մաքրամիտ և
սրբասէր կրօնատրի...⁴⁰²

[დაიწერა] 875 (1426) წელს, მალხასსა და აულეებელ ციხე თმოქში, წმინდა ღმრთისმშობლის
მფარველობით, სასჯელის თანამდები მწერლის, ანისის ეპისკოპოსის უფალ ჰოვანისის მიერ,
წრფელი და უმწიკვლო მოწესის...⁴⁰³

სახარება (ერევანი, მატენადარანი, №6875), ანდერძმინაწერი

[1491 წ.]

Ի ցավայից և տրտմագգեաց ժամանակիս, որ եղև մահ և կորուստ Աղուբէկին՝ որոյ Հասան-
բէկին: Որ եղև յետոյ նորայ աղմուկ և խռովութիւն ի մէջ տաճկաց, նոքայ տկարացան և
անկան: Ազգս քրիստոնէից և թագաւորն Կոստանդինէն յարեան և ուղիղ եղան և գնացին
մինչև ի Գեղարքունի, մինչև Շիրակկան, թալանեցին և կողոպտեցին գրքիստոնայքն ըն[դ]
մահմեդայկանաց, և բերին մտուցին ի Վրացստուն, և Էառ գլստոյ բերթն թագաւորն, և ունի
իշխանութիւն ի վերայ երկրիս, և երկիրս ի յახէ անաւրիւնաց մտեալ կան ի բերթերն և ի ձորերն,
գի խիստ սասանեալ կան.⁴⁰⁴

როდესაც მოკვდა ჰასან ბეგის ძე იაცუბ ბეგი, ტაჭიკთა შორის შფოთი და არეულობა მოხდა,
ისინი დაუძღურდნენ და დაეცნენ. აღდგა ქრისტიანთა ნათესავი და მეფე კოსტანტინე,
გაუდგნენ გზას და მივიდნენ გელარქუნამდე და შირაკვანამდე; მაჰმადიანებთან ერთად

გადარცევს და გააჩანაგეს ქრისტიანებიც, [ნადავლი] წაიღეს საქართველოში, მეფემ აილო ლორეს ციხე და მბრძანებლობს ამ ქვეყანაზე, ხოლო ქვეყანამ ურჯულოთა შიშით მიაშურა ციხეებსა და ხევებს, რამეთუ მეტად შეშინებულნი არიან.⁴⁰⁵

ორადიციული კონცეფციები ახალ რეალობაში

ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი

[1640-1647 წწ.]

قلعه مغازبرد

خاك كورجستانه قارص ايالتی حکمنده قانون قديم اوزره ميرلوا مرکزی ايدي. نيجه كره عجملر استيلا ايديوب اولكه خراب اولمش. حالا قارص ناحيه لرننددر. قله سي ايران زمين شاهلرندن (مغاز خان) بناسيدر. صوكره آق قويونلي سلطانلرينه كچمش، اونلردن شاه اسماعيل استيلا ايتمشدر. صوكره لري سليمان خان فتح ايلمشدر. حاكمي قلعه دزداريدر. يوز اللي نفراتي وار. نيابتدر. قلعه سي حواله سز بر قيا اوزرنده مخمس ابشکل طاش بنا كوچك بر قله ر عنادر. آلتی يوز قدر باغ و باغچه سي خانه سي وار. جامعی، خانی، حمامی و اون عدد دكانی وار. قلعه دييندن (آرپه چایی) جريان ايدر. بو نهر كورجستان جانبلرندن كلوب بو محلدن عبور ايدر ك عرض نهرينه قريب بر محله (تكلتی) كندی ديينده عرضه دو كيلور. بو مغاز بر قلعه سي عجمك شوره كل نواحیسی قارص حکمنده قالمشدر. بو ايکیسی آراسنده کی آرپه چایی حدوددر. بونك قارشى شرق طرفی عجمدر. بری غرب طرفی قارص خاکنده در. بو قلعه نك كسه سنده بر منزل مسافه سنده (عن) قلعه سي واردر. قارص حکمنده بر پشته اوزدنده چار كوشه، خراب، كوچك بر قلعه در. نوشروان بناسيدر ديرلر. زيره قلعه ده بر معمور كندی وار، زیامتدر. رعایاسی ار مندر. بو عن قلعه سیله قارص آره سنده (ايکی نخی) طاغی واردر. قارص وراسنده اولوب آراسی بر قوناقدر.⁴⁰⁶

მაღაზბერდის ციხე

ძველი კანონის მიხედვით საქართველოს მიწაზე, ყარსის ვილაიეთის მბრძანებლობის ქვეშ მირ-ლივას სადგომი ადგილი იყო. რამდენჯერმე დაიპყრეს სპარსელებმა და მხარე გავერანდა. ახლა ყარსის ერთ-ერთი ნაჰიეა. მისი ციხე ირანის შაჰის – მაღაზხანის აშენებულია. შემდეგ აკყოფუნლუს სულთანთა ხელში გადავიდა; ამათ კი შაჰ-ისმაილმა წაართვა. შემდეგ ხანებში [სულთან] სულეიმანხანმა დაიპყრო. მისი მბრძანებელი ციხისთავია. ას ორმოცდაათი მეციხოვნე ჰყავს. სამოადგილეოა. მისი ციხე კლდეზეა ქვისაგან აშენებული და წინ სხვა რამ თავდასაცავი ნაგებობა არ აქვს. პატარა, ხუთკუთხა, კოხტა ციხეა. ექვსასამდე ბალ-ვენახი და სახლი აქვს. ჯამე, ფუნდუკი, აბანო და ათი დუქანი აქვს. ციხის ძირას არფა-ჩაი მიედინება. ეს მდინარე საქართველოს მხრიდან მოდის, ამ ადგილს გაივლის და მდინარე არემის ახლოს მდებარე ადგილას, სოფელ თექელთის ძირას, არემს ერთვის. ეს მაღაზბერდის ციხე სპარსელთა შურაგელის ციხის მიწაზეა, მაგრამ ციხე ირანის ხელშია დარჩენილი და მთელი შურაგელის ნაჰიე კი ყარსის მბრძანებლობაშია. ამ ორ [ციხეს] შორის საზღვარია მდინარე არფა-ჩაი, რომლის გაღმა, აღმოსავლეთ ნაპირზე ირანის სამფლობელოებია. აქეთა, დასავლეთი ნაპირი ყარსის მიწაზეა. ამ ციხის უკანა მხარეს ერთი დღის სავალზე ძვეს ანის ციხე. ყარსის საბრძანებელში, გორაკზე, პატარა, ოთხკუთხა, დანგრეული ციხეა. ამბობენ, ანუშირვანის აშენებულია. რადგანაც ციხეში ერთი კეთილნაშენი დასახლებაა, ზეამეთია. ქვეშევრდომები სომხებია. ამ ანისის ციხესა და ყარსს შორის ძვეს მთა – იქი ნახი. იგი ყარსის გადაღმა მდებარეობს და მათ შორის მანძილი ერთი დღის სავალია.⁴⁰⁷

ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი

[1640-1647 წწ.]

یدی یوز باش کاربان ایله رواندن چیقوب جانب غربه (۵) ساعت کیدرك (عبداللر) کندینه کلدك. یوز خانه لی، باغ و باغچه لی عجم کندی. حین فتحده قارص حدودی فرض اولنمشدر. اما شمدی عجمه تابعدر. بورادن ینه شیماله میلی (۴) ساعت کیدرك (عباران) کندینه وارق. بشیوز خانه لی کوک دولاق قومی کویدر. بورادن ینه جانب غربه کياه و نباتات ایچره کیدرك (شراب خانه) کندینه کلدك. بر پشته اوزرینه زیارتکاهلی، اوچیوز خانه لی معمور و آبادان، باغ، باغچه سی بی حساب کویدر. قارص حدودده ز عامتدر. آندن ینه غربه چمنزار دشتلردن، طاغ انکلرندن کیدرك (۴) ساعتده (بکم) کندینه کلدك. اسکیدن اوزون حسن شاهک دختر پا کیزه اخترینک کوپو اولدیغندن الی الآن (بکم) کندی دیرلر. چونکه عجملر شاه قزلرینه (بکم) تعبیر ایدرلر. بوراسی قارص حکمنده اوچیوز خانه لی کویدر. اهالیسی ارمنی و آزنووور کورجیسی در. اما اصل شهر عظیمنی تیمور بی نور خراب ایتمش. حالا آرپه چایی کنارنده آثار بناسی ظاهر و باهردر. او بنالر ایچره یدی عدد عالی کنبدلر واردر. ایچلرنده آق قیونلی شاهلرندن (مجندی خان، اوشار خان، اوتفه بای خان، کوندوز بای خان) آدلو شاهلر سر یرلری اوزره کیمی یاتار، کیمی اوتورر، کویاحیاتده درلر. هر شخصک. سنک مزارنده، عتبۀ علیاسنده اسم و رسمی، سبب موتی تاریخلیه تحریر اولنمشدر. بو خراب شهرک اوچ چور هسی بیوک یایلاقلردر. کیدرك (شوره کل) قلعه سنه کلدك.⁴⁰⁸

ერეგნიდან შვიდასიანი ქარავნით გამოვედით, დასავლეთისაკენ ხუთი საათი ვიარეთ და სოფელ აბდალლარში მოვედით. ასკომლიანი, ბალგენახიანი სპარსული სოფელია. დაპყრობის დროს ყარსის ფარგლებში შევიდა, მაგრამ ახლა ირანს ეკუთვნის. აქედან ისევ ჩრდილოეთისაკენ ოთხი საათი ვიარეთ და სოფელ იბარანს მივალწიეთ. ხუთასკომლიანი სოფელია. გოქდოლაკის ტომისაა. აქედან ისევ დასავლეთისაკენ ვიარეთ ბალახით და სხვა მცენარეულით დაფარულ [ადგილებში] და სოფელ შარაბხანეში მივედით. გორაკზე მდებარე, წმიდაადგილებიანი, სამასკომლიანი კეთილმოწყობილი და გაშენებული, ურიცხვ ბალგენახიანი სოფელია. იგი ზეამეთია ყარსის ფარგლებში. აქედან ისევ დასავლეთით ვიარეთ მდებარეობიან ველებსა და მთის დროს უზუნ ჰასან შაჰის ვარსკვლავით კდემამოსილი ქალიშვილის სოფელი იყო, დღესაც ბეგუმის სოფელს უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ სპარსელები შაჰის ქალიშვილებს „ბეგუმ“-ს უწოდებენ. იგი ყარსის საბრძანებელშია. სამასკომლიანი სოფელია. მისი მცხოვრებლები არიან სომხები და ქართველი აზნაურები. მაგრამ ეს ოდესღაც დიდი ქალაქი ძირითადად დასაბრძანებელმა თემურმა დაანგრია. ამჟამად არფა-ჩადს ნაპირზე წარსულის ძეგლების ნაგებობანი ჩანს. ამ შენობებს შორის შვიდი მაღალი გუმბათია. შიგ ტახტებზე მოუთავსებიათ ზოგი დაწოლილი, ზოგი დამჯდარი, თითქოს ცოცხლები არიანო, აკყოფუნლუს შაჰები: მეჯენდი-ხანი, ავშარ-ხანი, უთფაბად-ხანი, გუნდუბად-ხანი. ყოველი კაცის საფლავის ქვაზე, მაღალ აკლდამაზე აღნიშნულია სახელი და გამოსახულება, სიკვდილის მიზეზი და თარიღი. ამ დანგრეული ქალაქის გარშემო დიდი იალაღებია.⁴⁰⁹

ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი

[1640-1647 წწ.]

اوصاف قلعه قديم شوره كل

سلطان حسين بايقرا بو شهرک ديبندن جريان ايدن آرپه چاينک هواسندن حظ ايدوب بو قلعه يی (حکيم شوره کری) نك تعليميله انشا و اعمار ایتمشدر. صوکره قره يوسف تصرفنده ايکن تیمور خراب ایتمشدر. صوکره ینه معمور اولمشسه ده سليمان خان نخچوان فتحنه کیدركن طلیعه عسکری بو شهری خراب ایتمشدر. اما حالا آرپه چایی کنارنده تیمورک خراب ایتدیکی یرلرک آثاری باقی قالان طاق کسرالردن، عظیم قبه لردن بللدر. تحفه تاریخنک تحریری اوزره علم موسیقیده کی قرق سکز

تركييدن (شوره كر) تركيبي بو حكيم شهر معمور اولوركن ايجاد ايتمش واسمنه (شوره كر) ديمشدر. حتى بو شهرک بيوك، كوچك چمله اهاليسی اهل ذوق و صفا اولوب طرز عجمانه ده شوره كر و عرض بار آغازه لريله معنيلر اوقورلر. شهر اوقدر معمور دكلدر. قلعه سی خرابدر. اوچيوز خانه سی واردر. ناحیه لرینك چوغی آرپه چایی قارشوسنده اولدیغندن روان حکمنده در. بری طرفی جمله قارص حکمنده در. بوراسی ده کورجستاندر. چونکه عرض و زنگی نهرلرینك شمالندن قرق قوناق کوه البرزی آشوب بحر خزره وارانجه یه قدر طاغستان و کورجستان عدا و لنور. غرب طرفی ارضرومه اولاشیر. بورادن جانب غربه کیدرک بش ساعته آلتی چای کچدک. جمله سی کوچک صولدر. بعضیسی کورجستاندن، بعضیسی آزغور طاغلرندن کلوب بو قریه لردن عبور ایدرک عرض نهرینه ریزان اولور. بعض بوللری باتاقلق و چمنزارلقدر. (کچدی) ناحیه سنه کلدک. بر نهری وار، اسمی معلوم دکل. سلطان مراد خان روانه کیدرکن بو چایدن کچوب سرا پرده سی زمینده بر ضفه بنا اولنمش. حالا آثاری ظاهردر. قارص اعیانی درت چوره سنه بعض منتها شجرلر دیکوب نمازگاه ایدنکشلر. آینه و رونده یه مهمان اوله جق بر چراکاهدر. ینه غربه بر هامون محصولدار ایچره کیدرک (بولانق) قریه سنه کلدک.⁴¹⁰

შურაგელის ძველი ციხის აღწერა

სულთანის ჰუსეინ ბაიკარა დატკბა ჰაერით, რომელიც ამ ქალაქის ძირას გამავალ მდინარე არფაჩის [ნაპირებზეა], ეს ციხე ააგო და გააშენა ექიმ შურაგერის მითითებით. შემდეგ, როდესაც ყარა-უსუფის მფლობელობაში იყო, თემურმა დაანგრია. თუმცა შემდეგ ისევ გაშენდა, მაგრამ ქალაქი მაშინ დაანგრია [სულთან] სულეიმან-ხანის მეწინავე ლაშქარმა, როდესაც ნახტევანის დასაპყრობად მიდიოდა. მაგრამ მდინარე არფა-ჩაღს ნაპირებზე ახლაც შეიმჩნევა სასახლეები და დიდი გუმბათები, რომლებიც თემურის მიერ დანგრეულ ადგილებზე დარჩნენ. „თუჰედ“ წოდებულ ისტორიის აღწერის მიხედვით მუსიკის მეცნიერებაში რომ ორმოცდარვა შემადგენელი ნაწილია, ერთი შურაგელისაა. ქალაქი რომ შენდებოდა, ამ ექიმმა გამოიგონა იგი და რომ აშენდა, ქალაქს სახელად შურაგელი ეწოდა. ამ ქალაქის მცხოვრებლები, დიდი და პატარა, სიამტკბილობისა და მოლხენის მოყვარულია და სპარსულ ყაიდაზე შურაგელის ხმაზე ბაიათებს მღერიან. ქალაქი მაინცდამაინც კეთილნაშენი არ არის; ციხე დანგრეულია. სამასი სახლი აქვს. რადგანაც მისი ნაპირების უმრავლესობა არფა-ჩაღს გაღმა მდებარეობს, ერევანის მფლობელობაშია. აქეთა ნაპირი მთლიანად ყარსის საბრძანებელშია. ესეც საქართველოდანაა. იმიტომ, რომ მდინარე არფისა და ზანგის ჩრდილოეთით ორმოცი დღის სავალი, კავკასიონის მთების ჩათვლით, ხაზართა ზღვამდე დაღისტნად და საქართველოდ ითვლება. მისი დასავლეთი მხარე არზრუმს აღწევს.⁴¹¹

შორაგელი ქართლ-კახეთის სამეფოს შემადგენლობაში

XVIII საუკუნის მეორე ნახევარი

ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა

[1780 წ.]

ხოლო წელსა 1780-სა... ერევანის ხანი უსეინ-ალი ხან უკუდგა და არღარა მისცა ხარკი... და ბრძანა მყისვე მეფემან ირაკლი მოწვევად ლაშქრისა ქართლ-კახეთისა და ლეკნიცა მოიწვია ჯარად რაოდენიმე ათასი და წარვიდა. ამასვე წელსა აგვისტოს მოვიდა და დასდგა შირაბათის სოფელში, რომელი შორავს ერევანს ვიდრე ორს ალაჯადმდე. და იწყო ჯარმან რბევად ერევანისა და აღარსად დარჩა შენობა თვინიერ ერევანისა და ეჩმიაწინისა. ამასვე დროსა დამორჩილებულ იყვნენ ირაკლისადმი განჯა, ყარაბაღი და მოერთვნენ მუნით ჯარნიცა რაოდენიმე ათასნი... და ეგრეთვე მოერთვა ერევანის მამულში მდგომი შამდინალა ქურთი,

ძლიერი კაცი და მრავალთა ქურთთა მეპატრონე და მოსცა თავი თვისი ყმად. გარდა ამისა შორაგლის სულტანი ყარამან მოვიდა და მოერთვა ყმად ყოვლითა შორაგლის ხალხითა და მამულითა. და ესეოდენ განძლიერდა ერევანს ყოფისა ჟამსა მეფე ირაკლი, რომელ ელოდნენ ერანელნი უთუოდ გახელმწიფდება და ერანის ნაწილებსაც დაიჭერსო.⁴¹²

ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა

[1780 წ.]

შორაგლისა ყარამან სულთანი, სთხოვა მეფესა ერეკლეს შეცოდებისა მიტევება და აღუთქვა ფიცით და თავსმდებებით, რათა საუკუნოდ არღარა იკადნიეროს ერევნის ხანისა მორჩილება, გინა ბრძანებისა მისისა გაგონება, არამედ როგორათაც შორაგალი მარადის საქართველოს მეფეთ ყმანი ყოფილან, ეგრეთ ემორჩილებოდეს მეფესა ერეკლეს. და თუ მუხანათობა ან სიმტყუნე რამ შეაჩნდეს, გარდახდეს და დაისაჯოს როგორათაც მეფეს ნებავს, რადგანაც შორაგალი საქართველოს მამულია, დაიმკვიდრა მეფემან საუკუნოდ.⁴¹³

გასაყიდი სურსათ-სანოვანის რესურსები

[1783 წ.]

ჩვენს ქვეყანაში სად რაოდენი პრავიანტი, თივა და ბზე შეიძლება, ამას ქვევით თვითეულად დაიწერება. ქართლში შეიძლება პრავიანტი ექვსი ათას სამას სამოცი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ექვსი ათას სამას სამოცი ურემი. კახეთში შეიძლება პრავიანტი ექვსი ათას სამოცი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ექვსი ათას სამოცი ურემი. სომხით-საბარათაშვილოში შეიძლება პრავიანტი ორი ათას ათი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ორი ათას ათი ურემი. ფაშაკსა და ბორჩალუში შეიძლება პრავიანტი ათას სამას თოთხმეტი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ათას სამას თოთხმეტი ურემი. ყაზახში შეიძლება პრავიანტი სამი ათას ოცდაათი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება სამი ათას ოცდაათი ურემი. შამშადილსა და შამქორში შეიძლება პრავიანტი ორი ათას ოცი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ორი ათას ოცი ურემი. განჯაში შეიძლება პრავიანტი ექვსას ექვსი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ექვსას ექვსი ურემი. ერევანს შეიძლება პრავიანტი სამი ათას ოთხასი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება სამი ათას ოთხასი ურემი. შორაგალს შეიძლება პრავიანტი ორასი ხარვარი. თივა და ბზე შეიძლება ორასი ურემი. ზემოწერილის პრავიანტისა, თივისა და ბზის შოვნა ქრისტიშობის ათამდის შეიძლება...⁴¹⁴

შორაქალის უფროსის ყარიმა უზბაშის მიწერილობა ერეკლე II-ს

[1784 წ. 7 მარტი]

ქ. თქვენს სიმაღლესთან განცხადებულია: მე თქვენის კარისა ერთი ფარეში მონა ვარ, თქვენს გარდა ჩემი მისამართი არსად არის. ზეით ღმერთია ჩემი პატრონი და ქვეით თქვენ ხართ. ამის გამო დამჭირდა, რომ რაც ამბავი შევიტყო, თქვენ მოგახსენო. ამბავი ასეა: რუსეთიდან ერთი წიგნი მოსულა ოსმალთ ჯელმწიფის კარზე, ხონთქარს იმ წიგნის პირი და თითონც წიგნი მოუწერია ადრიბეჟანის ხანებთან და ფათალი-ხანთან და დალისტნის უფროსებთან...⁴¹⁵

ყარსის ქვეყნის ალაზის ციხის უფროსის წიგნის პირი შორაგალის უფროსს ყარამანთან

[1784 წ. 3 ივნისი]

ჩემო ძმაო, ოსმალთ მხრის ამბის შეტყობინება გებძანათ. ახლა ხონთქრის კარიდამ ერთი სალახორი წამოსულა, იმას ბძანება აქვს, რომ დიარბეჟირისა და მარეშის ქვეყნის ჯარები

შემოიყაროს და ყარსის ფაშასთან მოვიდეს... აქეთ ყარსის მხარეს დიდის სურსათის თაღარიკის ბძანება მოვიდა და ამზადებენ... ამას წინათ ხალილ-აფენდი დალისტნის უფროსებთან რომ იყო, თუ იმის ამბავს იკითხავ, სულ დალისტნის უფროსების სიტყვა და მიწერილი ეს არის: რუსებთან და საქართველოს მეფესთან არას გზით ჩვენი შერიგება არ არის. ჩვენის რჯულის ველმწიფის ერთგულნი და მოსამსახურენი ვართ. თუ ველმწიფისაგან შეწავნა დაგვეხმარება და ბძანება მოგვივა, ჩვენ სულ შევიყრებით და საქართველოზედ მივალთო.⁴¹⁶

მეფე ერეკლე II-ის წერილი პოლკოვნიკ ბურნაშევისადმი

[1784 წ. 6 ივლისი]

...ამას წინათ ერევნის ხანი ყულამ-ალი-ხან და იმის ძმა თავის უჭკუობით და ავის ყოფაქცევის მიზეზით ბუნიათ-ალი-სულთანმა და იმის ბიძაშვილმა ყალანდარ-ბეგმა რომ დახოცეს, და ერევნელების მუჯალამა რომ მოგვივიდა მაჰმად-ხანის ხანად დასმისა – ამ საქმემ როგორც გაიარა ეს თქვენს მაღალშობილებას ამას უწინ ვაუწყებ. ჩვენ ჩვენი სარწმუნო კაცი მირზა გურგინა გავგზავნეთ, მაჰმად ხანსაც ხალათი გაუგზავნეთ და წიგნი მივსწერეთ. აქედამ მირზა გურგინა რომ მისულიყო თვითონ მაჰმად-ხანსაც და ერევნის უფროსებსაც ჩვენს ერთგულობაზე დაეფიცათ. ყულამ-ალი-ხან და იმის ძმა რომ მოეკლათ, იმ ხანში ერევნის ალაგებში არეულობა შექმნილიყო და ერთი იქაური ელი აირუმლუ აყრილიყო და შორაგალს, ჩვენი ერთგულნი კაცნი დგანან, რომლისაც უფროსს ყარამან ჰქვიან, იმასთან მოსულიყვნენ. ახლა იმ აირუმლუს უფროსებს ყარამანისათვის ეს სიტყვა ეთქვათ და ჩვენთან ამაზე საიდუმლოთ კაცი გამოეგზავნათ და ასე შემოეთვალათ: „თუ შენ გვიბძანებო ერევნის ციხეს დავიჭერთო და როცა გვიბოძებ შენს კაცებს იმათ მივაბარებო. ამ გზით შეგვიძლია: ბუნიათ-ალი-სულთანს და იმის ბიძაშვილს ყალანდარ-ბეგს და სხვათაც, ზოგიერთს ციხეში მყოფი, პირობა ჩვენთანა აქვსო და ვისაც ერევნის ციხის კარი აბარია და კლიტე აქვს ის ჩვენი მოყვარე არისო. ის გვეუბნება თუ თქვენ ჯარით მოხვალთ, ერთს ღამეს კარს გავაღებთ და შემოვიშვებთო“. ჩვენ ამათ სიტყვას ჯერ სწორეთ ვერ ვერწმუნებით და ჯერ ეს საქმე ამათგან დავაყენეთ, რომელიც ჩვენი გავგზავნილი კაცი, მირზა გურგინა იქ არის, ჩვენ ეს საქმე იმას მივანდევით. ამ საქმეს ის ურიგოთ არ დაიჭერს, თუ იმათს პირს სწორეთ დაინახავს და გულს დააჯერებს ამ საქმეს შეუდგება და თუ არ ამჯობინებს საქმეს არ წაახდენს. და ახლა იმის ამბის მაცურებელნი ვართ, ვნახოთ იქაური საქმე რას მდგომარეობაში შევა.⁴¹⁷

ბრძანება მეფე ერეკლე II-ისა მოქარავნებისადმი

[1788 წ. 18 აპრილი]

ქ. ჩვენი ბძანება არის, ვინცა-ვინ ერევანში ჩვენი მოქალაქენი ქარავნის კაცნი იმყოფებით. მერე ჩვენი ნასახიბაშის ნაიბი გოგია გამოგვიგზავნია და [შორაგელის განმგებელი] ყაჰრამან-სულთნისათვისაც მოგვიწერია, რომ თავისის ჯარით გამოგიძღვესთ და ლორემდისინ მშვიდობით მოგიყვანოსთ. და იმის მისაცემად გვიბძანებია, რომ საპალნებზედ ხუთი აბაზი უნდა მისცეთ სულთანსა და იმის კაცთა. და ლორეს აქეთ ლორელებისათვის გვიბძანებია, რომ წამოგიყვანონ. და ამ ხუთს აბაზს გარდა ათ-ათი შაური საპალნებზედამ ჩვენს ნასახიბაშის ნაიბს გოგიასაც უნდა მისცეთ თავის გასამრჯელოთ.⁴¹⁸

წერილი მეფე ერეკლე II-ისა იოსებ ბებუთაშვილისადმი

[1792 წ. 14 მარტი]

ქ. ჩვენ მაგიერ ჩვენგან პატივცემით სახსოვარს მისკარბაშს იოსებს მოკითხვა ეუწყოს. მერე შენი წიგნი მოგვივიდა და რაც მოგეწერათ, ყველა შევიტყვევით... მდივან აფენდის რომ ვარიანელი

ტყვე ჰყავს, იმის ბარობაზე რაც ლაპარაკი და დავა გარდაგბდომოდა, ესეები ყველა წვრილად ვიუწყეთ... ჩვენს ძმას ისაყ-ფაშასაც მოახსენე ჩვენ მაგიერად, რომ თუ მაგ ტყვეს ეშველა რამე, მაგისი სადღეგრძელო იქნება. ლეკებიც რომ მოგეწერა, თორმეტი ლეკი არისო, როცა წამოვალ, თან წამოვიყვანო, დიად კარგი იქნება, ხათრიჯამი გახადე და წამოვიყვანე. აქაური ჯარის ამბავს იკითხავ, თათარი და ლეკი ათასამდინ კაცი წამოვიდა შორაგალს და ფამბაკს გარდა, და ისინიც წამოვლენ. თქვენი და მანდაური ამბავი საჩქაროდ გვაცოდინე...⁴¹⁹

არმა ზაქარია ბებურიშვილისა, მეფე გიორგი XII-ის ოქმით

[1798 წ. 9 თებერვალი]

ჩემო ხელმწიფევე, ერთობაში დედაჩემი თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა და ბიძაჩემს ორი ფულისა არა დაუხარჯავს რა, ისევე დაუმარხავი გახლავსთ. მეორე ეს, ჩემო ხელმწიფევე, რომ: მოგესხენებათ, შორაგლის მოურაობა საერთოთ წყალობით გვჭირდა და რაც შემოსავალი გვქონდა, ისიც საერთო იყო. ამ ბაფხულს რომ შორაგალს გახლდათ, ისევე გაუყრელნი გახლდით და რაც მოიტანა, არასფერში წილი არაში დამიდო. წყალობას ვითხოვ, რადგან ჩვენი საქმე მოსამართლეებმა უნდა გაარიგონ, ერთი ოქმი გვებოძოს, რომ ამ საქმეზე იმათ მოგვარიგონ. [ოქმი] ქ. ბატონო მდივანბეგებო! ბებურიშვილს ზაქარიას ამ არზით ასე რომ მოუხსენებია, ამ საქმეზედაც ესე და ემიკალასბაში აიდემურ თქვენ უნდა მოარიგოთ და გარდაუწყვიტოთ, რომ სადაღო აღარა ჰქონდესთ რა.⁴²⁰

უფლისწულ დავითის წერილი თავად გარსევან ჭავჭავაძეს

[1799 წ. 26 აპრილი]

ამათმა სიმაღლემ მიბრძანა თქვენთან გამოცხადებად ყარსისა და ჩვენის სამდურავისა – მიზეზი და ვითარება როდესაც სცნა ოსმალთაგან საჩივარი: თუმცაღა თქვენ ეს საქმე განყოფითად იცით, რომ აღამამადხანს უწინაც ნიადაგ [ოთომანის] კარისა და [ახალციხის] ფაშის შეუკითხავად ალიბეგ ჩვენს ელებს გვიბირევედა და მიჰყავდა თავისთან, და იქიდან აქურდებდა და აავკაცებდა, და უმეტეს მაშინ დაამტკიცა, როდესაც აღამამადხანისაგან ნახა ეს ქვეყანა დასუსტებული, რომელმაც არა თუ მხოლოდ ჩვენნი ელნი გარდაგვიბირნა, შეხიზნულთაცა არღარ მისცა ნება წამოსვლად თავის მშობელს ქვეყანაში და მუნით ათარეშებს და სამდურავს უგდებს ჩვენთ ყმათ ჩვენში. ეს საქმე უსუფ ფაშასაც მისწერა ამათმა სიმაღლემ, რომელიც ახლა ვებირად წაიყვანეს აზრუმიდამ, მაგრამ არც იმის ბრძანება შეიწყნარეს და არც ჩვენი ყმა დაგვანებეს, და არც ავამაკობისაგან დასცხრენ. ოდეს ჯაფარყულიხან თავის ძმას მოადგა ხოის, მაშინ ერევნის წახდენაცა სწადდა, და მამადხანს რადგან ჯარი ეთხოვნა, და შესაწვეწველად ერევნისათვის და დასაცველად სარდალი და მოურავი ციციშვილი გიორგი რომ მიაშველა ჯარით, რომელსაც დრო ითხოვდა ამა პოლიტიკისა, ეს ჯარიც დასაცველად იმ ჯარისა წააყენა შორაგლისაკენ ამათმა სიმაღლემ. თუმცაღა სახე ესე აქვდა ამას ალიბეგისად ელებისა თხოვნისა, მაგრამ აზრი ზემოხსენებული იყო, მაგრამ ოსმალთ თავის განუნახველობით ველარ გასინჯეს საქმე, მოვიდნენ და შემოგვებნენ, და მაშინ დამარცხება ჩვენის ჯარისა პოლიტიკისაგან უცხო იქნებოდა, და თუ სამტეროთ ამათის სიმაღლისაგან წარგზავნილ ვყოფილ-ვიყავით, მაშინ ზიანი რამე ეცემოდათ მათ, და არათუ მხოლოდ ზიანი, ციხეებიც აიღებოდა ბაშორაგლისა, უზუნქილისისა და ყიზილჩახჩახისა, და უმეტეს მაშინ არ შეიძლებოდა ამათის სიმაღლისაგან ოსმალთ წყენა, როდესაც კოსტანტინეპოლეს უძლეველი მხედრობა რუსეთის იმპერიისა მიმშველებლად არის, ვინადგან საქართველოც რუსეთივედ არის მოკიდებული. ამათ სიმაღლემ მომცა მე ბრძანება, რომ გამოაცხადოთ თქვენცა შესაბამისად ადგილსა დაუნაშავებლობაი ჩვენი და ესრეთ მართლად აღმოაჩინოთ უბრალოება ჩვენი ამით. დღესაც ხვანთქრის ფარვანები შინ უწყვიათ, რომელიც ამ ახლოს

ხანში მოუვიდათ ყარსის ფაშას და ალიბეგს, მაგრამ ჩვენს ელებს კიდევ მაინც არ გვაძლევენ, და თუ კი მაგათთან ოსმალნი შერიგებულნი არიან, ამას რატომ ასე შვრებიან? ხელმწიფემ ერთი აფიცარი გამოგზავნოს, რომ ჩვენი ელი მოგვცენ.⁴²¹

იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა

[1794-1799 წწ.]

შორაგალი, რომელიც არფაჩაის ხეობაზედ დგას. ყარსის შემოქმედს სამეფო: სოფელი ანუ ობა 7, გუმრი, ყარაქილისია, არტიგი, ყიფჩალი, სონავერდი, გორუმი, ბაშქანთი, ლორქეჩანი, ჯილოვხანი, ყაფლი, ანისი ძველად დიდი ქალაქი. ესენი ჩვენ დროს შენად იყო.⁴²²

იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა

[1794-1799 წწ.]

საძოვარნი ადგილნი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირონი ადგილნი სამეფო... სომხითისა: შორაგლის მთა, შამშადილის მთა, ყაზახის მთა გოგჩით... ფამბაკის მთა, შორაგლის მინდორი, შორაგლის მთა, პირაქეთ ალაგები.⁴²³

თავად ციციშვილის მიწერილობა გენერალ-მაიორ ნესვეტაევისადმი

[1805 წ. 17 სექტემბერი]

...Когда Шурагельская степь была под Грузинскими царями, то за выгонъ на оную изъ Турецкой границы скота для пастбы всегда взимаемо было изъ ста по одному, такъ точно какъ и Эриванскій Мамед-ханъ дѣлалъ, когда она подъ нимъ состояла.⁴²⁴

...როდესაც შორაგელის ველი ქართველ მეფეებს ეკუთვნოდა, თურქეთის საზღვრებიდან იქ საბალახედ საქონელს მოერეკებოდნენ და (საძოვრის სარგებლობისთვის) ასი პირუტყვიდან ერთი აიღებოდა. ასევე იქცეოდა ერევნელი მოჰამედ-ხანი, როდესაც (შორაგლის ველს) ფლობდა.⁴²⁵

სახელმწიფო მრჩევლის კოვალენსკის ჩანაწერები საქართველოზე

[1800 წ.]

...Онъ [Мегмед-ханъ] преисполненъ желанія быть подъ Высочайшимъ покровительствомъ и верховною властію Всероссийской Имперіи, но безъ посредства правительстве Грузинскаго. Отсюда и недоразумѣніе, по отшествіи уже Персидскихъ войсковъ, между имъ и здѣшнимъ правленіемъ обнаружившіяся, имѣють начало свое въ завладѣніи Грузією Шурагеломъ, – округою пограничною, которая издревле принадлежала къ Эривану, а потомъ по временамъ переходила изъ рукъ въ руки при случаяхъ несогласій между сими сосѣдями. Для положенія опредѣлительнаго соглашенія о владѣніи сею округою, относился Мегмед-ханъ къ его высочеству царю своимъ письмомъ, вмѣстѣ съ другими жалобами на пограничныхъ начальниковъ здѣшнихъ, прося также и меня въ томъ посредствовать; Но внушенія мои о дѣлѣ семъ не имѣли успѣха до времени послѣдовавшаго мнѣ отсель отзыва. При Мегмедъ-Ханѣ Эриванскомъ находится нѣкто Келбеты-ханъ, бывший Нахичеванскій владѣлецъ и лишенный мѣста своего вмѣстѣ съ зрѣніемъ отъ Ага-Магомедъ-хана, во время похода его на Грузію. Сей ханъ славится своею предприимчивостію, храбростію и велерѣчіемъ, человекъ дерзкій, злой и коварный. Онъ, найдя пристанище себѣ изъ одного человеклюбія у Мегмедъ-хана, – родни его, вмѣшивается во многія дѣла и совѣтами своими надъ добродушіемъ

сего послѣдняго много дѣйствуетъ. Сейто слѣпецъ предводительствовалъ войсками Эриванскими въ бывшую ихъ съ здѣшними въ прошедшемъ мѣсяцѣ сшибку и весьма вѣроятно, что на крайность рѣшился онъ безъ позволенія Мегмедъ-хана.⁴²⁶

მისი [მოჰამედ-ხანის] დიდი სურვილია, ხელმწიფის მფარველობისა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ძალაუფლების ქვეშე შემოვიდეს, მაგრამ საქართველოს ხელისუფალთა შუამავლობის გარეშე. მასსა და აქაურ [ქართლ-კახეთის სამეფოს] ხელისუფალთ შორის არსებული ყველა უთანხმოება, რომელმაც თავი ირანელთა ჯარის გასვლისთანავე იჩინა, სათავეს ქართველთა მიერ შურაგელის დაპყრობიდან იღებს. ეს სასაზღვრო მხარე ძველთაგანვე ერევანს ეკუთვნოდა; მაგრამ დროდადრო, როგორც კი ამ ორ მეზობელს შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა, ხელიდან ხელში გადადიოდა. მოჰამედ ხანმა წერილი გაუგზავნა მის უმაღლესობას მეფეს [გიორგი XII-ს] და ამ ოლქის კუთვნილებაზე შეთანხმება სთხოვა; იმავდროულად, აქაურ საზღვრის მოხელეებსაც უჩიოდა. მან მეც მომმართა თხოვნით, მეშუამდგომლა ამ საკითხზე; მაგრამ ჩემ შეგონებებს დღემდე შედეგი არ მოჰყოლია. მოჰამედ-ხან ერევნელთან იმყოფება ვინმე ქელბეთი-ხანი, ნახჭევნის ყოფილი მბრძანებელი; საქართველოზე ლაშქრობისას ალა-მაჰმად-ხანმა მას სამფლობელოც და თვალის ჩინიც წაართვა. ამ ხანს აზრიანი, მამაცი და ენაწყლიანი კაცის სახელი აქვს მოხვეჭილი, არის მოურიდებელი, ბოროტი და ცბიერი. თავისი ნათესავის, მოჰამედ-ხანის კაცთმოყვარეობის წყალობით თავშესაფარი მასთან ჰპოვა, მრავალ საქმეში ერევა და თავისი რჩევებით ამ უკანასკნელის კეთილბუნებობებაზე დიდ გავლენას ახდენს. ეს უსინათლო სარდლობდა ერევნის ჯარებს, როდესაც აქაურებს შეეჯახნენ გასულ თვეში. სავარაუდოდ, ეს უკიდურესი ნაბიჯი მოჰამედ-ხანის ნებართვის გარეშე გადადგა.⁴²⁷

გენერალ-მაიორ ლაზარევის პატაკი გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს

[1800 წ. 24 სექტემბერი]

Увѣдомясь объ отправленіи сердаря кн. Георгія Циціанова, 22-го сего сентября, съ Лезгинами въ числѣ 400 человекъ, на жаловань е. в. царя здѣшняго состоящихъ, въ провинцію Памбакъ, нужнымъ почель освѣдомиться отъ е. в., куда предпріянуть подвигъ сей, на что онъ изволилъ отвѣтствовать, что Эриванскій Мегмедъ-ханъ, издавна порываясь возвратить въ свое владѣніе провинцію Шорокгали, въ подданствѣ его находящуюся, нынѣ на оную угрожаетъ нападеніемъ, въ отвращеніе чего и назначена помянутая часть войска Лезгинскаго, подъ командою онаго князя Циціанова туда отправленна.⁴²⁸

როდესაც შევიტყვე, რომ 22 სექტემბერს სარდალი გიორგი ციციშვილი მ. უ. მეფის მიერ დაქირავებულ ლეკთა 400 კაციანი რაზმით ბამბაკის პროვინციაში გაემართა, საჭიროდ ჩავთვალე მეკითხა მ. უ., სად მოეწყო ლაშქრობა. პასუხად მან მომიგო, რომ ერევნის მოჰამედ-ხანი იმუქრება, თავს დაესხას მის ქვეშევრდომობაში მყოფ შორაგლის პროვინციას, რომლის დაბრუნებას [ხანი] დიდი ხანია ცდილობს; ამის თავიდან ასაცილებლად იქ გაიგზავნა ლეკთა ზემოხსენებული რაზმი თავად ციციშვილის სარდლობით.⁴²⁹

გენერალ-მაიორ ლაზარევის პატაკი გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს

[1800 წ. 6 ოქტომბერი]

Эриванскій Магомедъ-хан для отторженія отъ власти царя здѣшняго провинцію Шурагели отрядилъ съ нѣсколькимъ числомъ Эриванцевъ находившагося при себѣ Калѣб-Али-хана, который еще отъ Ага-Магомедъ-хана лишень зрѣнія. Сей Келб-Али-ханъ, на сихъ дняхъ, по прибытіи на помощь къ рѣченной провинціи сердаря князя Циціанова съ частью Грузинскихъ войскъ въ 400 человекъ и людей

мелика Абова состоящихъ, напаль тотчасъ на сихъ послѣднихъ нечаянно и причиняя въ нихъ уронъ немалый въ убитыхъ и раненыхъ, одержать успѣлъ надъ ними верхъ примѣтный; а наконецъ, якобы пошелъ на самую крѣпость Шурагельскую и причинилъ оной крайнее раззореніе, потомъ ретировался во своясы. Шурагель – провинція, такъ какъ я въ изустномъ съ е. в. царемъ объясненіи слышалъ, – въ самомъ началѣ принадлежала великой Арменіи, отъ коей перешла во владѣніе Грузинское, гдѣ и состояла по техъ поръ, пока покоинный царь Ираклій не подарилъ ее во время власти своей надъ Эриваномъ хану Эриванскому. Мало по семь спустя, царь Ираклій былъ онымъ ханомъ прогнѣванъ и тогда же велѣлъ провинцію сію взять у него обратно и съ того времени она понынѣ пребывала въ Грузинскомъ владѣніи спокойно. Я догадываюсь, не есть-ли сіе Эриванскаго хана покушеніе слѣдствіемъ того, что еще въ началѣ прошлаго августа, какъ я посторонне извѣстился, писалъ онъ къ е. в. царю и къ министру бывшему Коваленскому по поводу возвращенія ему вышедшихъ изъ владѣній его Армянъ и магометанъ, въ числѣ трехсотъ семействъ, кои предварительно предназначаемы были мелику Абову, а нынѣ и дѣйствительно въ Грузіи поселяются, и просилъ удовлетворенія, угрожая въ противномъ случаѣ принятіемъ мѣръ мщенія, каковыя письма и нынѣ существуютъ.⁴³⁰

ერევენელმა მოჰამედ-ხანმა მასთან მყოფი ქალებ-ალი-ხანი, ალა-მაჰმად-ხანისგან დაბრმავებული, ერევენელთა რაზმთან ერთად გამოგზავნა [ქართლ-კახეთში], რათა შურაგელის პროვინცია აქაური მეფის სამფლობელოებიდან მოგლიჯოს. რამდენიმე დღის წინ ქელებ-ალი-ხანი მოულოდნელად თავს დაესხა აღნიშნული პროვინციის დასახმარებლად მოსულ ქართულ ლაშქარს – 400 კაცისგან და მედიქ აბოვის რაზმისგან შემდგარს – თავად ციცივილის სარდლობით, დიდი ზიანი მიაცენა მოკლულთა და დაჭრილთა სახით და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ამის შემდეგ შურაგელის ციხის წინააღმდეგ დაიძრა, სასტიკად მოაოხრა და უკან გაბრუნდა. შურაგელის პროვინცია, როგორც მ. უ. მეფის საუბრებიდან შემიტყვია, თავდაპირველად დიდ სომხეთს ეკუთვნოდა, იქიდან საქართველოს საზღვრებში გადასულა და რჩებოდა მანამდე, სანამ [აწ] გარდაცვლილ მეფე ერეკლეს, ერევანზე მბრძანებლობისას, ერევნის ხანისთვის არ უჩუქებია. ცოტა ხნის შემდეგ მეფე ერეკლე ხანზე განრისხდა და მაშინვე ბრძანა, აღნიშნული პროვინცია მისგან წაეღოთ. იმ დღიდან ეს მხარე უშფოთველად იმყოფება საქართველოს საზღვრებში. ჩემი აზრით, ერევნის ხანის თავდასხმა გამოწვეულია შემდეგით: ჯერ კიდევ გასული აგვისტოს დასაწყისში, როგორც სხვათაგან მსმენია, ის წერილებს უგზავნიდა მ. უ. მეფეს და ყოფილ მინისტრს კოვალენსკის და ითხოვდა მისი საბრძანებლიდან წასული სომხებისა და მაჰმადიანების სამასი კომლის, – რომლებიც წინდაწინ მედიქ აბოვისთვის იყვნენ შეპირებულნი და ახლა მართლაც საქართველოში ესახლებიან – უკან დაბრუნებას; [მოთხოვნის] დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საპასუხო ზომების მიღებით იმუქრება. ეს წერილები ისევ არსებობს.⁴³¹

აიდემურ ვაჩნაძის მოხსენება იმპერატორ ალექსანდრე I-სადმი
[1801 წ. 9 ივნისი]

ყოვლად უგანათლებულესო დიდო ჯელმწიფევ, იმპერატორო ალექსანდრე პავლეს ძევ, თვითმპყრობელო სრულიად რუსეთისაო, ყოვლად მოწყალე ჯელმწიფევ! მოხსენება აიდემურის კნიაზ ვაჩნაძისაგან. სანატრელის მეფის ირაკლისაგან და სანატრელის მეფის გიორგისგან შორაგლის მოურაობა მქონდა სიგლით ბოძებული და ოცი თუმანი ჯამაგირი მუდამ წელს მებოძებოდა ამ სანატრელთ მეფეთაგან. თუმცა დღეს შორაგალი ჩვენს ჯელთ აღარ არის, მაგრამ დიდი იმედი მაქუს ძლიერის ჯელმწიფისაგან, რომ ისევ შემობლუდავს და ვითხოვ, რომ ჩემი სახელო შორაგლის მოურაობა და განწესებული ჯამაგირი ისევ მებოძოს, რომ შეძლების ჩემისაებრ ვმსახურო დიდის ჯელმწიფის საფარველს.⁴³²

გენერალ-მაიორ ლაზარევის პატაკი გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს

[1801 წ. 13 ივლისი]

Выступивъ въ походъ съ войсками... въ Памбакскую провинцію, отправилъ я для развѣдыванія что дѣлается въ Эриванѣ одного вѣрнаго чѣловѣка изъ Грузинъ, а потомъ, слѣдуя къ провинціи сей, преодолѣвъ многія трудности въ пути къ оной и перешедъ разные дефилеи, 9-го числа прибылъ и расположился лагеремъ при рѣкѣ Памбакѣ, близь деревни Дарбаръ, гдѣ, разсматривая обстоятельство, прибытія моего сюда съ войсками требовавшія, нашель, Эриванскій Мегмедъ-ханъ, стараясь всячески, вмѣстѣ съ Нахичеванскимъ Келб-Али-ханомъ отвлечь жителей провинціи Памбакской отъ подданства Всемилостивѣйшаго Г. И. нашего и обратить въ свое, уговаривая ихъ къ сему, пріѣхалъ съ 400 чел. войскъ при немъ находящихся и одного бѣжавшего изъ Грузіи татарскаго чиновника Ага-Бека къ границамъ Грузіи, который, расположась съ войсками сими въ Шурагельской провинціи, успель уже вывести 14 деревень татарскихъ, составляющихъ, полагая примѣрно, отъ 5 до 6 тысячъ мужеска и женска пола душъ, съ ихъ агаларами или старшинами, – нѣкоторыхъ по согласію, а другихъ къ тому принуждая, изъ жилищъ ихъ и растоложить аулами близь мѣста расположенія его съ войсками.⁴³³

როდესაც ჯარი ბამბაკის პროვინციისკენ დავძარი... ერთი სანდო ქართველი ერევანს გავგზავნე იქაურ საქმეთა დასაზვერად; პროვინციისკენ მიმავალ გზაზე მრავალი სირთულე დავძლიე, ბევრი ხეობა გადავიარე, 9 რიცხვში მივაღწიე მდ. ბამბაკს და იქვე დავიბანაკე, სოფ. დარბარის მახლობლად. როდესაც შევისწავლე ვითარება, რომელიც ჯართან ერთად ჩემს ჩამოსვლას მოითხოვდა, აღმოვაჩინე, რომ ერევნელი მოჰამედ-ხანი ნახჭევნელ ქელბ-ალი-ხანთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობდა, ბამბაკის მცხოვრებნი ჩვენი ყოვლადმოწყალე ხელმწიფე იმპერატორის ქვეშევრდომობიდან გამოეყვანა და თავის (ქვეშევრდომებად) ექცია; მათ დასაყოლიებლად 400 კაციან რაზმთან და საქართველოდან გაქცეულ თათარ მოხელე ალა-ბეგთან ერთად საქართველოს საზღვრებთან, შურაგელის პროვინციაში დაბანაკდა. მან უკვე მოასწრო 14 თათრული სოფლის ანუ 5-6 ათასი მამაკაცისა და დედაკაცის გაყვანა, მათი ალაღარებით/უხუცესებით – ზოგი ნებით, ზოგი ძალით საცხოვრებლებიდან წაასხა და თავისი სამხედრო ბანაკის მახლობლად აულებად დაასახლა.⁴³⁴

გენერალ-მაიორ ლაზარევის პატაკი გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს

[1801 წ. 5 აგვისტო]

За отсутствіемъ в. пр. препоручена мнѣ Грузія и я ее долженъ сохранить въ тѣхъ предѣлахъ, какъ она была при покойномъ царѣ, и потому я ему [Эриванскому Мегмедъ-хану] удовольворенія сдѣлать не могу, но напротивъ оную защищать буду и хотя я знаю, что Шорогали также принадлежать Грузіи, но какъ они были при покойномъ царѣ въ его владѣніи, то я объ нихъ и не вступаюсь.⁴³⁵

თქვენი აღმატებულების არყოფნაში საქართველო მე გადმომებარა და უნდა დავიცვა ის იმ საზღვრებში, რომლებშიც განსვენებული მეფის დროს იმყოფებოდა; ამიტომ მის [მოჰამედ-ხანის] (მოთხოვნებს) ვერ დავაკმაყოფილებ, პირიქით, მას [საქართველოს] დავიცავ და თუმცა ვიცი, რომ შორაგალიც საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ როგორც განსვენებული მეფის დროს იყო მის საბრძანებელში, მათ [შორაგელებს] არ ვესარჩლები.⁴³⁶

გენერალ-მაიორ ლაზარევის პატაკი გენერალ-ლეიტენანტ კნორინგს

[1801 წ. დეკემბერი]

...Родитель ея в. не только въ бѣдномъ положеніи не находится, но изъ первыхъ богачей здѣшнихъ, и генерально за произведенныя имъ притѣсненія и неистовыя дѣла всѣми нетерпимъ Правителю

Грузіи Коваленскому, я чаю, памятно, когда въ бытность его здѣсь онъ изъ любостыжанія остановилъ караванъ Ганджинскій и изъ онаго присвоилъ себѣ нѣкоторыя вещи, за что ханъ посланного чиновника въ Шемаху за какими-то пушками долго держалъ въ крѣпости, а потомъ уступилъ Эриванскому хану Шурагельскую провинцію, коя и доднесь у него находится.⁴³⁷

...მისი აღმატებულების [დედოფალ მარიამის] შშობელი არათუ სიღარიბეში ცხოვრობს, არამედ ერთ-ერთი უმდიდრესთაგანია ადგილობრივთა შორის. საქართველოს მმართველს კოვალენსკის, მე ვგრძნობ, ის [გიორგი ციციშვილი] სძაგს მის მიერ ჩადენილი ყველა უსამართლობისა და ძალმომრეობისთვის; სამახსოვროა, როდესაც აქ იმყოფებოდა, ანგარებით განჯის ქარავანი გაძარცვა და იქიდან საქონელი მიითვისა, ამის გამო ხანმა შამახაში რაღაც ზარბაზნებისთვის გაგზავნილი მოხელე ციხეში დიდი ხნით დაამწყვდია; შემდეგ ერევნის ხანს დაუთმო შურაგელის პროვინცია, რომელიც მას დღემდე რჩება.⁴³⁸

სახელმწიფო პურის გადასახადი

[1802 წ.]

საქართველოში საზოგადოთ მცხოვრებელთ ყოველ წლივ განწესებული კომლზედ სამი კოდი სურსათი შეეწერებოდათ, ორი წილი პური და მესამედი ქერი; ოცდარი სტილიანი ლიტრით გამოართმევდნენ და იასაულებს საცა მიტანის ბრძანება ექნებოდათ, იქ მიატანინებდნენ და სამეფოს ხაზინაში დაიდებოდა. ყველას ამრიგათ ეთხოვებოდათ, როგორადაც სწერია: ...ყაზახელთ სომეხთ და თათრებს ერთმეოდათ, მახთას გარდა, კოდი ჰ (9000); შამშადილოელთ სომეხებს და თათრებს ერთმეოდათ კოდი ძ (3000); ფამბაკელთ სომეხთ და თათრებს ერთმეოდათ კოდი ჩფ (1500). შორაგლელთ სურსათის მაგიერ თეთრსა სთხოვდა, ხან ას თუმანს, ხან ორსა, ხან მეტსა და ხან ნაკლებსა.⁴³⁹

სახელმწიფო პურის გადასახადი

[1802 წ.]

ჩყბ (1802) წელსა, ოკდომბერს გ დღესა. ქართლში ყოველგან, გაღმა-გამოღმა, ქალაქის პირის სოფლებით, სომხით-საბარათაშვილოსა, თათრის ელებსა და სომხის სოფლებს ყველას განწესებული კომლზედ სამი კოდი სურსათი შესწერდათ, ორი წილი ფქვილი და მესამედი ქერი და ყველამ ასე უნდა გამოიღონ, როგორც აწერიათ: ... ყაზახმა, ერთობით თათრებმა და სომხებმა კოდი ცხრა ათასი; შამშადილმა, თათარმა და სომეხმა – კოდი სამი ათასი; შორაგალმა, თათარმა და სომეხებმა – კოდი ათას ხუთასი; ფამბაკმა, ერთობით თათრებმა და სომეხებმა კოდი ათას ხუთასი.⁴⁴⁰

ბამბაკის და შორაგელის აღალარების წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისადმი

[1803 წ.]

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი

45 - №2.3.1987/2517

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 9,68 გრ.

კვეთა: 27,15/28,71 მმ.

სისქე: 2,21 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1987 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **𐌕𐌹𐌺𐌹𐌸** – რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ. ორნამენტის ბუდეებში
ასომთავრული ანბანით **𐌕𐌹𐌺𐌹𐌸** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



46 - №3.3.1987/2518

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 9,39 გრ.

კვეთა: 28,03/27,76 მმ.



სისქე: 1,86 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1987 წ.

ალმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌆𐌆𐌆 – რ(უ)ს(უდა)ნ**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌔𐌆𐌆 – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447) = 1227 წ.**

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات

جلال الدنيا و الدولة و الدين

روسدان بنت تامار ظهير المسيح

اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა

მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,

რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.

ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



47 - №4.3.1987/2519

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 7,54 გრ.

კვეთა: 28,64/29,14 მმ.

სისქე: 1,69 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1987 წ.

ალმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌆𐌆𐌆 – რ(უ)ს(უდა)ნ**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌔𐌆𐌆 – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447) = 1227 წ.**

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات

جلال الدنيا و الدولة و الدين

روسدان بنت تامار ظهير المسيح

اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა

მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,

რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.

ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი

48 - №5.3.1987/2520

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 12,41 გრ.

კვეთა: 27,02/25,20 მმ.

სისქე: 2,78 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1987 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌕𐌆𐌆** – რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌖𐌆𐌆** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმმ (447) = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმე განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



49 - №6.3.1987/2521

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 8,08 გრ.

კვეთა: 27,44/27,48 მმ.

სისქე: 1,90 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1987 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌕𐌆𐌆** – რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌖𐌆𐌆** ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმმ (447) = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره



დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



50 - №3.3.2002/3756

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 5,45 გრ.

კვეთა: 24,47/25,65 მმ.

სისქე: 1,67 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 2002 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **ᲘᲚ᲏** – რ(უ)ს(უ)დან. ორნამენტის ბუდეებში
ასომთავრული ანბანით **ᲕᲚ᲏ ᲑᲔᲗ** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ჳმ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات

جلال الدنيا و الدولة و الدين

روسدان بنت تامار ظهير المسيح

اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



51 - №12.1.2005/3814

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 8,04 გრ.

კვეთა: 25,81/26,12 მმ.

სისქე: 1,95 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1987 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **ᲘᲚ᲏** – რ(უ)ს(უ)დან. ორნამენტის ბუდეებში

ასომთავრული ანბანით **ⴕⴚⴏ ⴑⴗⴏ** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი

52 - №13.1.2005/3815

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 5,05 გრ.

კვეთა: 25,68/25,18 მმ.

სისქე: 1,83 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 2005 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუშისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **ⴕⴚⴏ** – რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ. ორნამენტის ბუდეებში
ასომთავრული ანბანით **ⴕⴚⴏ ⴑⴗⴏ** ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447) =
1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



53 - №14.1.2005/3816

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 4,04 გრ.

კვეთა: 23,90/23,88 მმ.



სისქე: 1,35 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 2005 წ.

ალმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **خس** – **ر(უ)س(უ)دان**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **ქჲნ ჳჳზ – ქ(ორონი)კ(ონ)სა) ჳმზ (447) = 1227 წ.**

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



54 - №19.6.1990/3205

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 1,54 გრ.

კვეთა: 23,01/23,81 მმ.

სისქე: 1,83 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1990 წ.

ალმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **خس** – **ر(უ)س(უ)دان**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **ქჲნ ჳჳზ – ქ(ორონი)კ(ონ)სა) ჳმზ (447) = 1227 წ.**

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი

55 - №20.6.1990/3206

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 8,21 გრ.

კვეთა: 26,33/25,36 მმ.

სისქე: 2,03 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1990 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌕𐌖𐌆** – რ(უ)ს(უ)დანი. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌖𐌆** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447) = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდანი, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმე განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



56 - №21.6.1990/3207

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 4,43 გრ.

კვეთა: 32,25/24,39 მმ.

სისქე: 1,55 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1990 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌕𐌖𐌆** – რ(უ)ს(უ)დანი. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌖𐌆** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447) = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره



დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



57 - №22.06.1990/3208

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 5,55 გრ.

კვეთა: 20,35/21,73 მმ.

სისქე: 2,39 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1990 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **𐌕𐌆𐌆** – **𐌕(უ)ს(უდა)ნ**. ორნამენტის ბუდეებში
ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌕𐌆𐌆** – **ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ჳმმ (447)**
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات

جلال الدنيا و الدولة و الدين

روسدان بنت تامار ظهير المسیح

اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



58 - №23.06.1990/3209

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 3,38 გრ.

კვეთა: 23,01/23,26 მმ.

სისქე: 1,38 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 1990 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **𐌕𐌆𐌆** – **𐌕(უ)ს(უდა)ნ**. ორნამენტის ბუდეებში

ასომთავრული ანბანით **𐌕𐌕𐌖𐌕** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი

59 - №1.2.2009/4131

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 4,86 გრ.

კვეთა: 24,00/24,27 მმ.

სისქე: 1,74 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 2009 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედავა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **𐌕𐌕𐌖𐌕** – რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ. ორნამენტის ბუდეებში
ასომთავრული ანბანით **𐌕𐌕𐌖𐌕** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმზ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



60 - №1.2.2008/4096

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 5,99 გრ.

კვეთა: 23,96/23,26 მმ.



სისქე: 2,06 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 2008 წ.

ალმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌆𐌆𐌆 – რ(უ)ს(უდა)ნ**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌔𐌆𐌆 – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმმ (447) = 1227 წ.**

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



61 - №41.1.2008/4097

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 3,66 გრ.

კვეთა: 22,69/22,70 მმ.

სისქე: 1,63 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 2008 წ.

ალმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌆𐌆𐌆 – რ(უ)ს(უდა)ნ**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌔𐌆𐌆 ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმმ (447) = 1227 წ.**

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი

62 - №42.1.2008/4098

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)
 მასალა: სპილენძი
 წონა: 4,36 გრ.
 კვეთა: 26,15/26,52 მმ.
 სისქე: 1,34 მმ.
 მუზეუმში შემოსვლის დრო: 2008 წ.
 აღმოჩენის ადგილი: ყარსი



აღწერილობა:
 სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
 ნამენტის ცენტრში **خس** – რ(უ)ს(უ)დანი. ორნამენტის ბუდეებში
 ასომთავრული ანბანით **خس** – ქ(ორონი)კ(ონ)ს(ა) ვმმ (447)
 = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوک و الملكات
 جلال الدنيا و الدولة و الدين
 روسدان بنت تامار ظهير المسيح
 اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
 მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
 რუსუდანი, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
 ალლაჰიმე განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი
 შენიშვნა: მონეტა სავარაუდოდ ჩამოჭრილია

63 - №2.2.1.2009/4132

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)
 მასალა: სპილენძი
 წონა: 5,87 გრ.
 კვეთა: 25,06/26,00 მმ.
 სისქე: 1,60 მმ.
 მუზეუმში შემოსვლის დრო: 2009 წ.
 აღმოჩენის ადგილი: ყარსი



აღწერილობა:
 სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
 ნამენტის ცენტრში **خس** – რ(უ)ს(უ)დანი. ორნამენტის ბუდეებში
 ასომთავრული ანბანით **خس** – ქ(ორონი)კ(ონ)ს(ა) ვმმ (447)
 = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوک و الملكات
 جلال الدنيا و الدولة و الدين
 روسدان بنت تامار ظهير المسيح
 اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



64 - №983.2.5/1714

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 4,41 გრ.

კვეთა: 22,05/21,36 მმ.

სისქე: 1,77 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 3.12.1982 წ.

აღმოჩენის ადგილი: სოფ. თუნქიაია, ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **خس** – **ر(ه)س(უ)دان**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **خس خس** – **ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმმ (447)** = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



65 - №983.7.1/1723

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 5,30 გრ.

კვეთა: 25,06/23,83 მმ.

სისქე: 1,87 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 21.4.1983 წ.

აღმოჩენის ადგილი: სოფ. თუნქიაია, ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **خس** – **ر(ه)س(უ)دان**. ორნამენტის ბუდეებში

ასომთავრული ანბანით **𐌕𐌕𐌖𐌕** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ჳმზ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი

66 - №980.10.1/1632

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 6,23 გრ.

კვეთა: 25,92/26,68 მმ.

სისქე: 2,21 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 26.6.1980 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **𐌕𐌕𐌖𐌕** – რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ. ორნამენტის ბუდეებში
ასომთავრული ანბანით **𐌕𐌕𐌖𐌕** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ჳმზ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



67 - №983.2.4/1713

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 4,81 გრ.



კვეთა: 22,87/22,87 მმ.

სისქე: 1,70 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 3.12.1982 წ.

აღმოჩენის ადგილი: სოფ. თუნქია, ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **ჰსნ – რ(უ)ს(უდა)ნ**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **ქჳნ ჳჳზ – ქ(ორონი)კ(ონ)სა) ჳმზ (447) = 1227 წ.**

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات

جلال الدنيا و الدولة و الدين

روسدان بنت تامار ظهير المسيح

اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა

მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,

რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.

აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



68 - №1.2.2001/3740

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 4,50 გრ.

კვეთა: 24,00/23,38 მმ.

სისქე: 1,00 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 11.09.2001 წ.

აღმოჩენის ადგილი: ანისი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **ჰსნ – რ(უ)ს(უდა)ნ**. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **ქჳნ ჳჳზ – ქ(ორონი)კ(ონ)სა) ჳმზ (447) = 1227 წ.**

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات

جلال الدنيا و الدولة و الدين

روسدان بنت تامار ظهير المسيح

اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა

მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,

რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.

აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი

69 - №977.1.7/871

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 7,78 გრ.

კვეთა: 24,20/24,15 მმ.

სისქე: 2,33 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 27.1.1977 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌕𐌆𐌆** – რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌖𐌆𐌆** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმმ (447) = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმე განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



70 - №1.2. 2015/ 4659

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 5,62 გრ.

კვეთა: 22,96/23,26 მმ.

სისქე: 1,99 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 17.12.2014 წ.

აღმოჩენის ადგილი: ყარსი

აღწერილობა:

სწორი ტედა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორნამენტის ცენტრში **𐌕𐌆𐌆** – რ(უ)ს(უ)დ(ა)ნ. ორნამენტის ბუდეებში ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌖𐌆𐌆** – ქ(ორონი)კ(ო)ნ(სა) ვმმ (447) = 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملکة الملوک و الملكات
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره



დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



71 - №2.4.2015/4664

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 4,40 გრ.

კვეთა: 21,64/20,43 მმ.

სისქე: 2,14 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 31.12.2009 წ.

აღმოჩენის ადგილი: სოფ. ბოსქუში, ყარსი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **خس** – **რ(უ)ს(უ)დან**. ორნამენტის ბუდეებში
ასომთავრული ანბანით **𐌕𐌆𐌆 𐌆𐌆𐌆** – ქ(ორონი)კ(ონ)ს(ა) ჳმმ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكة الملوك و الملكات

جلال الدنيا و الدولة و الدين

روسدان بنت تامار ظهير المسيح

اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
აღლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი



72 - №4.3.2001/3746

ემიტენტი: რუსუდანი (1223-1245 წწ.)

მასალა: სპილენძი

წონა: 4,39 გრ.

კვეთა: 21,88/22,76 მმ.

სისქე: 1,54 მმ.

მუზეუმში შემოსვლის დრო: 11.09.2001 წ.

აღმოჩენის ადგილი: ანისი

აღწერილობა:

სწორი ჭედვა

ავერსი: გადახლართული ხაზებით შექმნილი კარტუზისებრი ორ-
ნამენტის ცენტრში **خس** – **რ(უ)ს(უ)დან**. ორნამენტის ბუდეებში

ასომთავრული ანბანით **ქჳნ ჳჳზ** – ქ(ორონი)კ(ონ)სა) ჳმზ (447)
= 1227 წ.

რევერსი: ცენტრში ოთხსტრიქონიანი არაბული ზედწერილი

الملكات و الملكة الملوک
جلال الدنيا و الدولة و الدين
روسدان بنت تامار ظهير المسيح
اعز الله انصاره

დედოფალი მეფეთა და დედოფალთა
მშვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა,
რუსუდან, ასული თამარისა, მესიის თაყვანისმცემელი.
ალლაჰიმც განადიდებს მის დამხმარეებს

წარწერის ირგვლივ ხაზოვანი ორნამენტი





რელიეფი ქართული წარწერით ყარსის მუზეუმიდან

საინვენტარო ნომერი – 21.4.967/507

ზომა: 45x36 სმ.

სისქე: 35 სმ.*

სავარაუდო თარიღი: XII ს.

წარმომავლობა: სამუზეუმო დავთრის მიხედვით, რელიეფი ანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი; ყარსის მუზეუმში იგი 1967 წელს შევიდა, როგორც „განათხარი ნიმუში მარის მუზეუმიდან“.**

რელიეფური კომპოზიცია ჯვარცმის გამოსახულებით ფრაგმენტულია; ჩამოტეხილი აქვს: ზედა ნაწილის მოზრდილი მონაკვეთი; მარჯვნივ, ცენტრიდან დიაგონალურად – არე სცენის ზედა ნაწილის დაახლოებით შუა მონაკვეთამდე; მარცხნივ, ასევე დიაგონალურად – შედარებით მცირე ზომის მონაკვეთი. ამ მხარეს ქვის ზედაპირი საკმაოდ დაზიანებულია და რელიეფურ გამოსახულებათა მეტი ნაწილი დაკარგულია (სურ. 1).

კომპოზიციის ქვედა მონაკვეთზე, ცენტრალური ნაწილი ფაქტობრივად სრულად შემორჩა. გვერდითა ნაწილებიდან მარჯვენა თითქმის მთლიანადაა ჩამოტეხილი; მარცხენა მხარეს დაზიანება შეინიშნება რელიეფის იმ მონაკვეთზე, სადაც წარწერა ამოკვეთილი, კუთხეებთან. რელიეფის ქვედა მონაკვეთზე, ცენტრალური ნაწილი გვერდებთან შედარებით ჩამოგრძელებულია; მისი ქვედა კონტური აქ გამოსახული სახის ოვალს მიუყვება, გვერდითა ნაწილებზე კი სწორხაზოვანია.***

რელიეფის უკანა მხარეს, დაზიანებები განსაკუთრებით ქვედა

* საალრიცხოვო ბარათის ჩანაწერი: „რელიეფის ზომა – 55x40 სმ.; ქვის რელიეფის ზედაპირზე გამოსახულია ადამიანის თავი, სამი ადამიანის სხეულის ნახევარი და ამოკვეთილია სომხური ასოები“.

** ცნობა რელიეფის შესახებ არ გვხვდება ანისის მუზეუმის კატალოგებში (Март 1906; Март 1908; Орбели 1910). შესაბამისად, არ გამოირიცხება, რომ ეს რელიეფი კატალოგის გამოქვეყნების შემდეგ აღმოჩნდა.

*** შესაძლოა რელიეფი არ ყოფილიყო სწორკუთხა, რამდენადაც მის ქვედა მონაკვეთში, ქვის კონტური საკმაოდ ბუნებრივად მიუყვება სახის ოვალს.

სურ. 1. ყარსის მუზეუმი.
რელიეფი ჯვარცმის
გამოსახულებით



ნაწილში შეინიშნება – ჩამოტეხილია ორივე გვერდი. ამ მხარეს, ცენტრში, კუთხეჩამოტეხილი სწორკუთხა შვერილია, რომელსაც ქვის ზედაპირის დაახლოებით ნახევარი უკავია (სურ. 2).*

რელიეფზე გამოსახული ჯვარცმის კომპოზიცია ორ ნაწილადაა გაყოფილი. ზედა მონაკვეთზე, ცენტრში გამოსახულია ჯვარცმული ქრისტე, ხოლო მის ორივე მხარეს, ოდნავ ქვემოთ – ორი ჯვარცმული ავაზაკის შედარებით მცირე ზომის თითო ფიგურა. სამივე ფიგურა ფრონტალურადაა წარმოდგენილი.

ქრისტეს ფიგურიდან შემორჩენილია მხოლოდ ტანი, თავისა და ხელების გარეშე. ფიგურა გამოსახულია სწორკუთხა ჯვარზე; მის ოდნავ წელში გამოყვანილ სხეულს წელს ქვემოთ ფარავს თეძოზე შემოხვეული, დრაპირებული ქსოვილი, რომელიც მუხლამდე აღწევს. ქსოვილი დაგრეხილი თოკის ფორმით მიუყვება სხეულს, თითქოს მარწყუს ქმნის ცენტრში და თავისუფალ სიგრძე ნაოჭებად ეშვება ქვემოთკენ, სადაც ქსოვილის ორი ფენა ჩანს. ფეხები ფიგურას სწორად, ერთმანეთის გვერდით აქვს განლაგებული, განზე გაშლილი ტერფებით, რომელზეც არ შეინიშნება სხეულის ნაკვთები.

მარჯვენა ავაზაკის ფიგურიდან შემორჩა სხეული, მარჯვენა ხელი და თავის ნაწილი; სახიდან დარჩენილი ნაწილის ზედაპირი დაზიანებულია. ფიგურის შემორჩენილი ხელი ტანთან შედარებით პროპორციულად მოკლეა და დიდი ზომის ხელის მტევნით ბოლოვდება, გაშლილი, კარგად გამოკვეთილი თითებით.

მარცხენა ფიგურიდან შემორჩენილია სხეული წელს ქვემოთ, აგრეთვე ნაწილობრივ, ჯვრის მარცხენა, სწორკუთხა მკლავის მობზულობა.

ავაზაკების ფიგურებს, მაცხოვრის მსგავსად, წელზე შემოხვეული დრაპირებული ქსოვილი მუხლამდე ფარავს. მაცხოვრის ფიგურასთან შედარებით, მათ უფრო დამჯდარი პროპორციები აქვთ, ხოლო მათ სხეულებზე ნაკლები დეტალები იკითხება; შესაძლოა ეს დაზიანების კვალია; ** უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ავაზაკის ჯვრის ამჟამად შემორჩენილი თითო მკლავი, თვალშისაცემად მოკლეა.

რელიეფის ქვედა ნაწილის ცენტრალური მონაკვეთი უკავია ადამიანის თავის გამოსახულებას, რომელზეც უშუალოდაა აღმართული მაცხოვრის ჯვარი. თავს სიმალლეში კომპოზიციის დაახლოებით ნახევარი უჭირავს და დანარჩენ გამოსახულებებთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდი ზომისაა; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გამოსახულების მასიური ფორმები, რომელსაც უხეშად ნაკვეთი, მსხვილი ნაკვთები და უტრირებული ფორმები ქმნიან. ასეთია განიერი და ბრტყელი სახე თმა-წვერის გარეშე; ღრმად ნაკვეთი, ახლოს ჩამჯდარი, სიგანეზე ოდნავ წაგრძელებული თვალები, მარცხენა თვალში ამოკვეთილი გუგით; განიერი და სტილიზებული წარბები ღრმა ნაოჭის სახით, რომლებიც თვალებს შემოუყვება, ცხვირ-

* რელიეფის უკანა მხარეს არსებული შვერილი, სავარაუდოდ, რელიეფის კედელში შესასმელად იყო განკუთვნილი.

** არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ ისინი უფრო ზედაპირულად იყო დამუშავებული.



სურ. 2. რელიეფი ჯვარცმის გამოსახულებით. უკანა მხარე

თანაა დაკავშირებული და ყურების ბოლოებისკენ ეშვება; დიდი ზომის, ფრონტალურად ნაჩვენები ყურები, საგულდაგულოდ ნაკვეთი ფორმით, რომელთაგან მარცხენა უფრო დაზიანებულია; განიერი, ბრტყელი, უხეშად ნაკვეთი ცხვირი ნესტოების გარეშე, რომელიც ქვემოთკენ კიდევ უფრო ფართოვდება; პატარა ზომის თხელი პირი, რომლის ბაგეები მარჯვენა მხარეს გახსნილია; დაბალი შუბლი, რომელსაც, თვალებს ზემოთ, ორმაგი ნაოჭი მიუყვება წვრილ ხაზებად და ფართე, დიდი ზომის ნიკაპი, რომელიც განიერ ოვალს ქმნის სახის გარკვეულად ასიმეტრიულ, ქვედა ნაწილში.*

რელიეფის ქვედა ნაწილში, თავის გასწვრივ, ორივე მხარეს, ერთ დროს არსებული, დიდი ზომის ასომთავრული გრაფემებით შესრულებული, დაქარაგმებული წარწერა ნაწილობრივ შემორჩა:

* ყოველივე ეს ხასიათის გარკვეულ ექსპრესიას იძლევა. რელიეფის სრულად შემორჩენის პირობებშიც კი, ეს გამოსახულება ყველა ფიგურაზე შთამბეჭდავი და საგრძნობლად მსხვილი უნდა ყოფილიყო.

მარცხენა არეზე, თავსა და სცენის მარცხენა კიდეს შორის იკითხება: **†~† და † ††**; თავსა და სცენის მარჯვენა კიდეს შორის არსებულ მონაკვეთზე ახლა მხოლოდ ერთი ასოს, **†**-ს ფრაგმენტი გაირჩევა.

ქართული ასომთავრული წარწერის პალეოგრაფია – ტექსტის შესრულება კიდურწერტილოვანი გრაფემებით, სავარაუდოს ხდის, რომ რელიეფი XI-XII საუკუნეებში უნდა შეექმნათ.* ისტორიული გარემოებების გათვალისწინებით (საქართველოს სამეფოს ფარგლებში შირაკისა და ანისის მოქცევა, რეგიონში ქართული საერო და საეკლესიო მმართველობის გაძლიერება და მასთან დაკავშირებული აღმსარებლობითი თუ კულტურული პროცესები), ეს პერიოდი შეიძლება კიდევ უფრო დაზუსტდეს და XII საუკუნით შემოიფარგლოს.

* ჯავახიშვილი 1996: 128; ქართული წარწერების კორპუსი 1980: 33. იხ. აქვე გვ. 165.



საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული არქეოლოგიური მასალა ანისიდან

1. ობსიდიანის ორფერდა ლამელა (საინვ. №GNM01 2-14:4)

ადრე ბრინჯაოს ხანა.

ზომები: სიგრძე – 7.2 სმ; სიგანე – 1.9 სმ. მოგრძო ფორმის, ორმხრივი და რეტუშირებული სამუშაო პირით.



აღნიშნული ნივთი, ანისთან ახლოს, კერძოდ ჰორომოსის (ხოშავანქი) მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი. ნივთი 1914 წელს შემოვიდა კავკასიის მუზეუმში.

2. ბრინჯაოს სატევარი (საინვ. №GNM01 1-41:1)

ძვ.წ. XIV-XIII სს.

ზომები: მთლიანი სიგრძე – 31.5 სმ; პირის სიგრძე 20.5 სმ; ტარის სიგრძე 11 სმ; პირის მაქსიმალური სიგანე – 7 სმ; პირის წვერის სიგანე – 1.2 სმ. ყალიბში ჩამოსხმული; შედგენილი, ხით ამოვსებული მილიანი ტარით დაბოლოებული ნახევარსფეროსებრი ქუდით. ტარის ქუდის წრიული კიდე ღრმა, მახვილი კუთხით სხვადასხვა მხარეს მიმართული სამკუთხედებითაა გაფორმებული. ქუდის თავზე, გამჭოლ წრეში ჩასმულია ნახევარსფეროსებრი ქუდისა და ტარის დამაკავშირებელი მართკუთხედის ფორმის თავმომრგვალებული ღერძი.



სატევრის პირის შუა ნაწილი გაფორმებულია ყალიბში მიღებული რელიეფურ-ამოღარული სხივური ზოლებით, რომელიც სატევრის პირს – წაწვეტებული სამკუთხედის ფორმას იმეორებს.

მუზეუმის საინვენტარო სააღრიცხვო დავთარში არსებული ჩანაწერის მიხედვით, სატევარი ნაპოვნია ანისში 1900 წელს მ. არკადიევას მიერ. მუზეუმის არქეოლოგიურმა განყოფილებამ სატევარი შეიძინა 1941 წელს.

3. ხელადა (საინვ. №GNM01 2871)

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი.

თიხის, მუქი მონაცრისფრო წვრილმარცლოვანი და ფოროვანი



კეცით. ზომები: სიმაღლე – 24 სმ; პირის აღდგენილი დიამეტრი – 8 სმ; მუცლის დიამეტრი – 23 სმ; ძირის დიამეტრი – 9 სმ. გადაშლილი პირით, მხრებისკენ შევიწროებული დაბალი ყელით, სფერული, გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით. მხარსა და პირზე მიძერწილია მრგვალგანივკვეთიანი ვერტიკალური ყური. მხარსა და მუცელზე არსებულ ღარულ ზოლებს შორის მოქცეულია შვეულად ნაპრიალები ზოლების ორი ფრიზი. ხელადა აღმოჩნდა შუა საუკუნეების ანისის ნაქალაქარის სიახლოვეს სამარხების გათხრისას.

ნივთი (ხელადა, მახვილის ტარი) კავკასიის მუზეუმში შემოსულია 1914 წელს, უშუალო შემომტანად კი საალრიცხოვო დავთარში ჩანიშნულია ა. ა. ფლორენსკი.

4. ბრინჯაოს მახვილის ტარი (საინვ. №GNM01 2-14:2)

ძვ.წ. VIII-VI სს.

ზომები: საერთო სიგრძე 12 სმ; ვადის სიგანე – 4.5 სმ; ხელმოსაკიდი ტარის სიგრძე – 7.8 სმ; ტარის დაბოლოების სიგანე – 3.2 სმ. ჩარჩოსებრი ტარის ვადა პირის მიმართულებით დაბოლოებულია რქისებრი შვერილებით. აკლია მახვილის, სავარაუდოდ, რკინის პი-



რი, რომელიც შემორჩენილ ტარში ჯდება და ტართან მაგრდება რკინის მახვილის პირის დაბოლოებაზე და ბრინჯაოს ტარზე დატოვებული სამოქლონე ნახვრეტებით. ნივთი აღმოჩენილია უშუალოდ ანისის ნაქალაქარზე.

ნივთი კავკასიის მუზეუმში შემოსულია 1914 წელს, უშუალო შემომტანად კი საალრიცხოვო დავთარში ჩანიშნულია ა. ა. ფლორენსკი.

5. ადამიანის ბრინჯაოს ქანდაკების მკლავის ფრაგმენტი (საინვ. №GNM01 40-10:1)

გვიანანტიკური პერიოდი.

ნივთი ჩამოსხმის ტექნიკითაა მიღებული. მკლავის შიდა ნაწილი ფუყეა. ზომები: საერთო სიგრძე 21 სმ; მხართან სისქე – 7.5 სმ; მკლავთან სისქე – 4.5 სმ.



მუზეუმში შემოსულია 1910 წელს. არტეფაქტის რეგისტრაციის მიხედვით აღმოჩენილია ანისში.

6. გულსაკიდი ჯვარი (საინვ. №GNM01 ა646; ძვ. ნომ. 2-14:3)

XI-XIII სს.

ბრინჯაოს, მასიური, ტოლმკლავა, მრგვალ განივკვეთიანი მხრებით, თავზე ყუნწით. ზომები: სიმაღლე 5.3 სმ; სიგანე – 4.3 სმ. აღმოჩენილია ანისის ნაქალაქარში. ჯვარი 1914 წელსაა შემოსული კავკასიის მუზეუმში (შეძენილია ა. ა. ფლორენსკისგან). ერთიანი ჩამოსხმის შედეგად მიღებული ტოლმკლავა ჯვრის ზედა მკლავის თავზე მოთავსებულია ოვალური ფორმის საყუნწე რგოლი. ჯვრის



მკლავები მრგვალ განიგვეთიანია; გაფორმებულია დაბალ რელიეფიანი ლილვებითა და მკლავების ბოლოს არსებული ქუდისებრი დაბოლოებებით. ამ ორ უკანასკნელ ელემენტს შორის, მკლავების დაბოლოებებისკენ, მოთავსებულია შესქელებული ნაწილები – ბიკონუსური ოვალური მონაკვეთები. კუბის ფორმის მკლავების შეერთების ცენტრში დატანილია დიაგონალურად მიმართული, ურთიერთგადამკვეთი ორი ხაზი, რითაც იქმნება ნიშანი X (სავარაუდოდ, ქრისტეს ან ჯვრის სიმბოლური მონოგრამა).





თავი IV

ანისი და საქართველო –
საარქივო მასალები



ანისის ქართული სიძველეები დიმიტრი ბაქრაძის საველე დღიურში

დიმიტრი ბაქრაძის სამოღვაწეო სფეროებსა და სამეცნიერო ინტერესთა შორის ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა-შესწავლა ერთ-ერთია გამორჩეულთა შორის. ამის თაობაზე მკვლევრის სიცოცხლეშივე არაერთგზის დაწერილა, შემდგომში კი ყოველივე, ავტორისეული მასალებით ცნობილი, ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული და განხილული.¹ აშკარაა, რომ საქართველოს ეს ისტორიული კუთხე მუდამ რჩებოდა დ. ბაქრაძის საფიქრალისა და ინტერესის განსაკუთრებულ სფეროდ. სწორედ ამაზე მეტყველებს მისი ადრეული პუბლიკაცია ისტორიული მესხეთის თაობაზე,² მოგვიანოდ კი სისტემატურად განხორციელებული ექსპედიციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ამის საფუძველზე შექმნილი ნარკვევები თუ წიგნები, სხვადასხვა გამოცემაში ჩართული მასალები და მონაცემები, მოსაზრებები და დასკვნები.

დიმიტრი ბაქრაძის – იმხანად (1875-1878 წწ.) საცენზურო კომიტეტის თანამშრომლის (ქართული ენის უმცროსი ცენზორის) – მიერ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ისტორიული პროვინციების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის გზაზე არსებითი მნიშვნელობისა იყო მისი ვრცელი ნარკვევი გურიასა და აჭარაში სიძველეების თაობაზე. წიგნის გამოქვეყნებას წლები დასჭირდა და იგი საბოლოოდ 1878 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების კვალად დაიბეჭდა.³ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებას დაემთხვა პუბლიკაცია გიორგი ყაზბეგის ნარკვევისა ტაო-კლარჯეთის ძეგლების შესახებ, რომელიც 1875 წელს გამოქვეყნდა⁴ და რომელმაც სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია; პუბლიკაციას მიეძღვნა დ. ბაქრაძის ვრცელი წერილების მთელი სერია (თერთმეტ ნაწილად დაყოფილი ხუთი თემატური ნაკვეთი: I – წინასწარი ცნობები (№1); II – ზემო აჭარა (№3 და №4); III – შავშეთი (№7 და №8); IV – ლივანა (№16 და №19); V – ლაზეთი (№31, №32, №38 და №39) – ისინი გაზეთ „Навका“-ის 1877 წლის იანვრის ნომრებში ქვეყნდებოდა.⁵

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ, როდესაც საქართველოს ისტორიული კუთხეების ნაწილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა – ამის შედეგად მკვლევრებს საშუალება მიეცათ, მონახულებინათ „თურქეთის საქართველოდ“ სახელდებული რეგიონი და მისი სწორუპოვარი კულტურული მემკვიდრეობა. ისტორიული ოლქების შე-

მოერთების შემდეგ რუსეთის საიმპერიო ხელისუფლება მყისიერად და აქტიურად შეუდგა რეგიონში დამკვიდრებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის – ტოპოგრაფიული და სამიწათმფლობელო მონაცემების აღნუსხვას, მოსახლეობის აღწერას, ადგილობრივ ეთნოკონფესიურ თუ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მასალების (მათ შორის – მატერიალურის) თავმოყრას და ა.შ. აღნიშნული პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო დ. ბაქრაძე – იმხანად უკვე რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, რომელმაც 1879-1881 წლებში რამდენჯერმე იმოგზაურა ამ მხარეებში და დატოვა ძალზე ფასეული მასალები საველე დღიურების სახით.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დიმიტრი ბაქრაძის არქივში, დაცულია აჭარასა და ტაო-კლარჯეთში მისი მოგზაურობის დღიური (№32). ეს დღიური ექვთიმე თაყაიშვილს წამოუღია დიმიტრი ბაქრაძის ქვრივისაგან და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გაუგზავნია შესაძენად. ხელნაწერისთვის ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დართული ბარათიდან ირკვევა, რომ დღიური იმ დროისათვის უკვე თავნაკლული ყოფილა: იგი იწყება 53-ე გვერდიდან და სრულდება 199-ე გვერდით. მომდევნო გვერდები – 200-დან 224-ის ჩათვლით – ცარიელია, შემდგომ კი, რამდენიმე გვერდზე, მოცემულია სარჩევი და მონაცემები ისტორიულ პირთა შესახებ.

ამ მასალების ნაწილი თავად დიმიტრი ბაქრაძის მიერვე იქნა გამოყენებული ექსპედიციების თანადროულ თუ მომდევნო წლების პუბლიკაციებში,⁶ თუმცა კი დღიურების დიდი ნაწილი დღესაც გამოუცემელი რჩება.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციების აღწერისას დ. ბაქრაძეს მიუმართავს მონაცემთა აღნუსხვის გარკვეული სქემისთვის, რომლის წინასწარ შედგენილი პირველსახეც მის დღიურშივე არის ჩართული. ამ სქემის შესაბამისად, თავდაპირველად აღწერილია რეგიონის საზღვრები, კლიმატური პირობები, ბუნებრივი მახასიათებლები (ტყე, ტბები, მდინარეები და ა.შ.); იქვე ავტორს მოჰყავს ამა თუ იმ ისტორიულ კუთხეში არსებული დასახლებების ჩამონათვალი (ეროვნებების მიხედვით, მოსახლეობის რაოდენობის მითითებით), ახასიათებს ადგილობრივ მკვიდრთა სამეურნეო ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს. დღიურში ასევე აღნუსხულია რეგიონში იმხანად არსებულ კომლთა ოდენობა, მოსახლეობის თავდაპირველი მკვიდრობის ადგილები, გადმოსახლების დრო და დასახლების ადგილი, მათ მფლობელობა; ჩამოთვლილია ადგილობრივ მმართველთა – ბეგების საკუთრება (ტყე, ტბა, საძოვრები და ა.შ.); მოცემულია ცნობები გავრცელებული დაავადებებისა და მათი მკურნალობის ხერხების თაობაზე (ადგილობრივი მკურნალები); დახასიათებულია ადგილობრივი ფლორა-ფაუნა, სახელდობრ ხეთა ჯიშები, მობინადრე გარეული ცხოველები, თევზის სახეობები. დღიურში, ცხადია, სათანადო ყურადღება ეთმობა თითოეული რეგიონის სიძველეებს – აღწერილ-დახასიათებულია ეკლესია-მონასტრები, ციხეები, მათი სამშენებლო მასალები, წარწერები და ფრესკები. ამასთან დაკავშირებით მკვლევარს ხელნაწერის დასაწყისშივე

(გვ. 54), ფურცლის აშიაზე მიუწერია ეკლესიის აღწერის დაწვრილებითი ჩამონათვალი, ეკლესიის მცირე ნახაბითურთ.

დღიურში ჩანაწერები იწყება საანგარიშო წერილით ართვინის ოლქის შესახებ (№1335), რომელიც 1879 წლის 19 აგვისტოთი არის დათარიღებული. მომდევნო ანგარიშები სხვადასხვა ოლქს ეხება, ამასთან მასალები ქრონოლოგიური რიგით არაა მოცემული: 1879 წლის 30 მაისის №410 ანგარიშში საუბარია მაჭახელას რეგიონზე; იმავე კუთხეს ავტორი აღწერს 1879 წლის 30 ივნისის №531 ანგარიშშიც. აჭარის ოლქი ზოგადაა დახასიათებული 1879 წლის 30 ივნისის №9214 ანგარიშში; 1879 წლის 1 სექტემბრის №9046 ანგარიში ეხება ზემო აჭარას, 1879 წლის 19 აპრილის №912 ანგარიში კი აჭარის ოლქს; 1879 წლის 22 სექტემბრის №3182 ანგარიშში საუბარია შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილსა და მიწების შემოსავლებთან დაკავშირებულ მის საჩივარზე. მომდევნო ნაკვეთში აღწერილია ქვემო აჭარა, მისი საზღვრები, კლიმატური პირობები და ა.შ. ამის შემდგომ იწყება ჩანაწერები დღეების მიხედვით.

საქართველოს სამხრეთ ისტორიულ პროვინციებში მოგზაურობა დიმიტრი ბაქრაძეს იმავე 1879 წლის 8 ნოემბრიდან დაუწყია ქედადან და სამი კვირის მანძილზე, 1 დეკემბრამდე, მოუვლია ვრცელი რეგიონი – მერისის, მაჭახელას ხეობები, დანდალო, ხულო, ჭვანისწყალი, მირატის და ღორჯომის ხეობები, სხალთა, ხიხაძირი; ჭოროხის ხეობის ქვემოწელი, ციხისძირი, თუხარისის ციხე, შავშეთ-იმერხევის ნაწილი, სახელდობრ ტბეთი, დაბაკეთი, სათლე, აგრეთვე ანჩა, არტანუჯი და მისი ციხე, ბერთა, ჯმერკი მისი განთქმული ბალებით, ღდილი და სამწყალი, ოპიზას სანახები და მონასტერი, დოლისყანას ეკლესია, სვეტი და მისი ეკლესია, ართვინი, ბორჩხა, მაჭახელა. დღიურის ამ ნაწილში სამი გვერდი უკავია ქართულ-მეგრულ-ლაზურ ლექსიკონს.

მკვლევარი ორიოდე წლის შემდეგ კვლავ მიუბრუნდა რეგიონს. მის დღიურში, თხრობა, ყოველგვარი შესავლის გარეშე, გრძელდება 1881 წლის ჩანაწერებით – აღწერილია მისი მგზავრობა თბილისიდან ყარსამდე.

ექსპედიცია დაიწყო 14 ივლისიდან, სადგურ სარახუსიდან. მკვლევარს შემდგომ დღეებში მოუვლია უზუნტალი, ყარაქილისი, ჰამამლო; ბამბაკის ხეობა, ალბულაღი, ალექსანდროპოლი, არგიპი. 16 ივლისს იგი ყარსისკენ გაემგზავრა; გზად გაუვლია დუხობორთა და მოლოკნების დასახლებები. ყარსში დ. ბაქრაძე 18 ივლისს ჩავიდა და ერთი კვირის განმავლობაში, 25 ივლისამდე დარჩა; აღნუსხა იქური სიძველეები, მათ შორის – ყარსის ციხის სომხური და ქართული წარწერები (სურ. 1).

26 ივლისს დ. ბაქრაძე ყარსიდან ანისის ნაქალაქარის სანახავად ეშურება. ნაქალაქარზე ერთდღიანი ყოფნისას მას მრავალი სიძველე აქვს აღწერილი, მათ შორის – ანისში ქართველთა მკვიდრობასთან დაკავშირებული ძეგლები. ამ მასალების მნიშვნელობა სადავო არ უნდა იყოს: ცალკეულ ძეგლთა დახასიათებისას მოცემულია რეგიონის იმუამინდელი აღმსარებლობითი ვითარებაც რუსული საიმპერიო მმართველობის პირობებში. ამ მხრივ თუნდაც ისაა



სურ. 1. ანისი.
ნაქალაქარის საერთო ხედი
ჩრდილო-დასავლეთიდან





სურ. 2. დიმიტრი ბაქრაძის საველე დღიური. ხეც, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, საქმე №32, ფ. 79v

საგულისხმო, რომ რუსეთი-თურქეთის ომიდან განვლილი არცთუ დიდი დროის შემდეგ, ყარსის სომხური ეკლესია უკვე მართლმადიდებლურად იყო მოქცეული.⁷

27-დან 31 ივლისის ჩათვლით დ. ბაქრაძე კვლავ ყარსში რჩებოდა. იმხანად მას შეუდგენია ოლთისსა და არდაგანამდე გასავლელი სოფლების მარშრუტი: ბარდუსი – ორთული; ორთულ-აკრიაკის ხეობის გავლით ფენაკში – ფანასკერტი – ტაოსკარი – გუკალი – ოლთისი და ნარიმანი. ოლთისის ხეობის გავლით სოფელი ფენაკი – სოფელი სოლომონყალა და დორთქილისა.

მომდევნო დღეებში, 1-დან 12 აგვისტოს ჩათვლით, მკვლევარს ზემოთ ნახსენები მარშრუტით უვლია – იგი აღწერს ან ახსენებს თითოეულ ციხესა და ეკლესიას. 13 აგვისტოს დ. ბაქრაძე კვლავ ყარსში მიბრუნებულია.

საველე კვლევა არდაგანის ოლქში (ისტორიული არტაანი) გაგრძელდა; დ. ბაქრაძე იქ 14-16 აგვისტოს იმყოფებოდა; დღიურში აღწერილია არდაგანის ციხე და მისი არაბული წარწერა, აგრეთვე ქალაქის იმხანად უკვე ნანგრევებად ქცეული ტაძარი; სოფელ ველში მკვლევარს უნახავს ეკლესია გუარამ კურაპალატის წარწერით, უმუშავია გოგიუბას ეკლესიაზეც.

დღიურში ჩართული მასალები ზეგანის ეკლესიის შესახებ 17 აგვისტოთი თარიღდება. შემდეგ დღეს, 18 აგვისტოს, დ. ბაქრაძე სწვევია წყაროსთავის საკათედრო ტაძარს, უნახავს შაითან-ყალა; 19 აგვისტოს მოუნახულებია სოფლები ურუთი და ინაძორი. მკვლევარი ამ კუთხეში რჩებოდა მომდევნო სამი დღის განმავლობაშიც; სხვა საკითხებთან ერთად იგი ყურადღებას ამახვილებს იქ მკვიდრ დუხობორებზე, თურქებზე, სომხებსა და ქურთებზე.


23 აგვისტოს დ. ბაქრაძე კვლავ ანისში მიემგზავრება. იგი ნაქალაქარში მომდევნო სამ დღეს – 24-26 აგვისტოს მუშაობდა და ყარსში სუბოტანის გზით დაბრუნებულია. საველე სამუშაოები 28 აგვისტოს დასრულდა (სურ. 2 და 3).

დღიურში არსებული მომდევნო ჩანაწერები 1886 წელს ეკუთვნის – აღწერილია გზა ბათუმიდან სოხუმამდე, რომელიც დ. ბაქრაძეს 9-დან 15 მაისამდე გაუვლია. ამის შემდეგ ჩანაწერები წყდება.

დღიურს დართული აქვს ქართველ მეფეთა ნუსხა მირდატიდან (364-391 წწ.) დავით VII ნარინის (1292-1310 წწ.) ჩათვლით, ასევე დადიანთა და გურიელთა მმართველობის ქრონოლოგიური მონაცემები. მომდევნო გვერდზე აღწუსხულია ზემო ქართლის შედგენილობა და საზღვრები ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით.

დ. ბაქრაძის დღიურის მნიშვნელობა საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციების მრავლისმომცველი კვლევისთვის საკლებით ნათელია. მომავალში განზრახული გვაქვს დღიურის სრული ტექსტის მომზადება გამოსაცემად – ეს უდავოდ მრავალი საგულისხმო სიახლის საწინდარია.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია დღიურის ის ნაწილი, რომელიც ნაქალაქარ ანისს და მის ქართულ სიძველეებს ეხება. ამ მასალების მრავალმხრივი მნიშვნელობა საკლებით ნათელია: მკვლევარს ყურადღება გამახვილებული აქვს იმ ძეგლებზე,



სურ. 3. დიმიტრი ბაქრაძის საველე დღიური. ხეგ, დ. ბაქრაძის პირადი არქივი, საქმე №32, ფ. 80r

რომლებიც დაკავშირებულია სამხრეთი კავკასიისა და ანატოლიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ გზავარედნიზე მდებარე მასშტაბური ქალაქის მრავლისმომცველ გარემოში ქართული ეთნოკონფესიური და კულტურული კვალის ძიებასთან, ანისის ეთნოკონფესიურ რეალიებთან მის თანაარსებობასთან.

დ. ბაქრაძის დღიურების გამოსაცემად მომზადება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული – წვრილი ხელით ნაწერი, მეტწილად შემოკლებებით გადმოცემული საველე ჩანაწერების გამართვა გარკვეულ ძალისხმევას და, ხშირ შემთხვევაში, სათანადო ალღოს მოითხოვს.

დღიურის ტექსტი იბეჭდება გარკვეული კორექტივებით: მკითხველისთვის ტექსტის იოლად აღსაქმელად გახსნილია შემოკლებები. პუბლიკაციას ერთვის მოკლე კომენტარები და განმარტებები. დღიურის ტექსტს დართული ჩანახატებიდან პუბლიკაციაში გამოყენებულ იქნა მხოლოდ არქიტექტურისა და ეპიგრაფიკის ამსახველი გრაფიკული ასლები. ეს ასლები დედანში, როგორც წესი, ტექსტის სტრიქონებს შორისაა მოქცეული. პუბლიკაციისას ისინი აშიებზე, შესაბამისი სტრიქონების გასწვრივ იქნა გატანილი უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის; თავად ტექსტში მათი ადგილი ვარსკვლავითაა მინიშნებული.⁸

შენიშვნები

- ¹ დუმბაძე 1950: 5–190; Чубинашвили 1973: 188–195.
- ² Бакрадзе 1855.
- ³ Бакрадзе 1878.
- ⁴ Казбек 1875: 1–140.
- ⁵ Бакрадзе 1877; გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წერილები ქვეყნდებოდა რუსეთ-თურქეთის ომის წინა ეტაპზე; ორი სახელმწიფოს დაპირისპირების პირობებში ჩნდებოდა საქართველოს ისტორიული სამხრეთი პროვინციების განთავისუფლების იმედი – ამგვარ ვითარებაში დ. ბაქრაძის ნარკვევები და წერილები, რომლებიც ოფიციალური პრესის ფურცლებზე ქვეყნდებოდა, მრავალმხრივ მნიშვნელობას იძენდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გ. ყაზბეგის ნარკვევი იყო „კეთილსინდისიერი დამკვირვებლის მიერ ჩატარებული მუშაობის ნაყოფი, მაგრამ მას აკლდა სათანადო მეცნიერული საბუთიანობა და სისრულე. ამ ხარვეზის შევსებას ისახავდა მიზნად ბაქრაძის საგამეთო წერილები“ (დუმბაძე 1950: 46).
- ⁶ ბაქრაძე 1880: 78, 80, 82; Бакрадзе 1880a: 1–4; Бакрадзе 1880b: 153–167; Бакрадзе 1881: 192–202; Бакрадзе 1884: 156, 157; Бакрадзе 1889: 1–33; იმ ვრცელ კომენტარებში, რომელიც ერთვის ვახუშტი ბაგრატიონის *საქართველოს ისტორიის* მისეულ გამოცემას და რომლებიც, ფაქტობრივად, საქართველოს ისტორიის შესახებ თავმოყრილ ნარკვევთა ერთობლიობაა, ჩართულია მასალები და დაკვირვებები ანისისა და მისი შემოგარენის თაობაზეც (გვ. 144, 149, 150, 156 და ა.შ.). ამ კომენტარებში დ. ბაქრაძე ხშირად უთითებს საკუთარ დღიურს („ჩემი დღიური“) და მის ნაწილებს/ნომრებს, აგრეთვე წიგნს გურიასა და აჭარაში მოგზაურობას რომ ეხება (შდრ. ვახუშტი ბაგრატიონი 1885). ამ პუბლიკაციის კომენტართა შორის ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ანისის წმ. გრიგოლის ეკლესიის თაობაზე (გვ. 144): „ბაგრატ III მივაწერტ ჩვენ კიდევ ორ მშვენიერს ეკლესიას: 1) ბარზმას ახალციხის მაზრაში... და 2) ქართულ ეკლესიას დიდ სომხეთში, ანის

ქალაქში. ეს ეკლესია აქამომდე შეცდომით არის ცნობილი ბერძნულ ეკლესიად; მაგრამ იმის ქვაზე შერჩენილა მხედრულ-ხუცური წარწერა, რომელიც პალეოგრაფიულის თვისებით უძველეს დროს (IX–X საუკ.) ეკუთნის და აგრეთვე შიგნითი ქართული მე–XII–XIII საუკ. მხატრობა, იმათ შორის წმ. ნინოს სურათი ქართულის წარწერებით. ვფიქრობთ, რომ ესე ეკლესია უნდა იყოს კაძეძრე ქართლის ეპისკოპოსის ანელისა, რომელიც აქ იჯდა, როგორც კარში (არზრუმში) და ალაშკერტში იმ დროს, როდესაც არაქსის ბასსენის ნაწილი ქართველების მეფეებს ეჭირათ და სადაც აქამომდე ადგილ-ადგილ დარჩენილია ქართული ეკლესიები ქართულის წარწერებითვე. ზემოდ-ხსენებულის ანის ეკლესიის ქვის წარწერა ძნელად იკითხვის, თუმცა ჩემის აზრით იგი შეიცავს ბაგრატის სახელს და ქორონიკონს სი 280–990 წელს. თვით არხიტექტურული მისი ხელოვნება მიემსგავსება ბარზმის ხელოვნებას (ჩემი დღიური, №4, გვ. 188)“. და შემდეგ: „უნდა ვიკითხოთ: ვისთვის იყო საჭირო ქართული საეპისკოპოსო კაძეძრეები დიდს სომხეთში? ჩვენა გვგონია, რომ ერთის მხრით ვიზანტიელების ხანგრძლივ მფლობელობას, მეორის მხრით თვით ქართველების ძალის გავრცელებას დიდ სომხეთში უნდა მიეზიდა იქ მოსახლენი ბერძენთა და ქართველთაგანნი, რომელთათვის საჭიროდ აღმოჩნდა სამი საეპისკოპო კაძეძრა. რომ აქ ქართველობა სახლობდა, ამის საბუთად მოვიყვანთ ერთ ფაქტს, რომელიც შემოაქვს თავის ისტორიაში ასოლიკს. ასოლიკი გვიამბობს, რომ დავით კურაპალატმა რაკი არაბებს ჩამოართო 996 წელს მანასკერტი, დაასახლაო იგი სომეხთა და ქართველთაგან. შესაძლებელია, რომ დიდის სომხეთის ქართველობა შემდეგ მონგოლების დროს ანუ ამოწყვეტილ იქმნა, ანუ განიდევნა საქართველოში. ცხადია, რომ ვალაშკერტად უნდა იგულისხმებოდეს აწინდელი ალაშკერტი ეფრატის ბასსენში, მაგრამ ვერ ვიტყვით, კარელი ყარსში იჯდა თუ არზრუმში, რადგანაც ქართველები

ერთსაც და მეორესაც თითქმის ერთ-გვარ უწოდნენ: ყარსი კარი, არზრუმი კარნი ანუ სომხური კარნი. არზრუმისა და ალაშკერტის ქართულნი ნაშთნი ჩვენ არ ვიცით, თუმცა ვფიქრობთ, რომ ალაშკერტის ქართულ კაქედრად უნდა ყოფილიყო აქამომდე დარჩენილი კალიზმანის მახლობლად, სოფელს ჩანგლში, ეკლესია, რომელსაც 1030 წლის ქართული წარწერა მოიხსენებს მონასტრად. გვაქვს დასამტკიცებელი საბუთი, რომ თვით ყარსში ყოფილა ქართული ტაძარი. ეს საბუთია ზემო ქალაქის შესავალის ალაყაფის კარის მაღლა ქვაზე საეკლესიო ორნამენტით და ძველის ასომთავრულის ასოებით წარწერა, რომელიც იხსენიებს აფხაზეთის მეფეთმეფეს – სახელი აღარ

იკითხვის. ეს ქვა უეჭველია უნდა ყოფილიყო ეკლესიისა, რომლის კვალი ახლა აღარსად ჩანს. ანის ეკლესია აქამომდე კარგად დაცული ჩვენ ბაგრატ III-ს ცხოვრების შენიშვნაში მოვიხსენეთ (ნახე ზემოდ, გვ. 144, შენიშვნა 1. – Онъ отиош. Арм. и Грузіи к Византии, стр. 87-90). გარდა ამისა ჩვენ ხელში გვაქვს სხვა და სხვა ყარსის მხარის მარებიდამ მიწის მზომელთაგან გადმოხატული აქა-იქ საგანლუგის ტყეებში გაბნეულს ნანგრევს ეკლესიებზე ქართული ძველის ალფავიტით ნაწერი წარწერები“ (იქვე, 149-150).

⁷ იქვე, 198.

⁸ მასალების პირველი გამოცემისთვის იხ.: ტრაპაიძე, ჯალალანია, სხირტლაძე 2016: 323-356.

ЭККУРСИЯ В АНИ



სურ. 1. ანისი. ნაქალაქარის საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

26 июля воскресенье.¹ Выезд в 7 утра в Ани. Три э(ки)п(а)жа: воен(н-ного) губер(натора) Александра Игнатъевича Гросмана с семейством, ст(аршего) помощника его Андрея Феликсовича Печковского, с сем(ей-ством), Степ(ана) Нес(теровича) Филонова и упра(вляющего) Ив(ана) Ст(е)п(анови)ча. На месте ждал Шурагельск(ого) окр(уга) нач(альник) Валериан Николаевич Шагубатов. Местность: до М(алой) и Б(ольшой) Ягны все подъем, затем спуск — до Ани. Видн(ы): Гельск(ий), Ардач(ина-кий), Чилдырс(кий) хребет; Алагез, даже Арарат: гр(о)м(а)дн(ый) конус; Саганлуг. Все это поверх подъема. Д(нем) прохладно, пасмурно. По мере спуска чувствит(ельная) жара: ясно сделалось. Только по возвращении дождь с перерывами до самого Карса. Мимо Ягны, Авлиар, Аладжи через Суботан. Разъяснял ход дел послед(ней) войны Ив(ан) Степанович, бывший участником. Посевы от спуска особенно часты. До перевала хлеба только зреют; от спуска ниже убран и высевается. Население: пришлое — армяне, греки из Цалки (NB); духоборов я зд(есь) перв(ый) раз встретил, их костюм напомнил немцев кол(о)н(и)ст(о)в (NB). Дорога проселочная, но для э(ки)п(а)жа ничего, хотя камни: местами д(аже) трясло. Расстояния: с лишком 45 в(ерст) (даже до 50). В 12 ч(асов) были там. За-

стали Шагубатова с сем(ейством), пом(о)щника окр(ужного) нач(альни-
ка) кн(язя) Макаева с женой и елизавет(польского) полко(вого) ком(а)
нд(и)ра... Опять местность: (NB). Развалины открываются за неск(олько)
верст от спуска (სურ. 1). Арпачай в глубокой трещине как бы опоясыва-
ет. На прот(ивоположном) берегу третий наш пост. Через ворота длин-
но-протягивающиеся ограды... Лев из тесан(ного) камня: арки прелест-
н(ые). Во внутр(еннем) помещении, на стене крест ◆ старой формы.²



Зала соседняя, где расположились: на массив(ных) столбах, нижий
этаж глуб(о)к(ий), из тесан(ых) же камней; Минарет высок(ий), вну-
тр(енний) подъем 46 ступеней: Это минарет, вероятно, турок-сельджу-
ков (სურ. 2). Второй уже разв(алился) не так давно. На зале снаружи
надписи: сверху сначала ар(а)бск(ая), дл(и)н(ная), потом ниже куф(и)-
чес(кая), потом груз(инская):

ԿԻԿԵՏ ԶԴ ԾՌԳԼ
ՆԵՆԾԻՇԻ ԴԵՅԻՄԵՆԵՐԵՐԵՐ

Почерк XIII века. 1288?³

Затем арм(янская) поздняя и т(у)р(е)ц(кая).

Осмотр кафедральн(ого) собора (სურ. 3). Масса надписей снару-
жи. Нет купола: разв(али)лся; прав(и)л(ьный) и величеств(енный) вид.
Колонны многогранные. Алтарь поднят на две ступ(ени).⁴ Ризница и для
проском(и)д(ии), отделен от алтаря. Но резн(ое) основание или цоколь
для преграды уцелел... Входы на верх с двух сторон. Крест правиль(ны)
й видится...Снаружи восточн(ый) фасад не видится, как в гр(у)з(инской)
церкви), но ниши в верхн(их) частях в замечател(ьных) узорах. Фас(а)д
укр(а)ш(е)н крестом резным. Вообще резьба тонкая, замечательная, как
в лучших груз(инских) церквях X-XI в.

Затем осмотр церкви, именуемой Греческ(им). Ошибк(а). Она на



სურ. 2. ანისი. მანუჩეს მეჩეთი. ხედი
აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია

скате к Арпачаю. Сохранилась хорошо. С куполом. Резьба напоминает резьбу кафедральн(ого) собора.⁵

Притвор разрушился, придел в жив(о)писи. Колонна капители во вкусе кажется коринфс(ким). Этого нигде не видел, ни в кафедральн(ом) соборе. Внутри двойные ниши вправо и влево.⁶ Кр(е)ст сл(а)бо рассм(а)тр(ивается): ниши алтар(я) у стен подняты на ступенях: монахи здесь читают арм(янскую) службу. Пред алтарем могильный камень с груз(инской) надписью:⁷

სფხტზტ
ნსტჟიჲჟ
სტტყსს: ყნინ⁸

Снаружи, на стене притвора тоже груз(инские) и греч(еские надписи).⁹

В приделе Б(ожья) М(атерь) с Предтечей. Мл(а)д(е)нец в Лоне.

В правой от зрителей, нише, передней: **ჰიჯტზუჟტჟი თბსტ ი ტისტ**

В левой **უტ** (Имя)... **ჰ...**¹⁰

Четыре евангелиста в основании купола по углам, как они обыкновенно пишутся в груз(инских) церквях, многие с гр(е)ч(ескими) и гр(у)-з(инскими) надп(и)с(ями).

В алтаре ряд святителей в облачениях, с надп(исями) груз(инскими) и под ними греческ(ими). В числе их я разобрал (хуцури к(о)неч-но) **წმ სილიბისტრო, წმ ათანასე, წმ იეოქროპირი, წმ ნიკოლოზ, წმ გრიგოლ პართეველი, წმ ლეონტიოს, წმ ალექსანდრიელი.**¹¹ ♦

Во второй нише, влево изображение св. Нины с молитвенно рас-простертыми руками: пред ней семь женских фигур. Пред Ниною **ჰა ნინა**; пред женскими фигурами:

თბტნი: ჰუნა
თტყჟტუნტნ...
ჰნტტტტ უტუნ სტსტტტტტტტტ ♦

Вправо на столбе:

ჰა სჟტტტ
ჰ...ტტტტტტტტ?

В первой правой нише, прямо:

ჰუ: ტტტტ
ტუნ: ჰა: უტტტტტტტტ
ტტ: უტტტტტტტტ ♦

Ниже еще надпись. Без лестницы или же смытая:

? **ჰ...ტტტტტტტტ**
ტტტტტტტტტტტტ
ტტტტტტტტტტ: ტტ: უტტტტ¹³

Над входом в ц(е)рк(о)вь архангел Михаил, поясн(ое изображение) с крыльями **ჰტუ**.

ჰა უტტტტტტტტ

თბტნიჰუნა
თტყჟტუნტნ
იხუტტტტტტტტ
ტტტტტტტტტტტტ
სტსტტტტტტტტ

ტ... ხტტტტ
თტ ტტტტტტტტტტ



Во второй нише прямо к входу медальон Спаса в крестовом нимбе. Под ним нарисованы в воен(ных) костюмах **ՔՉ ԼԴ ՔՉ ԳԺԴ**.

Живопись вообще в чисто гр(у)з(инском) вкусе, довольно хорошо сохранившаяся; надписи по характеру букв едва ли XI в. позднее. Как будто напоминают характер букв надписей в зале (სურ. 8).

Не была ли эта церковь кафедрой Груз(инского) епископа Анели? Что г(ово)р(и)тся в арм(янских) надписях на стенах. Одно из двух: или эти надписи сделаны позже (как будто они свежее. По крайней мере, так мне показалось), или церковь первоначально построена армянами, а расписана, когда Ани был во владении гр(у)з(ин).¹⁴

23 авг(уста), воскресенье. Выезд в 12 ч(асов) дня в Ани. По направлению к Визинаксю. Перед сим, 26 июля (см. стр. 138), мы поехали туда другим путем. По мере того, как мы подымались, подъезжая к Визинаксе, пред нами стала открываться позади нас хребет отделяющий Тахтинский и Зарузидск(ий) округи. Это массив, подымающийся несколькими уступами. Карс расположен на скате последнего уступа. Этот массив служит границей Олтинс(кого) окр(уга), Голя, Чилдыря со включением Чилдир-геля и Ах(а)лк(а)л(а)ск(ого) уезда. Он служит продолжением с одн(ой) стор(оны) Саганлугс(кого) хребта, с другой Бамбанских гор.¹⁵

Подъем (от Карса к Аладжу) которого продолжение составляют Авлиар, Б(ольшие) Ягны и Малые Ягны, столь известные в последнюю войну, довольно чувствителен и Карс со всеми своими домами и укреплениями с цитадель(ю) и окружающими его фортами весьма явственно

სურ. 3. ანისი. საკათედრო ტაძარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია



სურ. 4. ანისი. მაცხოვრის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია



обрисовывается. М(алые) и Б(ольшие) Ягны расположены на противоположн(ом) скате обращенном к Александроп(олю) или впадине; вот почему они с этой стор(оны) представляются и выше и грознее, чем со ст(ороны) Карсск(о)й плоскости. На возвышен(ости) Аладжи открылся вид на Александрополь, на цепь гор Алагеза, к(оторый) представляется в виде трех-голового пика,¹⁶ с клочками снега местами. Арарат открыл на минуту свою вершину и затем скрылся. Мы проехали мимо развалин ст(а)рой армянской церкви из тесаного камня — белого и черного, в форме \blacklozenge . Длина и ширина ее — внутри 10 шаг(ов). Глубина ниш каждой — 3 шага. С восточн(ой) стор(оны) окно под \blacklozenge в красках. Он(а) имела купол, обрушившийся. Внутри, на камне на зап(адной) стене арм(янская) надпись, сделанная кармином, но полусгладившаяся. Внутри, в востчн(ой) нише, осколок резного креста на кучке камней. Здесь развалины кругом, в к(оторы)х армяне летом про(во)дят время.

Мы выехали в Ани в $\frac{1}{2}$ 10 ч.¹⁷ при лунном свете через деревеньку того же имени, по дороге, искусственно пробитой, пред входом в деревню, в скале. На ночлег расположились в помещении монахов, которые недавно перебрались сюда из Хоша-ванкь — их двое — и уже успели построить дом, хотя еще недоконч(ен)н(ы)й и неудобный. Здесь застали мы трех армян, приехавших из Александр(ополя), в фургоне. Из слов их мы узнали, что время от времени приезжают сюда армяне для того, чтобы полюбоваться славною столицей древней Армении. Это конечно, делает им честь, но не делает им чести то, что они при своих средствах не хотят помочь бедным монахам поставить скольконибудь приличных комнаты, где бы приезжающ(ие) могли иметь кров.

24 августа, понедельник. В $\frac{1}{4}$ 8го утра взглянул на величественный кафедральный собор, имеющий план \blacklozenge , равно и на церковь, похожую на двух-этажную кругл(ую) башню (სურ. 4), имеющую план \blacklozenge , в к(оторо)й в своде алтаря И(исус) Х(ристос) сидит на троне в крест(овом) нимбе, благословляя правою, к(оторого) не видно, и левою держа раскрытое евангелие (с арм(янскими) словами). Фрески прекрасны, хотя сглажены. Она имеет возвышение алтаря. Осмотрел еще церковь с высоким многогран(ным) куполом, на краю обрыва, где находится стар(ый) ряд искусств(енных) пещер с башням(и) на дне, с резьбой размахист(ого) стил(я) и карнизом с плетени(ем), с циферблатом на пр(е)жн(ем) стил(е) с арм(янскими) цифрами (план церкви).¹⁸ \blacklozenge

Затем снова снял надпись груз(инскую) на стене залы или мечет(и) и минарета:

ქსტფქტტტტტ
სტტტტტტტტტტტტტ¹⁹

Приступил к осмотру грузинской церкви, к(оторая) меня всего больше интересовала. Она лежит на скате, опускающемся в ущелье Арпачая на юго-восток от главного храма. Она скрывается от вашего взора, пока вы не подошли к верхн(ей) части обрыва. Ее окружает стена или ограда на довольно больш(ом) прост(ранст)ве, вся из разноцветн(ого)



тесаного камня.²⁰ От самого южн(ого) фасада она спускается к Арпачаю, заканчиваясь трех-ярусной башнею, на камнях кот(орой) часто встречается знак или буква А; надписей никаких. Против башни на поле подъем к церкви, видишь пещеру на сводах, опирающихся на столбы. Восточная оконеч(ость) ограды состояла из жилья в виде двух высоких башен, связанных между собою. На самом краю крест резной в затейлив(ых) узорах. Под одной из них род нижн(его) этажа на своде и из него спуск вниз. У спуска вправо, по стене правой башни крест в узорах и под ним: ◆. За этою башнею глубокая четырех-угольн(ая) яма в белой штукатурке, вероятно амбар.

Церковь. Запад(адный) фасад (სურ. 5). Придел и нартекс на столбах. В приделе, в своде алтаря Б(ожья) М(атерь) Шире Небес в нимбе и руками распростертыми. В лоне ныне лишь голова Предтечи, Младенца в Крест(овом) нимбе. По сторонам два святых. Нижний ряд святых сглажен. Крайний справа (от зрителя) ԲՅ ԴԼ.

В нартексе удержались лишь два столба с капителями в резьбе. В своде арки между столбами слева Оа YZOCНMAC, справа Оа КЛНМАНОС ԿԴ.

После арки над входом в придел Б(ожья) М(атерь) в нимбе сидит; слева три святых с нимбами и в бородах; Справа святой и ангел в виде тетраморфа полусглажены. Вход в самую церковь. Две фальшив(ые) ниши по сторонам поля в арке. Свод трех уг(ловых) ниш и самый свод арки в резьбе. Под самой аркой окно в узорах ◆. Слева от окна Успение Б(ожьей) М(атери) МՐԹՅ, ниже этой надписи: ԼԳԴԻԼԾԾԴԼԿ... (სურ. 6); справа: Распятие на кресте в форме ◆.²¹

სურ. 5. ანისი. წმ. გრიგოლის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

ՌԻԴԵԻՆԻՅԱ



სურ. ნ. ანისი.
წმ. გრიგოლის ეკლესიის კარიბჭე.
საფლავად დადება . 1910-იანი წლების
ფოტო






სურ. 7. ანისი. წმ. გრიგოლის ეკლესია.
ღმრთისმშობლის მიძინება, დეტალი.
1910-იანი წლების ფოტო



სურ. 8. ანისი. წმ. გრიგოლის ეკლესია.
მეფე თრდატის ნადირობა. 1910-იანი
წლების ფოტო

Над самую дверь в арке И(исус) Х(ристос) без бороды, в крест(о-вом) нимбе и два ангела по сторонам. Под аркой, в своде, сверху греч(е-ская), снизу грузинс(кая надпись):



Греч(еская): ...ΟΡΟΒΗ : ΣΗ [-]ΣΡΚΣΠΗΦΩ ΚΨΕΗ ΓΑΠΙΣΑΣΜΠΡΕΠΣΝ
ΟΙΚΚ[-] ΚΑΙ ΤΟΜ ΣΚΙΝΩ ΜΑΤΟΣ ΔΟΞΗΣΟΚ.


Грузинс(кая): უსე : ტის : ვღე : ძა : ზც : ჭტაღტზენ :
ყუთუზენცხ : ტატს : ყნც :

В левой нише св. Жены.

В правой: головы святых, в числе их два инока с острокопне(чными) клобукам(и).

На запад(ном) фасаде под углом фронтона на камне Крест, выветрившийся: сохранилась одна форма его. Вот он с надписью: ◆

ზ... სჭოცგზუნიჭჭოძ ელქაჭფისისქიქი²²



სურ. 9. ანისი. ნაქალაქარის
ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი.
გამოქვაბულები. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია



Южн(ый) ф(а)с(а)д. Восемь фальшив(ых) ниш в арках в резьбе. Над средн(ими) двумя нишами окно в узорах и ниже под \blacklozenge . Поля последних трёх ниш с арм(янскими) надписями и на краю:

† ԲԵՂԵՆ | (шов) ՄԻՆԻ

Фронтоны высоки, не соответствуют размер(у) корпуса.

Восточ(ный) ф(а)с(а)д. Пять арок в узорах. Только шестое большое окно \blacklozenge прост(ой) ...²³ Своды двух ниш в узорах.

Сев(ерный) ф(а)с(а)д. Десять арок. Между двумя средними по одной фальшив(ой) нише. Над двумя \blacklozenge в узорах. Такие же узорчатые арки и своды ниш.

Барабан многогранный с арками в узорах. Выше пояс широкий, резной. Карниз барабана узорчат, корпуса и фронтона желобчаты. Креста формы церк(овь) не имеет, как и главн(ый) собор. Лишь фронтоны напоминают форму креста.

Внутр(ен)н(о)сть. На могильн(ом) камн(е):

**ՂԵՂԲՆԻԴԿ
ԲՄԵԼ – ԸԶԴԻԵԼԻ
ՂԵՇԸՊԼԵԴ : ՄԲ ՈԲ²⁴**

Внутренний план: \blacklozenge длина 17 арш(ин); ширина 10 арш(ин); глубина ниш 2 арш(ина).

სურ. 10. ანისი. ციტადელის ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია



სურ. 11. ანისი. ციტადელი, გუმბათიანი
ეკლესია. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია



სურ. 12. ანისი. ქალწულთა მონასტერი.
საერთო ხედი. დ. ერმაკოვის
ფოტოკოლექცია





სურ. 13. ანისი. ციტადელი. მცირე გუმბათიანი ეკლესია. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

В своде купола И(исус) Х(ристос) в крест(о)в(о)м нимбе на троне, без бороды, благословляет по греч(ески), сложив руки. Под ним, до основания купола, два ряда святых. В своде алтаря стерто... Под... тоже два ряда. Ниже по шесть святителей в обл(а)ч(е)ниях (см. стр. 139).

В левой нише, вверху Б(ожья) М(атерь); олень; ниже влево от окна Сошествие И(исуса) Х(риста); Он без бороды в крест(о)в(о)м нимбе; вправ(о) какие-то женщины с детьми. Костюм одной интересен. Ниже მიცვალები (სურ. 7). На стене столба (с) западн(ой) стороны К(онстантин) и Елена, между ним ♦. Ниже в медальоне Спас с легк(о)ю бородою в крест(о)в(о)м нимбе бл(а)г(о)сл(овляе)т по греч(е)с(ки). Под ним св. Георгий и Феодор. см. стр. 139.

Против, в правой нише: полуст(е)рто в пол(о)в(ину). На столбе Илья приобщ(ае)т кого-то из чаши ложкою. Оба в нимб(ах).

В прав(ой), последней нише от входа сцены из мученичества св. Григория и крещения им народа.²⁵

По моему мнению, церковь не греч(е)с(кая) и не грузинск(ая), а чисто армянск(ая), но когда она перешла в руки Грузин, то была расписана ими, и с западн(ой) стороны пристроены ими придел с нартексом: это чисто в грузинск(ом) вкусе.²⁶ В чисто арм(я)нс(кой) ц(е)рк(о)вной




архитектуре их не нахожу. Что они пристроены позже это видно: там, где нартекс обрушился, обнажилась стена из тесаных камней и арка резная, что бы не могло быть если бы...²⁷ Самый камень с груз(инской) надп(исью) на зап(а)дн(ом) ф(а)с(а)д(е) д(олжно) б(ыть) вставлен позже. Надпись Натели на юж(ном) ф(а)с(а)д(е) вероятно вырезана позже. Впрочем, посмотрим, что выяснят арм(я)нс(кие) надписи имеющиеся на зап(адном) фасаде.²⁸

Вообще стиль церкви тот же, что и главн(ого) Собора. Он древнее по моему мнению. Главн(ый) Собор лишь развитый и более укр(а)ш(ен)-н(ый). Точно тоже следует (сказать) о глав(ной) Пенакской церкви. Она дальнейшее развитие других церкв(ей) в Пенакском ущелье. То же и здесь.

25 августа, вторник. В ½ 8 утра я (ехал) мимо мечети с минаретом (где о 3-х ст(ол)б(ах) и где м(е)ч(е)ть на 4х рядах массивных столбов — по 3 — своды из разн(о)ц(ветных) камней) в Вышгород в юго-зап(адной) оконечности г(о)р(о)да. Дорога по высокой колючей осоке, которая одна здесь растёт густо и для лошадей не годится и по углублениям руин с массой камней трудно ступать. С Вышгорода вид открыт кругом: К В(остоку) Алагез в парах, к(акой)то массивный хребет тянется в северн(ом) направл(ении). На С(еверо)-З(ападе) Большой Авлиар отдельным с усечен(ным) конусом и траншеями соединен с Аладжинск(им) хребтом. На юге отделен(н)ою в виде сахарной головы вид(нее)тся “.....”²⁹ Ближе два холма.

Г(о)р(о)д со всех сторон — за исключ(ением) части сев(ерной) стороны — окружен изв(и)л(и)стым, глубоким, скалистым оврагом, наполненным множеством искусств(енно) выдо(л)бл(ен)н(ых) пещер (ზუზუ. 9). В юго-восточ(ном) овраге шумит Арпачай. Передо мной на неровн(ых) равнинах и у обрывов лежат знаменитые остатки величия г. Ани: башни, ц(е)рк(о)вь 3х ярусн(ая), к(оторую) я осмотрел вчера; ограда с башнями и постройками полукругом тянется от В(остока) на З(апад), ч(е)рез к(о)торый) обыкновенн(о) въезжали в город. Между мечетью с минаретом и башней ц(е)рк(ви) в юж(ной) части (находится) тяжелый корпус Кафедр(альной) Ц(е)ркв(и). Далее у обрыва, в сев(еро)-зап(адной) части, недалеко от мечети с м(и)н(а)р(етом) церковь с шестигранн(ым) к(о)рп(у)с(о)м.³⁰ Вышгород на отдельн(ом) возвышении, неб(ольшая) круглая площадь, вся в руинах глубоких, окруженный оградой из тес(а)ного камня. В южной части вышг(о)р(о)да разв(а)лины однонефной ц(е)рк-в(и) из массивн(ых) тесан(ых) камн(ей) с коробов(ым) сводом и двумя пристройками с обеих сторон во всю высоту (ზუზუ. 10). Удержалась в(осточная) часть стены со сводом. Южн(ая) пристройка со следами фресок в небе левой ниши. В самой церкви лишь две стены — сев(ерная) и южн(ая). План его ◆. Пилястры и поля между ними из самого чёрного базальта в резьбе. Капители и своды из красноватого камня. Карниз по фронтому западн(ого) фасада замеч(а)т(е)л(е)н: шир(о)к(ий) стиль. Под ◆ арм(янская) надпись полувыветр(и)вш(аяся). Длина 16 шаг(ов), шир(ина) 7 шаг(ов). Сам(о)й абсид(ы) не сущест(вует), хотя замет-



но возвышение алтаря (на пилястрах: грани в плетениях и верхи их в кружалах и...). Крайний пилястр южной пристройки имеет капитель в листовой резьбе. Тоже и продолжение его, служ(а)щее полукружием ниши. В листве капители четыре мелких ч(е)л(о)в(е)ческ(их) фигуры. Под карнизом на южн(ой) стене, старая, широким устав(о)м арм(ян-ская) надп(ись). Спускаюсь на нижн(ий) уступ или 1й уступ. Ниже его еще обрыв и пот(о)м Арпачай. Южн(ая) окраина этого уступа имела ц(е)рк(о)в(ь) пр(е)л(е)стн(ую) с прекрасн(ым) плетением по карнизу. Как видно, она была шести нишная. Держится часть западн(ой) ниши и свод входа в ар(а)бск(ом) стиле. Ниже, на самом обрыве, полукругом идет стена ограды, вся из тесан(ого) камня. — Вообще все здесь из т(е)сан(о)-го камня: чтоб не повторять. Ниже, у юго-восточн(ой) ограды церк(овь) с куполом, сов(е)рш(е)нно круглым (карниз его в пл(е)т(е)н(и)и), но с корпусом шести гр(а)нным и с наружн(ыми) нишами, без арок (სჯტ. 11). Множество армянс(ких) крест(о)в в кружаках: они пр(е)л(е)стны. Надпись широк(им) уставом арм(ян)ская, над южн(ым) входом. План: ♦ пилястры почти остро выступают в круг. Над сводами ниш сейчас лежит купол. Двойные своды. Между верх(ними) и нижн(ими) сводами в углах человек(е)ск(ие) головы, грубые как в гр(у)з(и)нс(ких) (см. стр. 149). Длина 11 шаг(ов), углубление ниши по 3 шага. Ограда идет и ниже по ближайшему обрыву Арпачая. Ц(е)рк(о)вь эта имеет и свою отдельн(ую) ограду. Ц(е)рк(о)вь лежит по крутому скату. Далее от нижнего обрыва высокий продолгов(а)т(ый) мыс, на к(ото)р(о)м виднеется ц(е)рк(овь) с высоким фронтоном. Купола или не было, или он обрушился. Доступа к ней с этой стор(оны) не видать (სჯტ. 12).



Поднимаюсь на тот же уступ. Ц(е)рк(о)в(ь) с куполом. Она видна из моего жилья. Купол ее соверш(е)н(но) круглый, с карнизом из плетения. Крыша из кам(е)н(ных) плит, как на всех других, как арм(ян)с(ких), так и груз(и)нс(ких) ц(е)ркв(я)х. Имеет высок(и)й корпус с четырьмя фронтонами. План ея: ♦ Купол покоится над сводами ниш. Ниши очень высоки. Над южн(ым) входом листов(енная) резьба. Рамы двер(ей) в резьбе. Надписи стр(оител)я не видать. На камне между камнем в стене и рамой вырезано Ав. (вероятно Авивь). Карниз фронтона в плетении. Она имеет форму креста, но сев(ерный) и южн(ый) р(укав)а слабо выступают. Наружн(ые) ниши имеют своды с плетением (სჯტ. 13).



26 авг(уста), среда. В Ани живет один только монах из Александрополя Нерсес. NB. Насчет средств на постройку дома в Ани — требуется 500–600 р.

კომენტარები

- ¹ მინაწერი მარჯვენა აშიაზე: Экскурсия в Ани. Вид на Карс: весь на виду, со своими укреплениями NB.
- ² მინაწერი მარჯვენა აშიაზე: Развалины в земле: серого к(а)мн(я). Здания сохранились в целости. Монахи: двое поселившихся из Хоша-ванка. Дом ими устр(ое)н, хотя без разрешения, но просил разрешения у губер-н(атора).
- ³ მინაწერი წარწერის ტექსტის გასწვრივ, მარჯვნივ: надпись эта исправлена, см. стр. 187.
- ⁴ მინაწერი მარჯვენა აშიაზე: Солея полукр(у)г(лая) и выше преграды алтаря.
- ⁵ მინაწერი მარჯვენა აშიაზე: Вост(очный) фасад тоже не видится. Снаружи много арм(яnskих) надп(исей)... NB.
- ⁶ ზემოდან წვრილად აწერია: под аркой, фальшив(ые).
- ⁷ მინაწერი წარწერის ტექსტის გასწვრივ, მარცხნივ: надпись исправлена. См. стр. 188.
- ⁸ მინაწერი წარწერის ტექსტის გასწვრივ, მარჯვნივ: еще раз проверить по возвращении из Олти(си).
- ⁹ მინაწერი მარცხენა აშიაზე: В притворе две ниши; петух в резьбе.
- ¹⁰ მინაწერი მარცხენა აშიაზე: Столбы отдельно стоящие от стены.
- ¹¹ ფრესკული წარწერების გადმონახატი ასლები მარცხენა აშიაზე, ფანქრით: NB. Вправо (от зрителя) в алтаре пр(отив) пр(е)ст(о)ла **ԲՆ ԴԻԳԵԿԸ** в таком же обл(а)ч(ен)ии, как остальные святители восточ(ной) ц(е)ркв(и).
Поч(е)рк:
ՅՄԾԸԿԻՆԻ
ՇԸԿՁՄԸԿԸ
ՂԵԴՄԿԸԿԸ
ԳԸԳԸԿԸԿԸ
ԼԸԿԸԿԸԿԸ
Рядом во второй нише:
Ը...ԳՂԿԸ
ՇԸԸԸԿԸԿԸ
- ¹² მესამე სტრიქონი მიწერილია მარჯვნიდან, რამდენადმე ნაჩქარევი ხელით; რჩება
- შთაბეჭდილება, რომ წარწერის ტექსტი დამატებითი დაკვირვების შედეგად დაზუსტდა და შეივსო.
- ¹³ ამის გასწვრივ აშიაზე მიწერილია: NB проверить.
- ¹⁴ მინაწერი მარცხენა აშიაზე: Что мы знаем о периоде груз(инского) владении Ани, Карсом и Эрзерумом... Из сведений армянских, груз(инских), мусульман(ских) и византийских что нам известно... Груз(инские) церкви на арм(янской) территории.
- ¹⁵ მინაწერი მარცხენა აშიაზე: Высота этого хребта при спуске из Чилдыра кажется незначительною и нечув-ств(и)т(е)льн(ой). Только позже я понял, почему он д(олгое) в(ремя) послужил этнограф(ической) гран(и-це)ю между Арм(енией) и Грузией. Гр(ани)ца эта и теперь явственна очень: тип развалин ц(е)ркви?
- ¹⁶ ამ ადგილზე ჩახატულია მთის მცირე ზომის გრაფიკული გამოსახულება.
- ¹⁷ მარჯვენა აშიაზე მიწერილია: об Ани обст(о)ятельно см. А(согик)? и стр. 130.
- ¹⁸ ავტორს უცდია ეკლესიის გეგმის ჩახატვა. აქედან სამი ჩანახატი გადახაზულია; მეოთხე, გადაუხაზავად დატოვებულ ნახაბთან მიწერილია: Столбы в резьбе капители.
- ¹⁹ მინაწერი მარცხენა აშიაზე, ფანქრით: **ՄԾՁ = 508 = 1288; Եր(ո)սսე** полагает: **ՂԻ/ՄՁ = 408 = 1188. V(oyage) Arch(éologique), N. Khanykof, p. 139-141; Mel(anges) As(iatiques), II, 62, 74.**
- ²⁰ მინაწერი მარცხენა აშიაზე: Южная часть ограда тоже заключала в себе аппартаменты, но обрушилась. Одна лишь осталась стена.
- ²¹ იქვე, ძირითად ტექსტთან მიჯრით, მარჯვენა აშიაზე ვერტიკალურად, წვრილად მიწერილია: **ՄԿԾ | ՂԿԸԸ**. Слева Б(ожья) М(атерь), Справа Иоан(н). Над лев(ым) перекрест(ием) ангел. Никодим снимает Х(рист)а со креста. Под ногами череп с разинутою пастью.
- ²² მინაწერი ნახატის მარცხნივ, მის გასწვრივ, ფანქრით: **ძლევის მალვის? მომგმი მეფე ბგრტი ლპრტ მჭედ ტგრან მფისა ქრნკ სი.** მინაწერი მარჯვნივ, ფანქრით: переходит на 2ой кл. **Լპրտ? ՄԷ.**



ანისი XIX საუკუნის მიწურულს: წმ. გრიგოლის ეკლესიაში მართლმადიდებლური ღმრთისმსახურების აღდგენის და მონასტრის დაარსების ცდები

ანისში ქართველთა მფლობელობასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ სიძველეთა შორის ერთ-ერთი, ამასთან მრავალმხრივ გამორჩეული ძეგლი – წმ. გრიგოლის ეკლესია (უფრო მეტად ცნობილი მისი ქტიტორის – ანელი მოქალაქის, ტიგრან ჰონენცის სახელით) (სურ. 1 და 2), საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა სამხრეთი კავკასიისა და მცირე აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ქალაქისა და მისი შემოგარენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მართლმადიდებლურ სასულიერო კერად.¹ ყოველივე ამის გათვალისწინებით, მით უფრო უჩვეულოდ ჩანს ის გარემოება, რომ გვიანი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ეკლესიის შესახებ, ფაქტობრივად, არაფერია ცნობილი. XIX საუკუნის მანძილზე ანისი მიტოვებული რჩებოდა. მისი ნაშთების ხილვა მუდამ განაწყობდა მოგზაურებსა და სწავლულებს² – მას იმხანად *სომხეთის პალმირად* მოიხსენიებენ.³ ასეთი ვითარებაში მის ისტორიასთან დაკავშირებულ, დღემდე უცნობ მონაცემებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება საქმე, რომელიც წმ. გრიგოლის ეკლესიას ეხება (ფონდი 489, №41781). საქმე წარმოებდა 1884-1892 წლებში. ეს ის დროა, როცა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ისტორიული ტაო-კლარჯეთი და მისი მიმდებარე ტერიტორიები რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა.⁴ რეგიონის ოლქებს განაგებდნენ სამხედრო გუბერნატორები, საეკლესიო საქმეების წარმართვა კი საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაეკისრა.

საქმეში არსებული საბუთები (სულ ოცდაორი ერთეული) ცხადყოფს, რომ საკითხისადმი დამოკიდებულება და, შესაბამისად, პროცესის მიმდინარეობა არ ყოფილა თანაგვარი: იგი ინტენსიურად წარმართებოდა 1884-1885 წლებში, განსაკუთრებით 1885 წლის პირველ ნახევარში; შემდეგ პროცესი შენელდა და კვლავ გააქტიურდა 1888-1889 წლებში; ამის შემდეგ, 1891 წლის ჩათვლით, იგი პერიოდულად განახლდებოდა ხოლმე.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ საქმეში მასალები არათანმიმდევრულადაა აკინძული – შედარებით გვიანი ხანის საბუთებს ენაცვლება უფრო ადრეული პერიოდისა; თუმცა კი, მათ ქრონოლოგიურ რიგზე გაწყობისას ჩნდება საკმაოდ თანამიმდევრული სურათი სასულიერო წრეების მცდელობებისა ანისში მართლმადიდებლური საეკლესიო ცხოვრების განახლებისთვის, აგრეთვე ადმი-



1. ანიისი. წმ. გრიგოლის ეკლესია XIX საუკუნის მიწურულს. დ. ერმაკოვის ფოტოკოლექცია

ნისტრაციული მმართველობის წარმომადგენელთა ინდეფერენტულობისა და ნაკლები დაინტერესებისა.

საბუთების მიხედვით ჩანს, რომ ამ საქმის ინიციატორი და დიდად მოსურნე იყო მღვდელმონაზონი დოროთეოსი (გვარად სიომანიდი) – პერისტერას წმ. გიორგის მონასტრის მოწესე, რომელიც, როგორც საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, 1870-იანი წლებიდან მოყოლებული, იმყოფებოდა რუსეთის იმპერიაში; თუ სად – ცნობილი არ არის. საარქივო მასალების მიხედვით არც ისაა ნათელი, – იგი თავად იყო ამ განზრახვის წამომწყები, თუ მის უკან იდგნენ სხვებიც, სახელისუფლო ან სასულიერო წრეებიდან.

პერისტერას წმ. გიორგის მონასტერი (ბერძნ. Ιερά Μονή του Αγίου Γεωργίου Περιστερίται; თურქ. Kuştuş Manastırı), სუმელას და ვაზელონის მონასტრებთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა ისტორიული ლაზეთის (პონტოს) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სასულიერო კერად. იგარაუდება, რომ მისი სახელდება უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან peristevri – მტრედი. გადმოცემის თანახმად, მტრედების გუნდი, მოფრენილი სურმენას ტყეებიდან, წარუძღვა სამ ბერს, რომლებიც მიაბრძანებდნენ წმ. გიორგის ხატს იმ ადგილზე, სადაც მონასტერი უნდა დაფუძნებულიყო.

მონასტერი სოფელ შიმშირლის (თურქ. Şimsirli) ახლოს, მაჩკას რაიონში, ტრაპიზონის პროვინციაში, ქალაქ ტრაპიზონიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით ოცდაათი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს (სურ. 3 და 4). მისი ისტორია ნაკლებად ცნობილია. მონასტრის დაფუძნება ივარაუდება 752 წელს. იგი გაძარცვულ და მიტოვებულ იქნა 1203 წელს და ხელმეორედ აღდგა 1393 წელს, ტრაპიზონის იმპერატორ მანუელ III-ის (1390-1417) განგებით. არსებობს მინიშნებები, რომ განახლების შემდეგ იქ ლაზები მკვიდრობდნენ: შემთხვევითი ვერ იქნება ის გარემოება, რომ მონასტრის წინამძღვრები გარკვეული პერიოდისთვის იყვნენ თეოფანე ლაზი (Theophanes of Lazia – 1393-1426), ბარნაბა ლაზი (Barnabas of Lazia – 1426-1449), მეთოდე სურმენელი (Methodios of Sourmaina – 1449 წლის შემდეგ). ამასთან დაკავშირებით ისიცაა ნიშნული, რომ XVI საუკუნის დასაწყისისთვის ადგილობრივ მფლობელად იხსენიება ვასილ ლაზი (Vasil Lazias).⁵ XV საუკუნის დასაწყისში შეწირულობებით გაძლიერებული კერა მოგვიანოდ, 1462 წელს, ნაწილობრივ დაზიანდა – იმხანად დამარბევლებს გაუტაცებიათ ქონება და სიწმინდეები. მონასტრის საქონებელი ასევე დაიღუპა 1483 წლის ხანძრის დროს.

მონასტრის წინამძღვრის – ეგზარქოსის განმგებლობაში შედიოდა პერისტერას შემოგარენის რვაასამდე კომლი. მონასტერს ტრადიციულად მრავალი პილიგრიმი მოილოცავდა.

სამოწესეო ცხოვრების აღმავლობის პერიოდში კომპლექსი

2. ანისი. წმ. გრიგოლის ეკლესია დღეს





3. პერისტერას წმ. გიორგის მონასტერი, საერთო ხედი სამხრეთიდან

4. პერისტერას წმ. გიორგის მონასტერი



ორ ასეულამდე სენაკს აერთიანებდა. მონასტერი ცნობილი იყო გამორჩეულად მდიდარი წიგნთსაცავით, რომელიც შვიდ ათასამდე ტომს ითვლიდა.⁶ გასულ საუკუნეში სამონასტრო წიგნთსაცავიდან ფაქტობრივად აღარაფერი იყო შემორჩენილი, რამდენიმე წიგნის გარდა. შესაბამისად, მწირია მასალები მონასტრის ისტორიისთვის. კომპლექსის ძველ ნაგებობათა უმეტესი ნაწილი 1904 წელს, ხანძრის შედეგად განადგურდა. იგი ამის შემდეგ კვლავ აღუდგენიათ. მონასტერი გაუქმდა 1923 წლის დასაწყისში, როდესაც მოწესე ბერები, პონტოს მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად, ამ რეგიონიდან გასახლებულ იქნენ.⁷ კომპლექსი იმის მერე გაუკაცრიელდა და მისგან მხოლოდ ნანგრევებიღა შემორჩა.⁸

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით, მონასტრის წინამღვარი – ეგბარქოსი უშუალოდ ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს; ადგილობრივ სასულიერო პირთ ხელს ასხამდა თავად პატრიარქი, ტრაპიზონელ მღვდელმთავრის განგების გარეშე.⁹ ივარაუდება, რომ ამგვარი ტრადიცია უნდა დამკვიდრებულიყო 1501 წლიდან, როდესაც სასულიერო კერა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სტავროპიგიალური მონასტერი გახდა.




ცნობა პერისტერას მონასტრის საგანგებო სტატუსის თაობაზე იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც იქ მღვდელმონაზონი დოროთეოსი მოწესეობდა. თუმცა კი ძმობის მრავალრიცხოვნებით ერთ დროს გამორჩეულ მონასტერში, 1880-იანი წლებისთვის, მხოლოდ ათი-

თორმეტი მოწესელა მკვიდრობდა. ეს უნდა დასტყობოდა მონასტრის ქონებრივ მდგომარეობასაც – მისი საქონებელი ბევრად მწირი იყო, ვიდრე სუძელასი. ამის გამო უნდა ყოფილიყო, რომ პერისტერას მონასტრის ბერები მესაქონლეობას მისდევდნენ. გამორიცხული არ არის, რომ ამგვარი ვითარება შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი იმ წინაპირობათაგან, რის გამოც მღვდელმონაზონმა დოროთეოსმა მონასტერი დატოვა, რუსეთის იმპერიას მიაშურა და ოსმალებისგან ახლად გათავისუფლებული რეგიონისკენ, ყარსის ოლქისკენ, კერძოდ კი ანისისკენ აიღო გეზი.



საბუთების გაცნობა ცხადყოფს, რომ მღვდელმონაზონ დოროთეოსს არ უნდა სცოდნოდა რუსული ენა: საქმეები შედგენილია სხვა პირთა მიერ, დოროთეოსის კარნახით; მღვდელმონაზონი მხოლოდ ხელს ურთავს წერილებს (ბერძნულად), ამასთან არც თუ გაწაფულად (შესაძლოა, ხანდამშულობის გამო) (სურ. 5-8).

ყოველივე დაიწყო 1884 წლის 24 დეკემბერიდან, როდესაც მღვდელმონაზონმა დოროთეოსმა ოფიციალური თხოვნით მიმართა ყარსის ოლქის მოსაყდრეს (ბლალოჩინს), ევსტათე აგიაძეს (სურ. 9 და 10). წერილში მღვდელმონაზონი იტყობინებოდა, რომ 1883 წლიდან იგი გადმოსახლებული იყო ყარსის ოლქში, სადაც ძირითადად საერო პირთა და სამღვდლოების შეწირულობებით არსებობდა. იგი მიუთითებდა, რომ მოწესეს არ შეშვენის ერისკაცთა შორის ცხოვრება და იგი უნდა მკვიდრობდეს მონასტერში, განმხოლოებულ გარემოში. ამასთან დაკავშირებით იგი ხაზს უსვამდა ერთ გარემოებას – მართალია, მოსაყდრისადმი განწესებულ ყარსის ოლქში იმხანად არ იყო მართლმადიდებლური მონასტრები და მართლმადიდებელი მოსახლეობა, მაგრამ რეგიონში არსებული ნაშთები (სახელდობრ, ქართული და ბერძნული ეკლესიები, ქართული და ბერძნული წარწერებით და მხატვრობით) მოწმობდა, რომ იქ ბუნებით და ადამიანის ხელით მომზადებული იყო ნიადაგი, განსაკუთრებული შრომისა და სახაზინო სახსრების დანახარჯების გარეშე, მონასტრის დასაფუძნებლად. საკმარისი იყო, მხოლოდ განეწესებინათ ვინმე მოღვაწე ბერი და გამოერთმიათ, ვისგანაც საჭირო იყო, სახაზინო მიწა 200 დესეტინის ოდენობით ძმობის შესანახად. ამასთან დაკავშირებით იგი მიუთითებდა სომეხ ბერზე, რომელსაც მიცემული ჰქონდა 150 დესეტინა მიწა და რომელიც დაპატრონებოდა მართლმადიდებლურ ბერძნულ-ქართულ ლამაზ ეკლესიას (საუბარია ტიგრან ჰონენცისეულ ეკლესიაზე – ზ.ს.), კანკელის გარეშე, ფერწერით; ეკლესიის ფრესკებზე გამოსახული იყო წმინდანები საბერძნეთის და საქართველოს ეკლესიებისა, რომელთა თაყვანისცემაც არ იყო მიღებული სომხეთის ეკლესიაში.

ცნობა ანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე სომეხი სასულიერო პირების ყოფნის თაობაზე დ. ბაქრაძის საველე დღიურშიც მოიპოვება. 1881 წელს, ანისის მოხილვისას გაკეთებულ ჩანაწერებში იგი აღნიშნავს, რომ იმხანად ნაქალაქარში იმყოფებოდა ორი სომეხი ბერი, რომლებიც იქ ხოშა-ვანქის მონასტრიდან გადასულან. ხოშა-ვანქი, იგივე ჰორომოსი,¹⁰ ანისის აღმოსავლეთით, მისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, მდინარე ახურიანის აყოლებით, იმავე



5-8. მღვდელმონაზონ დოროთეოსის ხელმოწერები მის მიერ სხვადასხვა დაწესებულებაში გაგზავნილი წერილებიდან. სეა, ფონდი 489, საქმე №41781



9-10. მღვდელმონაზონ დოროთეოსის თხოვნა ყარსის ოლქის და ალექსანდროპოლის მაზრის მოსაყდრე ევსტათესადმი. 1884 წლის 24 დეკემბერი. სეა, ფონდი 489, საქმე №41781

ხეობაში მდებარეობს (სურ. 11 და 12). დ. ბაქრაძის ცნობით, სომეხი ბერები მცირე ხნის წინ იყვნენ მისულები ანისში, თუმცა უკვე მოესწროთ იქ სახლის აშენება.¹¹

მღვდელმონაზონი დოროთეოსი მიუთითებდა, რომ ჰქონდა დიდი მოშურნეობა – სულის სახსნელად დაეფუძნებინა ანისის ნაქალაქარში არსებულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მონასტერი, უმნიშვნელო შეკეთებების შედეგად. იგი მოსაყდრეს სთხოვდა შუამდგომლობას ეგზარქოსთან, რომ მას, თავის მხრივ, გამოეთხოვა განკარგულება სამხედრო მმართველობისგან – დაბრუნებოდა ეკლესია მართლმადიდებელთ, მისი შემდგომი განახლებისთვის, ძმებისთვის სენაკების ასაგებად, იქ მონასტრის დასაარსებლად და ხაზინიდან 200 დესეტინა მიწის გამოსაყოფად.

მოსაყდრე ევსტათეს მალევე, 1885 წლის 19 იანვარს მიუმართავს ყარსის ოლქის გამგებლობისთვის (საქმეში ეს წერილი არ მოიპოვება). სხვა არსებით საკითხებთან ერთად, გასარკვევი რჩებოდა დოროთეოსის წარმომავლობა, დასადასტურებელი იყო მისი სამონაზვნო წესგანგება (როგორც ჩანს, თხოვნასთან ერთად მღვდელმონაზონმა დოროთეოსმა წარადგინა ამასთან დაკავშირებული დოკუმენტებიც).

ამის პასუხად, ყარსის ოლქის მიწების განაწილების კომისიიდან, სახელდობრ ოლქის გუბერნატორის მოადგილის მიერ, მოსაყდრე ევსტათეს სახელზე 1885 წლის 24 იანვარს გაიგზავნა საპასუხო წერილი, სადაც იტყობინებოდნენ, რომ მამა დოროთეოსის სამონაზვნო წესთან დაკავშირებით არსებული ორი დოკუმენტი გადაეგზავნა რუსეთის კონსულს ტრაპიზონში მათი ნამდვილობის დასადასტურებლად. საკონსულოს, თავის მხრივ მიუმართავს ტრაპიზონის მიტროპოლიტ გრიგოლისთვის – მიტროპოლიტი ადასტურებდა, რომ მღვდელმონაზონი დოროთეოსი იყო პერისტერას წმ. გიორგის მონასტრის მკვიდრი და რომ დოკუმენტები ნამდვილად მას ეკუთვნოდა (სურ. 13 და 14).

მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე მოსაყდრე ევსტათეს შეუდგენია ვრცელი რაპორტი საქართველოს ეგზარქოს პავლეს (ლებედვის) (1882-1887) სახელზე და გაუგზავნია ის 1885 წლის 9 თებერვალს, დოროთეოსის თხოვნასთან და ყარსის ოლქის მიწების გამანაწილებელი კომისიის წერილთან ერთად. მოსაყდრე პუნქტებად ჩამოთვლიდა საკითხებს, იგი იტყობინებოდა, რომ:

1. მღვდელმონაზონ დოროთეოსისგან თხოვნის მიღების კვალად, შესაბამისი კანონიერი დოკუმენტების არარსებობის გამო, მან მიმართა ყარსის სამხედრო გუბერნატორს თხოვნით, რათა გამოეგზავნათ შესაბამისი დამადასტურებელი საბუთები მღვდელმონაზონ დოროთეოსის სასულიერო ხარისხთან დაკავშირებით; ამ მოთხოვნაზე მას გაეგზავნა დადებითი პასუხი.

2. მღვდელმონაზონ დოროთეოსის მიერ დასახელებული ეკლესია ბლალოჩინს მოუნახულებია 1884 წლის შემოდგომაზე. ეკლესიას იგი „ბიზანტიური გემოვნებით“ აგებულს უწოდებს, ამასთან აღნიშნავს, რომ ტაძრის მოხატულობაში არის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდანთა სახეები ქართული და ბერძნული წარწერებით.




იგი ჩამოთვლის გამოსახულებების ნაწილსაც – სახეებს, რომლებიც, როგორც ჩანს, მან იმხანად შეძლო გაერჩია. ამის საფუძველზე ბლალოჩინი დაასკვნდა, რომ საქართველოს ისტორიის წყაროების მიხედვით, ეკლესია აგებულ იყო მეფე დავით III-ის (იგულისხმება წმ. მეფე დავით IV აღმაშენებელი) მიერ XII საუკუნის დასაწყისში, მის მიერ ანისის ალების კვალად, და რომ ეს იყო ჭეშმარიტად მართლმადიდებლური ეკლესია.

3. მოსაყდრე აცნობებდა ეგზარქოსს, რომ მისთვის უცნობი იყო, ვისი განკარგულებით მკვიდრობდა ამ ეკლესიასთან სომეხი ბერი, რომელმაც უწყოდა, რომ ეკლესია ქართული იყო – ამის გამო მას გადაუკეთებია ტაძრის საკურთხეველი (აუმაღლებია საკურთხეველის დონე სომხური საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად) და საკურთხეველში დაუბრძანებია ერთი დიდი ხატი, მლოცველთა მოსაზი-

11. ჰორომოსის მონასტერი XIX საუკუნის მიწურულს



12. ჰორომოსის მონასტერი დღეს



13-14. ყარსის ოლქში მიწების გამანაწილებელი კომისიის წერილი ყარსის ოლქისა და ალექსანდროპოლის მაზრის მოსაყდრისადმი. 1885 წლის 24 იანვარი. სეა, ფონდი 489, საქმე №41781

დად და, შესაძლოა, იმის საჩვენებლად, რომ ეკლესია სომხური იყო (შდრ. სურ. 15 და 16).

შესაბამისად, მოსაყდრე ევსტათე დაასკვნა – იმის გათვალისწინებით, რომ: **ა.** ყარსის ოლქის მოსახლეობას ჰქონდა სიყვარული და განწყობა მონასტრებისადმი; **ბ.** ბერძენ სამღვდელეობას და საერო პირთა შორის იმხანად ბევრი იყო სამოწესეო ცხოვრების მსურველი; **გ.** ყარსის ოლქში მამათა მონასტრის დაფუძნებას შეიძლებოდა ჰქონოდა სასიკეთო გავლენა ამ ოლქში მკვიდრ სხვა აღმსარებლობის მოსახლეობაზე – იქნებოდა ძალზე სასარგებლო ანისში მამათა მონასტრის დაარსება, მით უფრო, რომ იქ არსებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გადაკეთებას ხაზინის მხრიდან არანაირი დანახარჯი არ დასჭირდებოდა.

ყოველივე ამის საფუძველზე ბლალოჩინი ევსტათე თხოვნით მიმართავდა საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელ მმართველს, რათა მას ეშუამდგომლა შესაბამის უწყებათა წინაშე – მღვდელმონაზონ დოროთეოსისთვის გადაეცათ მოთხოვნილი მართლმადიდებლური ქართულ-ბერძნული ეკლესია, იქ მონასტრის დასაფუძნებლად, ამასთანავე, მომავალი მონასტრის საჭიროებისთვის, სახელდობრ ძმობის მკვიდრობისთვის, გადაეცათ მისთვის სახაზინო მიწა ეკლესიის შემოგარენში არსებული თავისუფალი მონაკვეთიდან.

იგი იმასაც დასძინდა, რომ ხსენებული სომეხი ბერისთვის და სომხური სასულიერო უწყებისთვის მართლმადიდებლური ეკლესიის ჩამორთმევა იქნებოდა კანონიერი და ეს არც სომეხი სამღვდელეობის ღირსებას შეეხებოდა, რადგან ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემორჩენილი იყო რამდენიმე, მსგავსი ანდა ბევრად უფრო დიდი, სომხური ეკლესია; ამდენად, სომეხების მიერ ქართული მართლმადიდებლური ტაძრის დატოვების კვალად მათ ვერანაირი პრეტენზია ვერ ექნებოდათ.

ამ თხოვნის საფუძველზე ეგზარქოსმა 1885 წლის 23 თებერვალს მისწერა ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორს თხოვნით, ეცნობებინათ: შესაძლებელი იყო თუ არა მართლმადიდებლური უწყებისთვის დაუყოვნებლივ გადაეცათ ეკლესია და მოესაზღვრათ 200 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა ამ ეკლესიის სასარგებლოდ და ძმობის შესანახად. თუკი რაიმე სირთულე არ არსებობდა, მაშინ დაუყოვნებლივ გადაეცათ ეკლესია ბლალოჩინისთვის, თავის მხრივ დოროთეოსისთვის გადასაცემად.

ოლქის გუბერნატორმა ერთ თვეზე მეტი ხნის შემდეგ უპასუხა ეგზარქოსს. როგორც ჩანს, ეს დრო პრობლემის არსში გასარკვევად, უმაღლეს ხელისუფლებასთან რეგიონში არსებული პოლიტიკური და ეთნოკონფესიური ვითარების გათვალისწინებით საკითხის შესათანხმებლად და საეკლესიო მხარისთვის შესაბამისი პასუხის მოსამზადებლად შეიქნა საჭირო. 1885 წლის 27 მარტის წერილში გუბერნატორი იტყობინებოდა, რომ სანამ დასკვნას გააკეთებდა, მას სურდა პირადად დარწმუნებულიყო, შესაძლებელი იყო თუ არა გამოყოფილიყო მიწა, რადგან ამ საკითხის დადებითი გადაწყვეტა იყო მთავარი და აუცილებელი პირობა მონასტრის დაფუძნებისთვის. ამისთვის, თომას კვირაში შურაგელის მონაკვეთში

მისი დაგეგმილი მგზავრობისას, უკანა გზაზე, იგი გაივლიდა ანისში და დაათვალიერებდა იქაურ სავარგულებს, რის შედეგებსაც აცნობებდა ეგზარქოსს.

მართლაც, გუბერნატორს მოუნახულებია ანისი – 1885 წლის 18 აპრილის წერილში იგი აცნობებდა ეგზარქოსს, რომ მან პირადად დაათვალიერა მიწის სავარგულები, ამასთან იუწყებოდა, რომ შეუძლებელი იყო მღვდელმონაზონ დოროთეოსის თხოვნის დაკმაყოფილება: მიწების განაწილების გამო აღარ იყო დარჩენილი ნაკვეთები; ერთადერთი ნაკვეთი 200 დესეტინა ფართობისა არსებობდა მაგრამ იგი საჭირო იყო იქ ქურთების რვა კომლის გადასასახლებლად. ამასთან, ეს ნაკვეთი თავისუფალი რომც ყოფილიყო, იგი წარმოადგენდა საძოვარს და მდებარეობდა ანისის ნაქალაქარის გადაღმა, კლდოვანი ხევის მეორე მხარეს, ამიტომ იგი ვერ გამოდგებოდა მონასტრის სამეურნეო მიზნებისთვის.

გუბერნატორი შეახსენებდა ეგზარქოსს მის წერილში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მიწის გამოყოფის საკითხის დადებითი გადაწყვეტა იყო მთავარი და აუცილებელი პირობა მონასტრის დაფუძნებისთვის. შესაბამისად, იგი მიიჩნევდა, რომ რაკილა მიწის გამოყოფა შეუძლებელი იყო, არ ღირდა მონასტრის გადაცემა მღვდელმონაზონ დოროთეოსისთვის, მაგრამ თუკი იგი მაინც მოინდომებდა ამ მიზნის განხორციელებას, გუბერნატორი სთხოვდა ეგზარქოსს, ეცნობებინათ მისთვის ეს, რათა იგი შესაბამისი წინადადებით შესულიყო მთავარმართებლის წინაშე.

მასალები დაუბრუნდა მოსაყდრე ევსტათეს და მანაც, როგორც ჩანს, საქმის ვითარება იმხანადვე გააცნო მღვდელმონაზონ დორო-



15. ანისი. წმ. გრიგოლის ეკლესიის საკურთხეველი. საერთო ხედი



16. ანისი. წმ. გრიგოლის ეკლესიის საკურთხეველის იატაკი

თეოსს, რომლისთვისაც ასევე მიუმართავს კითხვით – შეძლებდა თუ არა იგი ასეთ პირობებში მონასტრის დაფუძნებას მიწის ნაკვეთის გარეშე.

ყოველივე ამის პასუხად მღვდელმონაზონი იმავე წლის 27 ივნისის წერილით აცნობებდა ბლალოჩინს: მართალია, დიდად სა-

სურველი იყო ანისში მამათა მონასტრის მკვიდრად დაარსებისთვის მატერიალური დახმარება მიწის ნაკვეთის გამოყოფის გზით, მსგავსად იმისა, როგორც ეს მოხდა ანისში დამკვიდრებულ სომეხ ბერთან დაკავშირებით; მაგრამ თუკი არ მოიძებნებოდა თავისუფალი მიწა ანისის ნაქალაქარის შემოგარენში, დოროთეოსი მაინც ადასტურებდა თავის მოშურნეობას და მზადყოფნას ღვთის შემწეობით შეენახა მოთხოვნილი მართლმადიდებლური ეკლესია სავარგულის გარეშე. ამასთან დაკავშირებით იგი სთხოვდა ბლალოჩინს, უარი არ ეთქვა შუამდგომლობაზე შესაბამის პირთა და უწყებათა წინაშე, რათა მისთვის გადაეცათ ანისის ნაქალაქარზე არსებული მართლმადიდებლური ეკლესია.

ეს მიმართვა უნდა გამხდარიყო საფუძველი ბლალოჩინის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯისა – მან 1885 წლის 7 ივლისს კვლავ მისწერა ეგზარქოსს (თან დაურთო გუბერნატორისა და მღვდელმონაზონის წერილები), სადაც აცნობებდა, რომ: **ა.** მღვდელმონაზონი დოროთეოსი მზად იყო მიწის ნაკვეთის გარეშე დაეფუძნებინა მონასტერი ეკლესიასთან, რომელიც – როგორც ხაზს უსვამდა ბლალოჩინი – ყველა მონაცემის მიხედვით, მართლმადიდებლური იყო. **ბ.** მღვდელმონაზონ დოროთეოსის მატერიალური მხარდაჭერისთვის, სახელდობრ პირველ ხანებში ახლად დაფუძნებული მონასტრის შემწეობისთვის, ბლალოჩინი საქართველოს იმჟამინდელ საეკლესიო მმართველობას სამ შესაძლებლობას სთავაზობდა: 1. უკვე არსებული ქონებიდან, რომლითაც სომეხი ბერი სარგებლობდა, სახელდობრ მიწის ნაკვეთიდან, გარკვეული დროით გამოეყოთ ნახევარი და გადაეცათ მღვდელმონაზონ დოროთეოსისთვის; 2. თუკი ამ საკითხის მოგვარება რთული შეიქნებოდა ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორისთვის, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა 200 დესეტინა მიწის გამოყოფა ანისის ახლომდებარე ტერიტორიიდან, სადაც უნდა გადაესახლებინათ იგივე ქურთები – იმხანად ცნობილი გამხდარიყო, რომ ისინი უარს გახდნენ და არჩიეს დარჩენა კავიზმანის ოლქში; 3. რამდენადაც მონასტრისთვის განწესებულ მიწის ნაკვეთს მოწესებები თავად არ დაამუშავებდნენ, არამედ გასცემდნენ არენდით, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მიწის გამოყოფა ყარსის ოლქის სხვა მონაკვეთებიდან. დასასრულ, იგი მიმართავდა ეგზარქოსს, ეშუამდგომლა ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორის წინაშე – თუკი მაინც ვერ მოხერხდებოდა მიწის გამოყოფა, გადაეცათ დოროთეოსისთვის „ქართული ეკლესია“ მაინც, იქ მონასტრის დასაფუძნებლად, ამასთან დროთა განმავლობაში გამოინახებოდა საშუალებები ძმობის მატერიალური შემწეობისათვის.

მოსაყდრის მიერ წამოყენებული წინადადებების შემცველი წერილი ეგზარქოსმა ორიოდე კვირის შემდეგ გაუგზავნა ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორს. წერილში განმეორებულია მოსაყდრე ეგსტათეს მიერ დასახული პუნქტები, რასაც ერთვის თხოვნა გუბერნატორისადმი – გაეცა განკარგულება, რათა ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც იმჟამად სომეხი ბერის განმგებლობაში იყო, გადაეცათ მღვდელმონაზონ დოროთეოსისთვის, ისევე როგორც მიწის ნაკვეთი – ახლომდებარე თუ არა, ახლომახლო

მდებარე მაინც.



ამ წერილის პასუხი გუბერნატორისაგან, ისევე როგორც საქმის მსვლელობა, გარკვეული დროის მანძილზე აღარ ჩანს. პროცესი რამდენიმე ხნით უნდა შეჩერებულიყო. თუმცა, მღვდელმონაზონ დოროთეოსის, ისევე როგორც ამ წამოწყების თანამდგომთა, მონდომება ცხადი ხდება იქიდან, რომ მომდევნო, 1886 წლის დასაწყისიდან სულ რაღაც სამთვენახევრის განმავლობაში მოწესემ სამჯერ მიიმართა წერილობით ეგზარქოს პავლეს – 20 იანვარს (ნათლისღების დღესასწაულის მომდევნო დღესვე), 9 აპრილს და 10 მაისს (სურ. 17 და 18). წერილებში იგი შეახსენებდა საქართველოს ეკლესიის იმუამინდელ მმართველს საქმის ვითარებას და სთხოვდა განკარგულებას, გადაეცათ მისთვის – თუნდაც მიწის შესაბამისი ნაკვეთის გარეშე – ანისის ნაქალაქარზე მდებარე მართლმადიდებლური ეკლესია; იგი ნებართვის შემთხვევაში სრული მზაობით გადაიბარებდა სომეხი ბერისგან ეკლესიას, რადგან იმხანად იგი არსად მსახურებდა. იგი იმასაც იტყობინებოდა, რომ ეს საკითხი წინა წელს აღიძრა ბლალოჩინ ეკტათეს შუამდგომლობით და მიმართვა გაეგზავნა ყარსის ოლქის სამხედრო გუბერნატორს 1885 წლის 23 ივლისს, თუმცა იმ დრომდე მას არ ჰქონდა მიღებული რაიმე გარკვეული პასუხი და იმყოფებოდა გამოუვალ მდგომარეობაში; ამის გამო იგი უმორჩილესად სთხოვდა ეგზარქოსს, გაეცა ამასთან დაკავშირებით განკარგულება.

ამის შემდეგ მასალები საქმის მსვლელობის თაობაზე საარქივო დოკუმენტებში დაახლოებით სამი წლის მანძილზე აღარ ჩანს – უცნობია, რა ბედი ეწია ყველაფერს, რატომ გაჩერდა პროცესი, იყო თუ არა კიდევ რაიმე მცდელობები საქართველოს საეკლესიო მმართველობის, ისევე როგორც თავად მღვდელმონაზონ დოროთეოსის მხრიდან.

1889 წლის 10 იანვარს, შობის დღესასწაულების შემდეგ, მღვდელმონაზონმა დოროთეოსმა კვლავ მისწერა ეგზარქოს პალადიოსს (რაევს) (1887-1892 წწ.). წერილში მითითებულია, რომ იგი ცამეტი წლის განმავლობაში იმყოფებოდა რუსეთში¹² და რომ მან 1885 წელს სთხოვა საქართველოს საეკლესიო მმართველობას, ანისის ნაქალაქარში არსებული ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გადაცემა. ამ განზრახვის განხორციელებისთვის ხელი შეუშლია იმას, რომ იგი არ იყო ქვეშევრდომი რუსეთის იმპერიისა. ამასთან დაკავშირებით მას მიუმართავს თბილისის გუბერნიის მმართველისთვის – მღვდელმონაზონი გამოთქვამდა იმედს, რომ მისი თხოვნა ქვეშევრდომობის თაობაზე არც თუ შორეულ მომავალში დაკმაყოფილდებოდა. ამასთანავე, მას სმენოდა – სომეხებს გაეგოთ მისთვის ამ ეკლესიის გადაცემის განზრახვის თაობაზე და აპირებდნენ ძველი ფრესკების წარხოცვას, რომლებიც იმხანად კარგად იყო შემონახული.

ყოველივე ამის გამო იგი დაბეჯითებით ითხოვდა, გადაეცათ მისთვის ამ ეკლესიაში მსახურების უფლება, რათა კანონის შესაბამისად ედევნა წმინდანთა სახეების განადგურების მსურველნი.

როგორც ჩანს, მოვლენები კვლავ არ განვითარდა სათანადო



17-18. მღვდელმონაზონ დოროთეოსის თხოვნა საქართველოს ეგზარქოსისადმი. 1886 წლის 9 აპრილი. სეა, ფონდი 489, საქმე №41781

მიმართულებით, რადგან ერთი თვის შემდეგ, 1889 წლისავე 9 თებერვალს მღვდელმონაზონმა დოროთეოსმა კიდევ ერთხელ მიმართა თხოვნით ეგზარქოსს. იგი ხაზს უსვამდა, რომ იმ დრომდე არ ჰქონია პასუხი განაცხადზე და ამის გამო იმყოფებოდა დუხჭირ მდგომარეობაში, რამდენიმე კეთილისმყოფლის შეწირულების წყალობით. ყოველივე ამის გამო მღვდელმონაზონს სურდა საეკლესიო მმართველობას გამოეთხოვა მის მიერ ჯერ კიდევ 1885 წელს დაწერილი მიმართვა (№3310) და მის შესაბამისად გაეცა განკარგულება ანისის ქართულ ეკლესიაში მართლმადიდებლური მსახურების აღდგენის თაობაზე. იგი ასევე ითხოვდა 1886 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში მის მიერ გაგზავნილი დოკუმენტების მისთვის გადაცემას.

შემდგომი ექვსი თვის მანძილზე მოვლენები დრამატულად უნდა განვითარებულიყო: საქმეში დევს, 9 სექტემბრის 1889 წლის დოკუმენტი – მოსამართლის თანაშემწის წერილი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორისადმი, რომელშიც იგი იტყობინებოდა, რომ მასთან წარმოებდა საგამომძიებო საქმე მღვდელმონაზონ დოროთეოსის მკრეხელობის თაობაზე. ვითარებაში გარკვევამდე მღვდელმონაზონი პატიმრობაში რჩებოდა. ამასთან დაკავშირებით მოსამართლის თანაშემწე სთხოვდა კანტორას ეცნობებინათ, წარმოებდა თუ არა საქმე ამ თხოვნებთან დაკავშირებით, რომელ მიწებზე იყო საუბარი ეგზარქოსთან, სარგებლობდნენ თუ არა თურქეთის ქვეშევრდომი ბერები რუსეთის ქვეშევრდომი ბერების თანაფარდი უფლებებით, თუ რაიმე განსაკუთრებული წესებით, და საერთოდ – რა ცნობები არსებობდა მღვდელმონაზონ დოროთეოსის თაობაზე საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში.

როგორც ჩანს, ამ მოვლენებს უნდა განეპირობებინა 1889 წლის 3 აგვისტოს სხდომა. საარქივო საქმეში მოიპოვება სხდომის ოქმის შავი პირი (მრავალრიცხოვანი ჩასწორებებით), რომელიც რატომღაც საგრძნობი დაგვიანებით, 25 სექტემბერს არის შედგენილი. ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ არქიმანდრიტი ნიკოლოზი, მდივანი ჩიტაძე და სტოლნაჩალნიკი კოლბაკოვი, მოკლედია მოთხრობილი საქმის ის ვითარება, რაც ზემოთ მოტანილი დოკუმენტებიდან ვლინდება: მღვდელმონაზონ დოროთეოსის მოთხოვნები, მოსაყდრე ევსტათეს შუამდგომლობა, მის მიერ ეკლესიის მონახულება 1884 წელს, ვარაუდი რომლის მიხედვითაც ეკლესია დავით აღმაშენებელს უნდა აეგო ანისის ალების კვალად, XII საუკუნის დასაწყისში, ტრაპიზონიდან მღვდელმონაზონ დოროთეოს თაობაზე საბუთების გამოთხოვა, გაუგებრობები ანისში მკვიდრ სომეხ ბერთან დაკავშირებით, რომელსაც გადაკეთებული ჰქონდა ეკლესია სომხურ წესზე, სომეხების განზრახვა გაენადგურებინათ ეკლესიის ფრესკები და ა.შ., შესაბამისი დოკუმენტების შიფრების და თარიღების მითითებით, ზედმიწევნითობით და დეტალურად. ოქმის ბოლოს ისიცაა აღნიშნული, რომ საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას გუბერნატორისგან პასუხი არ მიუღია.

სხდომაზე დადგენილ იქნა – რადგან ანისში არსებულ ეკლესიაზე საქართველოს იმუამინდელ სასულიერო მმართველობას არანაირი ცნობა არ ჰქონდა და რადგან მთხოვნილი – დოროთეოსი არ

იყო რუსეთის ქვეშევრდომი, სინოდალურ კანტორას არ შეეძლო მღვდელმონაზონ დოროთეოსის მიერ მოთხოვნილი განკარგულების გაცემა ანისში მისთვის ეკლესიის გადაცემის თაობაზე. ყოველივე ეს უნდა ეცნობებინათ მღვდელმონაზონ დოროთეოსისთვის და, ამასთან, გადაეცათ საქმეში არსებული დოკუმენტები. რაც შეეხება სომხების მიერ ძველი ქართული და ბერძნული წარწერების ხელყოფის ფაქტებს, ამ ცნობების მართებულობის შემოწმება ალექსანდროპოლელ მოსაყდრე იოაკიმოვს დაევალა.

სწორედ ხსენებული სხდომისა და მისი ოქმის საფუძველზე, 1889 წლის 27 სექტემბერს, შედგა წერილი თბილისის მაზრის მოსამართლის თანაშემწისადმი, რომელშიც სხდომის ოქმის ხელმომწერები იუწყებოდნენ რომ:

ა. სინოდალურ კანტორაში მართლაც წარმოებდა საქმე ყარსის ოლქში მცხოვრები, თურქეთის ქვეშევრდომი მღვდელმონაზონ დოროთეოს სიომანიდის თხოვნის თაობაზე, მისთვის ანისში მართლმადიდებლური ეკლესიის გადაცემასთან დაკავშირებით.

ბ. საქმეში არსებული ორი დოკუმენტიდან ცხადი ხდება – ტრაპიზონში რუსეთის კონსულის მიმართვის საფუძველზე ტრაპიზონის მიტროპოლიტმა დაადასტურა, რომ დოკუმენტები მართლაც ეკუთვნოდა მღვდელმონაზონ დოროთეოსს და რომ იგი ნამდვილად იყო პერისტერას წმ. გიორგის მონასტრის მოწესე.

3. თურქეთის ქვეშევრდომ მღვდელმონაზონებს, მათ შორის დოროთეოსს, არ ჰქონდათ უფლება საქართველოს ეგზარქოსის ნებართვის გარეშე წირვა-ლოცვა აღესრულებინათ საქართველოს საეგზარქოსოს ფარგლებში და რომ მღვდელმონაზონმა დოროთეოსმა მიმართა თბილისის გუბერნატორს მისთვის რუსეთის ქვეშევრდომობის მისაღებად.

უცნობი რჩება, როგორ განვითარდა შემდგომში მოვლენები – საქმეში ქრონოლოგიურად მომდევნო 1889 წლის 22 დეკემბრის წერილია, რომელშიც თბილისის მაზრის მოსამართლის თანაშემწე კვლავ შეახსენებდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის მესვეურთ მღვდელმონაზონ დოროთეოსისა და ანისის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის საქმესთან დაკავშირებით არსებული მასალების თაობაზე.

ამასთანავე, მიღებული დადგენილების შესაბამისად, მოსაყდრე იოაკიმოვს შეუდგენია რაპორტი, რომელიც მან ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ, 1890 წლის 19 ნოემბერს გაუგზავნა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას.

რაპორტში მოსაყდრე საკმაოდ თავისებურად, საკუთარი თვალთახედვითა და ტერმინებით გადმოსცემს საქმის ვითარებას: ანისს იგი უწოდებს ნანგრევთა გროვას, სადაც ორიოდ ნახევრად შემორჩენილი ეკლესია, სასახლე, გალავნის კედელი და თათრების მინარეთია დარჩენილი. ქალაქის ისტორიაზე მოკლედ საუბრისას იგი აღნიშნავს აზერბაიჯანელი თათრების – სელჩუკების მიერ ქალაქის მრავალგზის დაპყრობას, ხოლო შემდგომ, მეფე გაგიკ I-ის ზეობისას (XI საუკუნის შუახანებში) ქალაქის ვერაგულად დაუფლებას ბერძნების მიერ, რომლებიც, მართალია, დიდი ხნის მანძილზე ვერ ფლობ-

დნენ ქალაქს, მაგრამ მათ კვალად ქალაქს არაერთი მართლმადიდებლური ეკლესია შეემატა. შემდგომში მონღოლთა შემოსევისას, როგორც მთელი სომხეთი, ისე ანისიც დაინგრა და საბოლოოდ კი, XV საუკუნეში, მიწისძვრამ მას ბოლო მოუღო.

მოსაყდრე იოაკიმოვი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ანისის ნაქალაქარზე შემორჩენილი იყო ბერძნული და სპარსული არქიტექტურული ძეგლები, სახელდობრ, მატერიალური ნაშთები იმ ხალხებისა, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში ფლობდნენ ქალაქს. ყოველივე ეს უარყოფითად განაწყობდა სომხებს. ამის დასტურად რაპორტში იოაკიმოვს მოჰყავს საკუთარი არგუმენტები:

1. კარგად შემორჩენილ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე და სხვა ნახევრად დანგრეული ტაძრებზე ჩანდა, რომ მათ კედლებზე არც თუ შორეულ წარსულში ფიზიკური ძალის გამოყენებით ამოტეხილი იქნა უზარმაზარი ქვები; მათ გვერდით არსებობდა სომხური წარწერები თანამედროვე ორთოგრაფიით, რომლებსაც არაფერი ეტყობოდა დროის ზემოქმედებისა. იმაზე, რომ ეს წარწერები ახალი დროისა უნდა ყოფილიყო, მოსაყდრის აზრით, მეტყველებდა სხვა გარემოებაც: ყარსის ოლქში შემორჩენილ სომხური ეკლესიების (მაგალითად დიგორისა და ბეშ ქილისას) კედლებზე არსებული წარწერები დროისგან დაზიანებულები და გამოქარაულები იყო; ამასთანავე, მათი დაწერილობა განსხვავდებოდა ანისის მართლმადიდებლური ეკლესიის სამხრეთ კედელზე ამოკვეთილისაგან. ეს ეკლესიები, მოსაყდრის მითითებით, აგებულ იქნა მეფე გაგიკ II-ის დროს, როდესაც ანისი ბერძენთა ხელში გადავიდა და შემდეგ აღარასდროს დაბრუნებია სომხებს, რადგან მათი სამეფო საბოლოოდ დაეცა. მეფე გაგიკის შემდეგ მოსული თვითმარქვეები რუბენიანები შიდაომებში იყვნენ ჩაბმულები მტრების შემოსევების დროსაც კი; ასეთ რთულ პერიოდში კი ისინი ვერც იფიქრებდნენ ახალი ეკლესიების აგებაზე ან გადაკეთებაზე. შესაბამისად, ანისის მართლმადიდებლური ეკლესია მეფე გაგიკ II-ის დროს რომც აეგოთ, მაშინ მისი წარწერები იმ დროის დაწერილობისა უნდა ყოფილიყო და არა გვიანისა, ტაძრის ინტერიერში კი შემორჩენილი უნდა ყოფილიყო სომხური ღმრთისმსახურების შესაბამისი მისი მოწყობის კვალი.

2. მოსაყდრე მოკლედ აღწერს წმ. გრიგოლის ეკლესიას: იგი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რომ კარიბჭის მხატვრობა რკინის იარაღის კვალს ატარებს. ასევე მოექცნენ ტაძრის ინტერიერის მოხატულობასაც. ფრესკები, რომლებიც, საანგარიშო წერილის ავტორის თქმით, „არაა სომხური სულისა“, გამკრთალებული იყო უფრო ცხელი წყლისგან, ვიდრე ატმოსფერული ნალექებისგან. სომხების ქმედების მთავარი სამხილი, მოსაყდრის აზრით, იყო საკურთხევლის გადაკეთება მათი საეკლესიო წესისამებრ: სომხებს აეშენებინათ მაღალი საკურთხეველი გვერდითა საფეხურებით, ხოლო სამკვეთლოსთან დამაკავშირებელი ღიობი ამოეგოთ, რადგან მათ ჟამისწირვისას ეს გასასვლელი არ სჭირდებოდათ. გადაკეთება ახალი იყო, რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომი ხანისა, სახელდობრ, 1885-დან 1890 წლამდე განხორციელებული.

მოსაყდრის რაპორტი უნდა განეხილათ საქართველო-იმერე-

თის სინოდალური კანტორის სხდომაზე. 1891 წლის 9 დეკემბრის სხდომის ოქმი მიმართულია ოაკიმოვის მიმართ – შესაბამისად, იგი რაპორტის წარდგენიდან თითქმის ერთი წლის შემდეგ არის შედგენილი (ეს გარემოება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ პროცესი ძალზე ნელა მიმდინარეობდა). მოსაყდრეს ეძლეოდა განწყობა, მის მიერ წარმოდგენილ საანგარიშო წერილთან ერთად სინოდალური კანტორისთვის მოეხსენებინა:

1. როდის მიითვისეს სომხებმა მართლმადიდებლური ეკლესია – თურქთა მფლობელობისას თუ რუსეთთან ყარსის ოლქის მიერთების შემდეგ;

2. იყო თუ არა ანისის გარშემო მოსახლეობა და თუ იყო – რა ეროვნებისა; იყვნენ თუ არა მათ რიცხვში მართლმადიდებლები;

3. რომელი საშტატო სამწყსო იყო ახლოს ანისთან და რა მანძილი აშორებდა ნაქალაქარს მისგან;

4. გამოყოფილი ჰქონდა თუ არა მიწის რაიმე ნაკვეთი აღნიშნულ ეკლესიას და თუ ჰქონდა, რა ფართობისა.

ამის შემდეგ საარქივო მასალებში დოკუმენტები აღარ ჩანს. როგორ წარიმართა პროცესი, და თუ აღარ წარიმართა რატომ შეჩერდა საქმე, რამ შეუშალა ყოველივე ამას ხელი, რა ბედი ეწია მღვდელმონაზონ დოროთეოსს, უცნობია. 1892 წლიდან ანისში დაიწყო არქეოლოგიური გათხრები ნიკო მარის ხელმძღვანელობით.¹³ თუმცა იმ მასალებში, რომლებიც ნაქალაქარის კვლევასთან დაკავშირებით ქვეყნდებოდა, არაფერი ჩანს წმ. გრიგოლის ეკლესიასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესის თაობაზე.

